საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

ოთარ ჯიოევი

კულტურა ადამიანის ცხოვრებაში
და ბრძოლა უარყოფით მოვლენებთან

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1985

1
87
1
ᵡ 501

ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის იყო დადებითი და უარყოფითი, კეთილი და ბოროტი, ყოველთვის იყო ბრძოლაც მათ შორის. ყოველ საზოგადოებასა და ეპოქაში ეს ბრძოლა თავისებურ სახეს იღებდა. როგორია დღეს ამ ბრძოლის თავისებურება ჩვენს საზოგადოებაში, რა ასულდგმულებს უარყოფით მოვლენებს, რა იმედი შეიძლება გვქონდეს მათი დაძლევისა, რა როლი მიუძღვის კულტურას ამ ბრძოლაში და როგორი უნდა იყოს კულტურა, რომელიც ამ მოვლენების დაძლევას ისახავს მიზნად — ამის შესახებ არის საუბარი წინამდებარე წიგნში. მისი მთავარი აზრი ის არის, რომ უარყოფითი მოვლენები რთული ბუნებისაა, ისინი ადამიანის ცხოვრების მრავალ მხარესთან არიან დაკავშირებული და მათი დაძლევისკენ მიმართული მოღვაწეობაც მრავალმხრივი უნდა იყოს.

უარყოფით მოვლენებთან ბრძოლა და მასში კულტურის როლი არ შეიძლება ყველას არ აღელვებდეს და ამიტომ წიგნიც მკითხველთა ფართო წრისთვის არის განკუთვნილი.

ᵡ $\frac{4402000000}{М\ 607\ (06) — 85}$ 215—84 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985

მთელი ისტორია კაცობრიობისა ყოველგვარს სფეროში, საცა კი ადამიანს წარმატების ძლევამოსილება მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის რა, გარდა გაუთავებელის ჭიდილისა „ჰოსა“ და „არას“ შორის.

ი ლ ი ა

ყოველ საგანზე მსჯელობას თავისი სიძნელეები აქვს. ერთი საგანი იმთავითვე რთული და გადმოსაცემად ძნელი გვეჩვენება, მეორე ძალზე მარტივი გვგონია და მისი საგანგებო განხილვა უსარგებლოდაც შეიძლება მივიჩნიოთ. ზოგი საგანი ადამიანის ცხოვრებისაგან დაშორებულია, ზოგიც ყოველდღიური ცხოვრების შუაგულშია, ადამიანები სისხლხორცეულად არიან მათით დაინტერესებული, უკვე მყარი შეხედულებები აქვთ მათზე, რომელთაც იოლად ვერ დათმობენ.

კულტურაცა და ადამიანის ცხოვრებაც ნაცნობი საგნებია ადამიანებისათვის. და მაინც ისინი იმდენად მრავალმხრივია და საინტერესო მათთვის, რომ ამ საგნებზე საუბარი სახალისოც არის. მაგრამ ამჯერად საუბარი კულტურისა და ადამიანის ცხოვრების ბუნებასა და მის მრავალფეროვან მხარეებზე კი არ გვექნება, არამედ ისინი ერთი თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ: ადამიანის ცხოვრებიდან მის უარყოფით მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება, დღეს რომ ნეგატიურ მოვლენებს ეძახიან, ის უნდა ვთქვათ, თუ ამ მოვლენებთან ბრძოლაში რა როლი შეიძლება დაეკისროს კულტურას. სიძნელეებიც აქ იწყება.

ერთი სიძნელე ის არის, რომ უარყოფითი მოვლენები კარგი ხანია პირზე გვაკერია, ერთი და იგივე კი ადამიანებს ბეზრდებათ; რაც უფრო ხშირად ეუბნებიან ადამიანებს, პატიოსნები იყავითო, მით უფრო კარგავენ ისინი ინტერესს ამგვარი ქადაგებისადმი.

ახალი სიძნელე მაშინ ჩნდება, როცა უარყოფით მოვლენებზე ბჭობას ფილოსოფოსი იწყებს. ფილოსოფოსი, ისევე როგორც მწერალი, კრიტიკული სულისკვეთებით უნდა იყოს გამსჭვალული და სხვებზე ადრე უნდა ამჩნევდეს იმას, რაც ადამიანსა და საზოგადოებას ემუქრება. იმის შემდეგ კი, რაც ყველამ დაინახა ბოროტება, კიეინის ატეხვა დიდი დამსახურება არ არის. ამის შესახებ უნდა ითქვას: არის საგნები,

რომლებზეც ადამიანები ყოველთვის ფიქრობენ და ლაპარაკობენ, ხოლო შემდეგ მათზე მეცნიერული წიგნებიც იქმნება, ხოლო ამგვარ წიგნს ხელში რომ ავიღებთ, წინასწარ არ უნდა გადავწყვიტოთ, რაკი ის ნაცნობ და ჩვეულ საგანს ეხება, მასში ყოველდღიური ჭეშმარიტებები იქნება გამეორებული. ალექსანდრე პუშკინს უთქვამს, ყველა სიტყვა, რომელსაც მწერალი ხმარობს, ლექსიკონებში შეიძლება ვნახოთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავსო, რომ მწერალი ახალს არაფერს ამბობს.

უარყოფით მოვლენებზე მსჯელობას ის დაბრკოლებაც ახლავს, რომ ისინი ძალზე მდარე საგნად ჩანან. ბირთვული ფიზიკის, მოლეკულური ბიოლოგიისა და სტრუქტურული ლინგვისტიკის პრობლემების გვერდით უარყოფით მოვლენებზე მსჯელობა ძალზე ფერმკრთალად გამოიყურება. თუ მაინცა და მაინც ადამიანთა ცხოვრებას ვეხებით, დიდ საზოგადოებრივ გარდაქმნებზე, გლობალურ პრობლემებზე მაინც უნდა ვილაპარაკოთ, რათა დღევანდელი მკითხველი დავაინტერესოთ. მაგრამ სწორედ დღეს ხდება ცხადი, რომ არ შეიძლება ერთმანეთს მოვწყვიტოთ საზოგადოებრივი გარდაქმნები და ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება. კარგად თქვა ამის თაობაზე მწერალმა იური ტრიფონოვმა, როცა ლევ ტოლსტოის თანამედროვე მნიშვნელობას ახასიათებდა: „ტოლსტოი დარწმუნებული იყო, რომ სამყაროს გარდაქმნას და ადამიანის გარდაქმნას ერთდროულად უნდა ვახდენდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ასე იქნება: აი, ბინას შევაკეთებ და პატრიოსან ცხოვრებას დავიწყებ, თორემ სანამ კედლები გაბინძურებულია და ავეჯი ძველი, უფლება მაქვს უხეიროდ ვიცხოვრო. და აი, გამოვა, რომ ადამიანის უხეირო საქციელი გაბინძურებული კედლების ბრალია. მაგრამ ტოლსტოიმ მრისხანედ თქვა: არა! საკუთარ სულში ჩაიხედეთ, დაე შეგაძრწუნოთ თქვენმა გაბინძურებულმა სულმა, შეცვალეთ თქვენი ჩვეულების ძველი ავეჯი, და ეს დაეხმარება ყველა ადამიანს უკეთესი გახდეს და ამაღლდეს“.

უარყოფითი მოვლენები ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის იყო და ალბათ, რაღაც სახით მომავალშიც იქნება. ამიტომ შეიძლება ამაოებად გვეჩვენოს მათთან ბრძოლაც. მართლაც, ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის იყო ავი და კარგი, მაგრამ ცხოვრებაც ხომ ეს არის, რომ ადამიანმა კარგი და ავი გაარჩიოს, კარგს მხარი დაუჭიროს და ავს შეებრძოლოს. სიკეთე და ბოროტება, „ჰო“ და „არა“ ყოველთვის იყო, მაგრამ ასევე იყო ყოველთვის ბრძოლა და ჭიდილი მათ შორის.

• უარყოფითი ტენდენცია გონებასაც აქვს, ასეთია მისი მისწრაფებანი გამარტივებისაკენ. უარყოფითი მოვლენების საკითხსაც ამარტივებენ: ხოლმე — მათი დაძლევის ოთლ გზებს სახავენ, უებარ წამლებსა დ

მარტივ ფორმულებს გვთავაზობენ. „არ უნდა ამას დიდი ფილოსოფია“, ამბობენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში. ასეა ნამდვილად?

ძველი საბერძნეთის სახელგანთქმულ ფილოსოფოსს, სოკრატეს, საკმაოდ უცნაური ზნე სჭირდა — გამოვიდოდა ათენის მოედანზე და მოსაუბრეებს ეძებდა: მისმა მოსაუბრეებმა ყველაფერი იცოდნენ, რაზეც კი მათ სიტყვას ჩამოუგდებდა სოკრატე, ეს უკანასკნელი კი მთელი სერიოზულობით აცხადებდა — მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი, მაგრამ საუბრის ბოლოს აღმოჩნდებოდა, რომ სოკრატეს მოსაუბრეებმა კიდეე უფრო ნაკლები იცოდნენ — მათ ისიც არ იცოდნენ, რომ არაფერი არ იცოდნენ. სოკრატე დღესაც უცნაური ადამიანი იქნებოდა: ადამიანთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი იცის, რაც ადამიანის ცხოვრებას შეეხება. მათ ყველაფერზე მოეპოვებათ პასუხი, ყველაფერი მარტივია მათთვის. ერთი რამ არ იციან მხოლოდ ზოგჯერ: ის, რომ მარტივი რთულზე უფრო რთული შეიძლება იყოს, რომ სიმარტივე მოჩვენებითიც არის ხოლმე.

მარტივის სირთულე

> კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფა: ალალ-მართლებად, რომლებსაც ცოდვილები ჰგონიათ თავი, და ცოდვილებად, რომლებიც ალალ-მართლებად გვაჩვენებენ თავს.
>
> პასკალი

ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის იყო დადებითი და უარყოფითი მოვლენები, კეთილი და ბოროტი, შუქი და ჩრდილი. იცვლება ცხოვრება, მრავლდება ადამიანის ცოდნა, ძლიერდება მიჯი ბატონობა ბუნებაზე, მაგრამ ახლავს თუ არა ამას სიკეთის ზრდა და ბოროტების შემცირება? მოდევს თუ არა კაცობრიობის მატერიალურ წინსვლას ზნეობის გაუმჯობესება? ადამიანთა უმრავლესობა ამ კითხვებზე დადებით პასუხს გასცემდა, ზოგი „უცნაური" ფილოსოფოსი და მწერალი კი სხვაგვარად ფიქრობდა. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ჟან-ჟაკ რუსო ამტკიცებდა: მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებამ ზნეობის დაქვეითება გამოიწვიაო. ნაწარმოებმა, რომელშიც ის ამ დებულებას ასაბუთებდა, დიჟონის აკადემიის პრემიაც კი დაიმსახურა. სხვები კიდევ ამტკიცებდნენ, კაცობრიობის მატერიალური სიკეთის ზრდას კეთილსა და ბოროტს შორის თანაფარდობა არ შეუცვლიათო. „საუკუნეების განმავლობაში იბრძვიან და იღვწიან ადამიანები, რათა ერთ მხარეზე სიკეთე მოათავსონ, ხოლო მეორეზე — არასიკეთე. გადის საუკუნეები და სადაც და რაც კი არ უნდა წაუმატოს მიუკერძოებელმა ადამიანმა სიკეთისა და ბოროტების სასწორს, სასწორი არ ირხევა და მის ერთ მხარეზე იმდენივე სიკეთეა, რამდენიც მეორეზე — არასიკეთე", — ამბობს ლ. ტოლსტოის ერთ-ერთი მოთხრობის გმირი.

„ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისა, — დაწერა ილია ჭავჭავაძემ და მემკვიდრის თვალით გადახედა გასულ, მეცხრამეტე საუკუნეს. — რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებული ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენ თვრამეტ საუკუნეს ერთად არ უნახავს". მაგრამ „საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა, ამდენი სიკეთით გარემოცული

და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია, — პასუხობს ილია. — „მართალია დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, უკეთ ჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის". მაინც რა უშლის ხელს, ილიას აზრით, ადამიანის ბედნიერებას? — ის, რომ „დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს".

მეოცე საუკუნის დასრულებას ბევრი აღარაფერი უკლია, გასული საუკუნის ანდერძი კი საბოლოოდ ჯერაც არ არის შესრულებული. მაგრამ ცხოვრებამ ისიც გვიჩვენა, რომ ღარიბსა და მდიდარს შორის ზღვარის შემცირებაც ვერ სპობს ყველა ბოროტებასა და გასაჭირს. ერთ სიძნელეს რომ დასძლევს ადამიანი, მაშინვე მის წინაშე ახალი დაბრკოლება ჩნდება და მისი გადალახვა ისევე აუცილებელი ხდება, როგორც უწინდელი წინააღმდეგობის გადაჭრა იყო უსათუო. ყოველ საზოგადოებასა და ეპოქას თავისი სატკივარი აქვს, თავისი უარყოფითი მოვლენები აწუხებს, მათზე თუ არ იზრუნა ადამიანმა, ისე თავის იდეალებს ვერ განახორციელებს. ადამიანი ვერ გაექცევა კეთილსა და ბოროტს შორის ჭიდილს, რადგან მისგან განდგომა თვითონ არის ბოროტება. ის, ვინც მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს და ქვეყნს არ უჭერს არც სიკეთესა და არც ბოროტებას, დანტემ ჯოჯოხეთში შესვლის ღირსადაც კი არ ჩათვალა.

რადგან კაცის ცხოვრებაში ყოველთვის იყო ბრძოლა დადებითსა და უარყოფითს, კეთილსა და ბოროტს შორის, ადამიანის გონებაც მუდამ ცდილობდა ჩასწვდომოდა ბოროტების, უარყოფითი მოვლენის ბუნებას, გაეგო მისი წარმომშობი მიზეზები. და ამოეცნო, წარმატების რა იმედი შეიძლება გექონდეს მასთან ბრძოლაში. ადამიანის გონების ეს ძიებაც უბრძოლველად, დაბრკოლებათა გადაულახავად არ ხდება. ბოროტებას ბევრი ხერხი აქვს იმისათვის, რომ მაძიებელს გული გაუტეხოს და მდევარს გზა აუბნიოს. ის ქმნის თავისი უძლეველობის მითს: „ასე იყო და ასე იქნებაო!" ის მოიმარჯვებს ფილოსოფოსთა ნათქვამს ყველაფრის შეფარდებითობის შესახებ: ყველაფერი შეფარდებითია, ბატონო, ერთ ქვეყანაში და ერთ დროს რომ უზნეოდ ითვლებოდა, სხვაგან და სხვა დროს სწორედ სათნოებად იყო აღიარებული; თქვენ რომ ბოროტებად გეჩვენებათ, ჩემთვის ის სიკეთეაო. ბოროტება იმ შეხედულებითაც სარგებლობს, რომ უარყოფა და წინააღმდეგობა გან-

ვითარების მამოძრავებელია; რაკი ასეა, ბოროტებისა და ოძის გარეშე საზოგადოება დამყაყდებოდაო. ბოროტება იმითაც სარგებლობს, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა ზოგჯერ ფარისევლურია, რომ პატიოსნებასა და წესიერებაზე ვინც ბევრს გაჰყვირის, და ამით თავს უცოდველად წარმოვვიდგენს, თვითონ არის ხოლმე ზოგჯერ უფრო დიდი ბოროტების ჩამდენი. ამგვარი ადამიანების საქმიანობა უფრო ამრავლებს ბოროტებას. ამიტომ ამბობდა გოეთე: სჯობს უსამართლობა ხდებოდეს, ვიდრე ის უსამართლო გზით მოისპოსო. ბოროტების წინააღმდეგ უგუნური ომი იმას იწვევს, რომ ასეთი ბრძოლა საერთოდ უაზროდ ეჩვენებათ ადამიანებს, და ეს ქმნის ბოროტების შემწყნარებელ განწყობილებას, ინერტულობისა და უმოქმედობის გამართლებას: „მაინც არაფერი გამოვა", „ყველამ თავის საქმეს მიხედოსო".

ამგვარი სიძნელეები იჩენენ თავს უარყოფითი მოვლენების შესახებ მსჯელობის დროს. დღეს გაუნათლებელი თითქმის აღარავინ გვყავს და უფრო მეტი უფლებით შეგვიძლია ვთქვათ, „ცოტა-ცოტა ყველას გვისწავლიაო". თითქმის ორი საუკუნის წინ გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი ირონიულად წერდა ლუდხანების პოლიტიკოსებზე, რომლებიც გაბედულად და თვითდაჯერებულად სჯიდნენ ყოველი სახელმწიფოს საქმიანობას. დღეს ადამიანს შეუძლია სერიოზული წიგნი არც კი გადაშალოს, თავი არ შეიწუხოს ისტორიისა და კულტურის შესწავლით და მხოლოდ გაზეთებისა და ტელევიზორის წყალობით წარმოდგენა ჰქონდეს მეცნიერების უახლეს პრობლემებზე, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის სიახლეებზე. ამიტომაც დღევანდელი ადამიანი კიდევ უფრო თვითდაჯერებულია თავის ცოდნაში, მით უფრო, თუ საქმე ეხება მისთვის ისეთ ცნობილ საგანს, როგორიც ადამიანის ცხოვრებაა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვითაც ხომ მას ხშირად უძლიერებენ იმ წარმოდგენას, თითქოს მას შეეძლოს თავისი კომპეტენტური აზრი გამოთქვას სოციალური ცხოვრების ყველა საკითხზე. ასეთი ადამიანები საინტერესოს არაფერს მოელიან საგანგებო მსჯელობიდან იმ საგნებზე, მაგალითად უარყოფით მოვლენებზე, რაც მათ ისეც თითქოს კარგად იციან. და ხშირად მათი მოლოდინი მართლდება ხოლმე: იმის ნაცვლად, რომ ამ მოვლენების მიზეზები გამოიკვლიონ, მათ ანბანურ ჭეშმარიტებებსა და მოარულ სიბრძნეს სთავაზობენ: რომ ქურდობა და უპატიოსნება ცუდია, რომ ქონების დაგროვება ცხოვრების მიზანი არ უნდა იყოს, რომ შრომა (განსაკუთრებით ფიზიკური!) აკეთილშობილებს ადამიანს და ა. შ. ამგვარი მსჯელობები დიდად ვერ აღძრავენ ინტერესს საზოგადოებრივი მოვლენებისადმი... და ადამიანი რჩება ყოველდღიური წარმოდგენების ტყვეობაში, მას უკვირს, რომ ამდენი ლაპარაკია თავისთავად ცხად ამბებზე, რომ აურზაურს ტეხენ ისეთ რაი-

მეზე, რაც ყოველთვის იყო, იქნება და, მადლობა ღმერთს, ადამიანები მაინც ცხოვრობენ და კარგ „პურსაცა ჭამენ“.

ადამიანის ცხოვრებაში უარყოფით მოვლენებზე როცა მსჯელობენ, ჩვეულებრივ მათ წარმოადგენენ ხოლმე როგორც ცალკეულ ნაკლოვანებებს, მათი ურთიერთკავშირი და ღრმა საფუძველი კი ჩრდილში რჩება და ამით ის მთავარი ზიანიც, რაც მათ ადამიანებისათვის მოაქვთ. ეს ბადებს გამარტივებულ შეხედულებებს უარყოფით მოვლენებზე, გაიოლებულად წარმოგვიდგენს მათ მავნე შედეგებს, ამაოდ გვაიმედებს იმით, რომ უარყოფითი მოვლენები არც ისე საშიშია, როგორც მათ გვიხატავენ, ხოლო მათი დაძლევა მაინცა და მაინც საძნელო საქმე არ უნდა იყოს.

უარყოფითი მოვლენების გამარტივებული გაგება თვითონ იწვევს უარყოფით დამოკიდებულებას ამ მოვლენებთან ბრძოლისადმი. ერთ-ერთი ასეთი გამარტივებული გაგება კი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგჯერ ისე წარმოადგენენ საქმის ვითარებას, თითქოს ეს მოვლენები მხოლოდ გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროს. მავანი და მავანი ადამიანების მიზეზით წარმოიშვნენ. მანამდე კი თითქოს ყველაფერი იდეალურად იყო, ყველაფერს თავისი წესი და რიგი ჰქონდა. ამგვარი მსჯელობა წარსულის შელამაზებაა და, ამასთან, მოვლენათა კავშირის გამარტივებული წარმოდგენა; რა თქმა უნდა, ცალკეულ ადამიანებს შეუძლიათ წააქეზონ წინაღუდგომლობით ბოროტება, მაგრამ შეცდომას ჩავიდენდით, თუკი თვით უარყოფითი მოვლენების არსებობას მათ დავაბრალებდით. ვინც თანამედროვე ცხოვრებას დაკვირვებია ანდა თუნდაც მის ამსახველ თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას, მან არ შეიძლება არ დაინახოს, თუ რამდენად არის ეს მოვლენები გავრცელებული არა მარტო ჩვენში. რა თქმა უნდა, შთამბეჭდავი ფაქტია ის, რომ არცთუ შორს წარსულში ერთ-ერთ სასწავლო წელს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ რაიონში უფრო მეტმა მოსწავლემ დაამთავრა სკოლა ოქროს მედლით, ვიდრე ბალტიისპირეთის სამ რესპუბლიკაში ერთად[1]. ეჭვი არ არის, ეს, ამ რაიონის ბავშვთა განსაკუთრებული ნიჭის გარდა, მათი მშობლებისა და მასწავლებლების მოხერხებითაც აიხსნება. მაგრამ ჩვენ ჩვენი უფრო კარგად ვიცით, სხვამ კიდევ თავისი. არც ის არის საეჭვო, რომ ყველა კუთხეს თავისი ოსტაპ ბენდერები და „ენერგიული ადამიანები“ ჰყავს. ასე რომ უარყოფით მოვლენებს ადგილობრივი ჯიშის კულტურებად ვერ მივიჩნევთ.

---

[1] А. Менабде. Протекционизм и борьба с ним. Изд-во «Мецниереба», Тб., 1977, с. 25.

უარყოფითი მოვლენების მიზეზების მეორე გამარტივებული და. ამასთან, საკმაოდ გავრცელებული გაგებაა მათი ახსნა მხოლოდ მატერიალური პირობებით — იმით, რომ „პატიოსანი გზით“, მხოლოდ ხელფასის იმედით ძნელია კაცმა „კაცურად“ იცხოვროს (როგორც პოეტი ამბობს, „რომ თუ ხარ სუფთა, — შენსავით მტერმა იცხოვრა შენმა!“) და ამიტომ ის იძულებულია უკანონო გზას დაადგეს — იქურდოს, ითაღლითოს, სახელმწიფოს ან სხვა ადამიანს ჩაუყოს ჯიბეში ხელი (რა თქმა უნდა, ამგვარად რომ ამართლებს უარყოფით მოვლენებს, მას თუ მოვუნდომებთ გაქურდვას, ისეთ ყვირილს ატეხავს, მეორედ ჭოსვლა გეგონებათ). უარყოფითი მოვლენების მიზეზების ამგვარ ახსნას ვერ გავაბათილებთ იმით, თუკი გავიხსენებთ იმას, რომ საქმოსნები და მექრთამეები ყოველთვის „დუხჭირ“ ცხოვრებას კი არ დაუყენებია ამ გზაზე, ან იმას, რომ ქურდობისა და დამნაშავეობის გზას არაიშვიათად უზრუნველყოფილი მშობლების შთამომავლები ადგებიან. ამგვარ ჩვენს „საბუთებს“ იმით უპასუხებენ ალბათ, რომ რაკი ბევრს მატერიალური პირობები უბიძგებს დანაშაულის ჩადენას, უკანონობა საერთო წესი ხდება და საერთო ფეხის ხმას ისიც აჰყვება, ვისაც ასეთი გასაჭირი არა აქვს. ცხადია, უარყოფით მოვლენებს უფრო რთული მიზეზები აქვთ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეინც ამგვარად ხსნის და ამართლებს დანაშაულს, ის მხოლოდ ქურდობის გამართლებით ვერ დაკმაყოფილდება. რაკი ადამიანი უკანონობის გზას დაადგება, ის აღარაფრის წინაშე უკან აღარ დაიხევს და თავისი დანაშაულის დასაფარავად სხვის, უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლესაც ადვილად გასწირავს ხოლმე, ხოლო რაკი უკანონობას „ბუნებრივი“ მიზეზი მოვუნახეთ, არც ამგვარი დანაშაული უნდა ჩავთვალოთ უჩვეულოდ.

უარყოფითი მოვლენების მიზეზების ამგვარი გამარტივებული ახსნა და მათი მიჩნევა „ბუნებრივად“ ადამიანისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს კი არ ამართლებს მხოლოდ, არამედ იმგვარი ატმოსფეროს შექმნასაც უწყობს ხელს, როცა ადამიანებს ეკარგებათ ზნეობრივ ღირებულებათა რწმენა, ადამიანთა ურთიერთობაში აღებ-მიცემობა იმდენად იჭრება, რომ საჩუქრისა და „პატივისცემის“ გარეშე ნათესავს ნათესავის იმედი აღარა აქვს და მეგობარს მეგობრისა. ვრცელდება ის შეხედულება, რომ ყველა ქურდია და ამიტომ ნაქურდლის მოპარვა არც არის ცოდვა... ჰოდა, თუ ყველა ქურდია, არც ყოფილა ადამიანთა მოდგმა პატივისცემის ღირსი, შეიძლება ადამიანს ფეხიც დააბიჯო, შისი მიზნები და სიცოცხლეც გადათელო შენი მიზნების მისაღწევად; შეიძლება არაფრად ჩაგდო საზოგადოებაც, რომელიც თურმე ქურდებისაგან შედგება, ქვეყანაც, მისი კულტურაცა და მომავალიც. თუ ქურდობა დასაძრახი არ არის მაინცა და მაინც, არც ის სჩადის დიდ ცოდვას,

ვინც იქით მდიდრდება, რომ ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობს და ახალგაზრდობაში აერცელებს მათ.

გასულ საუკუნეში დიდი ილია წერდა: „მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობრივ განძს, როგორც თითოეული ადამიანისას, ისე მთელი ერისა, და ეგ განძია იგი კლდე, რომელზეც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა". უარყოფითი მოელენები სწორედ ამ ზნეობრივ განძს ემუქრებიან და იმ კლდეს შლიან, რომელზეც ერის აწმყო და მომავალი უნდა აშენდეს.

რა თქმა უნდა, უარყოფით მოვლენებს ღრმა მიზეზები აქვთ და მათი შერისხვით საქმეს არ ეშველება. უწინარეს ყოვლისა ამ მიზეზებს უნდა მივხედოთ, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიზეზები საბედისწერო გარდაუვალობით როდი მოქმედებენ. კარგად არის ცნობილი, მაგალითად, როგორ იყო გავრცელებული მეფის რუსეთში მექრთამეობა. „ირგვლივ სუფევდა... საყოველთაო მექრთამეობა და უსამართლობა..." და ამ პირობებშიც ადამიანები ახერხებდნენ პატიოსნების შენარჩუნებას. გ. კოროლენკო მოგვითხრობს, როგორ გადაწყვიტა მწერლის მამამ, სამაზრო მოსამართლემ, მემკვიდრეობის საქმე ქვრივი ქალის სასარგებლოდ და როგორ მოართვა სასამართლო პროცესის შემდეგ გამდიდრებულმა ქალმა მას დიდი ძღვენი: სასტიკად აღშფოთებულმა მოსამართლემ მანამ არ მოისვენა, სანამ ურიკაზე არ დაყარა საჩუქრები და არ გაატანა უკან მის პატივისცემელს. ოღონდ დედოფალა არ დაანება ატირებულმა გოგონამ მამას, რომელიც ამის გამო საყვედურებდა ბავშვებს: თქვენი წყალობით მაინც მექრთამე გავხდიო.

რუსეთის სასამართლო დაწესებულებათა სისტემაში მაღალი თანამდებობა ეკავა ცნობილ იურისტს ა. თ. კონის. მოსამართლედ რომ აერჩიათ, წესის თანახმად, ის 1200 დესეტინა მიწის მფლობელი უნდა ყოფილიყო, და მან, მართლაც, ამ მიზნით შეიძინა უვარგისი მიწა, რომელიც მას ვერავითარ შემოსავალს ვერ მისცემდა. იყო დრო, როცა სახელგანთქმულ მოღვაწეს იმდენად გაცრეცილი პალტო ეცვა, რომ „წარჩინებულთა" კარისკაცნი ათვალისწუნებით უყურებდნენ და სახლში არ უშვებდნენ. მიწის ცენზს თითქოს ანგარებისაგან უნდა დაეცვა სასამართლოს მოხელე, სინამდვილეში კი ა. თ. კონის ფიუდგომლობის გარანტია მისი პატიოსნება იყო და არა დაჭაობებული მამული.

თქმა არ უნდა, ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სულის სიძლიერით, უფრო სწორად ამ შემთხვევაში იმით, რას უფრო თაკილობენ — უპატიოსნებას თუ იმას, რომ შეძლებითა და პრესტიჟული ნივთების ფლობით სხვებს ჩამორჩებიან. უარყოფით მოვლენებთან ბრძოლაში

არ შეიძლება იმის იმედზე ვიყოთ, რომ ყველას ამგვარი სიმტკიცე აღმოაჩნდება: მთავარია იმ მიზეზის გამოვლენა, რაც უმრავლესობას ამგვარი მოვლენებისაკენ უბიძგებს, და იმ პირობების მოსპობაზე ზრუნვა, რომლებიც ამ მოვლენების არსებობისათვის არიან ხელსაყრელი.

უარყოფითი მოვლენების გამარტივებული ახსნა მათი დაძლევის გზებსაც გაიოლებულად წარმოგვიდგენს. როდესაც ამ მოვლენების მიზეზებად მხოლოდ ობიექტურ პირობებს თვლიან, მაშინ მათი დაძლევის იმედსაც ამ პირობებზე ამყარებენ, ფიქრობენ, რომ ისინი დაიძლევა, როცა გაიზრდება საზოგადოებრივი სიმდიდრე, ადამიანთა შემოსავალი, რაც ზედმეტს და უაზროს გახდის უკანონო შემოსავლისაკენ მისწრაფებას. ხოლო როდესაც ამ მოვლენების მიზეზად უმთავრესად სუბიექტური შეცდომები, ცალკეული ადამიანების დანაშაულებრივი საქმიანობა მიაჩნიათ, მაშინ მათი დაძლევის გზასაც მხოლოდ კაცების შეცვლასა და დამნაშავეთა მკაცრ დასჯაში ხედავენ ხოლმე. მაგრამ იმის იმედზე ყოფნა, რომ თუკი მკაცრად დავსჯით დამნაშავეებს, ამით უარყოფითი მოვლენებს მოვევლება, გულუბრყვილო ადამიანის ოცნებაა, გულუბრყვილობა კი ყოველთვის როდია ღირსება: დამნაშავეთა დამსჯელნიც ხომ ადამიანები არიან და არც ისინი იქნებიან დაზღვეული ცოდვებისაგან. კანონიერების დარღვევებიც ხომ ერთ-ერთი უარყოფითი მოვლენაა. იმის თქმა, რომ კანონიერების დარღვევებს კანონების მკაცრი დაცვით უნდა ვებრძოლოთ, არაფრის თქმა არ არის.

უარყოფითი მოვლენების სირთულე იმაშიცაა, რომ ისინი უკავშირდებიან, ავრეთვე, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ტენდენციებს, საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების წყალობით ადამიანს შეექმნა სამუშაო დროის შემცირების შესაძლებლობა, მას უფრო მეტი დრო და საშუალებები აქვს დასვენებისა და გართობისათვის, კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ამავე დროს ნივთების მომრავლებამ, გართობისა და დასვენების საშუალებათა ზრდამ ბიძგი მისცა იმას, რომ ადამიანებმა მოხმარებისა და დასვენება-გართობის სფეროზე გადაიტანონ ყურადღება. ის, რომ სიმდიდრის ზრდას ყოველთვის არ მოსდევს ზნეობრივი წინსვლა, ეს დიდი ხნის შემჩნეული ვითარებაა. „განა ყოველ ნაბიჯზე არ ვხედავთ, — წერდა ცნობილი მოაზროვნე და პედაგოგი კ. უშინსკი, — რომ სიმდიდრის ზეგავლენა პირდაპირ დამანგრეველად მოქმედებს არა მარტო ზნეობაზე, არამედ ავრეთვე საზოგადოების ბედნიერებაზე, თუკი საზოგადობა არ არის ჯერ მომზადებული იმისათვის, რომ გაუძლოს მოზღვავებული სიმდიდრის მოწოლას?“

უარყოფითი მოვლენების (ყოველ შემთხვევაში იმ უარყოფითი მოვლენების, რომელთაც ჩვენ ვიხილავთ) მთავარი სირთულე მაინც ის

არის, რომ ისინი ადამიანის სულში, მის ცნობიერებაში იბადებიან. ხოლო ადამიანი და მისი ცნობიერება რთულია და მათზე ბევრი რამ ახდენს გავლენას — საზოგადოება და ოჯახი, სკოლა და წიგნი, წარსული და აწმყო. და აქაც გამარტივების საფრთხე გველოდება. ადამიანისათვის არაფერია უფრო ახლობელი და ნაცნობი, ვიდრე ადამიანია, და ამიტომ ის იოლად სჯის მათ შესახებ, მარტივად ჰყოფს მათ წმინდანებად და უწმინდურებად და ამით უარყოფითი მოვლენების პრობლემებსაც ერთი ხელის მოსმით წყვეტს: ყველა დამნაშავე უნდა გავაციმბიროთ, საზოგადოებას მოვაშოროთ და მაშინ ყველაფერი მოწესრიგდება. მაგრამ ამ გზას თუ დავადექით, ძალიან შორს შეიძლება წავიდეთ. გავიხსენოთ, რას ამბობდა ფრანგი ფილოსოფოსი მიშელ მონტენი: „მე არ ვიცნობ არც ერთ პატიოსან ადამიანს, რომელიც თუკი თავის საქციელსა და აზრებს კანონის მოთხოვნებს შეადარებდა, იმ დასკვნამდე არ მივიდოდა, რომ თავისი სიცოცხლის მანძილზე ის ერთი ათჯერ მაინც იმსახურებდა სახრჩობელას“. ნუ გავიგებთ ამას სიტყვასიტყვით: მონტენი ბოროტსა და კეთილს შორის განსხვავებას არ უარყოფს, ის მხოლოდ პრიმიტიულობის წინააღმდეგია.

ერთი სიძნელეცა აქვს იმ შეხედულებას, რომელიც მარტივად ყოფს ადამიანებს ორ ჯგუფად და ამის მიხედვით გვთავაზობს უარყოფითი მოვლენების დაძლევის საშუალებად მკაცრ ღონისძიებებს: ვინ უნდა გადაარჩინოს ბოროტი და კეთილი? ასეთი თვალსაზრისის მომხრე იმის იმედზეა, რომ „პირველი კაცი“ ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობებზე „პატიოსან და უნარიან“ ადამიანებს შეარჩევს, ესენი, თავის მხრივ, უფრო დაბალი საფეხურისათვის გამოძებნიან კადრებს და ასე აშენდება საზოგადოება ზემოდან. ამგვარი შეხედულება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ისტორიაზე გარკვეულ თვალსაზრისს ემყარება. მის მიხედვით, საზოგადოების ცხოვრებას მეფეები და პრეზიდენტები წარმართავენ, ომებს მხედართმთავრები იგებენ, რევოლუციებს ბელადები იწვევენ. ამგვარი თვალსაზრისი საზოგადოებაში მხოლოდ ადამიანებსა და ნივთებს ხედავს და ვერ ამჩნევს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციას. ამის შესაბამისად მან საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრის მხოლოდ ერთი გზა იცის: ბოროტი ხელმწიფე კეთილით უნდა შეიცვალოს, უგუნური ხელმძღვანელი გონიერით, უსინდისო მოხელე პატიოსნით. საზოგადოებრივ ცხოვრებას ასე მარტივად თუ ავხსნით, უარყოფით მოვლენებთან ბრძოლაც მზესავით ნათლად წარმოგვიდგება — როგორც დამნაშავეთა უმკაცრესი დასჯა. მხოლოდ ქირურგია და არავითარი თერაპია!

ყოფნა და ფლობა

ადამიანები გამორჩენის ისეთმა მისწრაფებამ შეიპყრო, რომ, როგორც ჩანს, მათ ქონება უფრო ფლობს, ვიდრე ისინი ფლობენ ქონებას.

პლინიუს უმცროსი

Бог весть за что — философы, пииты,
На твой и мой давным-давно сердиты.

პუშკინი

დადებითად და უარყოფითად მრავალი მოვლენა შეიძლება შეფასდეს, მათ შორის ბუნების მოვლენებიც. მაგრამ როცა უარყოფით მოვლენებზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ იმ მოვლენებს გულისხმობენ, რომლებიც ადამიანთა ცხოვრებაში გვხვდება და ამ ცხოვრების წესს კი ეწინააღმდეგება. ქურდობა, ერთმანეთის მოტყუება, მექრთამეობა და გამოძალვა, ხულიგნობა და ავკაცობა და სხვ. ადამიანებს ჩვეულებრივ მოსაწონ საქციელად არ მიაჩნიათ, მაგრამ ზოგჯერ ისე გაუკუღმართდება ხოლმე დრო, რომ ქურდს აღარ არქმევენ ქურდის სახელს და ავკაცობას აღარ თვლიან ავკაცობად. ქრთამს „პატივისცემას“ შეარქმევენ, დამტაცებელს კომბინატორად, „საქმოსნად“, „მოხერხებულად“ მონათლავენ. რატომ ხდება ეს?

ადამიანის ქცევის მოტივებიც მრავალნაირი შეიძლება იყოს. იმ საქციელისათვის, რომელსაც უარყოფით მოვლენას ვუწოდებთ, ერთ-ერთი მოტივი ხშირად არის ანგარება, მხოლოდ საკუთარ სარგებლიანობაზე ზრუნვა და ამ ზრუნვის პროცესში სხვა ადამიანისა და მისი ინტერესების არარად ჩაგდება, უფრო კი სხვა ადამიანის გამოყენება საშუალებად ამ სარგებლიანობისათვის. ქურდი ისე ვერ მოიპარავს, თუ არავინ გაქურდა. თაღლითი ვერ ითაღლითებს, თუ ვინმე არ მოატყუა. როგორ ხდება ის, რომ ადამიანები სხვა ადამიანთა ინტერესებს ადვილად სწირავენ საკუთარ სიამოვნებას, როგორ ივიწყებენ ადამიანები იმას, რომ, როგორც ერთი მოსამართლე უხსნიდა ბრალდებულს, მისი ხელის თავისუფლება იქ თავდება, სადაც მეორე ადამიანის ცხვირი იწყება?

ერთ-ერთი ახსნა ამ უკუღმართობისა ის არის, რომ ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია საკუთრებას. ადამიანის მდგომარეობა ბევრად არის დამოკიდებული მის ქონებაზე და ამიტომ ადამიანი იქამდე მიდის, რომ ყველა თავის მისწრაფებას საკუთრებაზე, ქონებაზე ზრუნვას უმორჩილებს, კერძომესაკუთრული მისწრაფება მისი ცხოვ-

რების ძირითადი მოტივი ხდება და ის ახშობს სხვა ადამიანებისადმი სიყვარულის, თანაგრძნობისა და სხვა გრძნობებს.

როცა უარყოფით მოვლენებს უმთავრესად კერძომესაკუთრული ტენდენციის გამოვლენად თელიან, ამგვარი ახსნა ბევრ გაუგებრობასა და წინააღმდეგობას აწყდება. კერძო საკუთრებას ადამიანის სასიცოცხლო ინსტინქტთან, მის მეობასთან აკავშირებენ. „ჩემის“ და „შენის“ გარჩევის გარეშე ადამიანი ინდივიდუალობასაც დაკარგავდაო, ამტკიცებენ. „არის მხოლოდ ერთი ბოროტება, ეს არის ეგოიზმი; და არის მხოლოდ ერთი სიკეთე, ეს არის სიყვარული“, ამბობდა გერმანელი ფილოსოფოსი ლუდვიგ ფოიერბახი. სიყვარული რომ სიკეთეა, ამაში ალბათ არავინ დაეჭვდება, გარდა მარქსიზმის ეულგარიზატორისა, რომელსაც ჰგონია, რომ კლასობრივი ბრძოლა ადამიანთა შორის სიყვარულს გამორიცხავს. რაც შეეხება ეგოიზმს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მას სალანძღავ სიტყვად იღებს, მაინც გავრცელებულია ის აზრი, რომ ის ადამიანის ბუნებისაგან მოუცილებელია, რომ სიკეთეც. კი კარგად გაანგარიშებული ეგოიზმია.

გაუგებრობის წყარო ისიც არის, რომ ხშირად არ მიჯნავენ საკუთრებას კერძო საკუთრებისაგან და კერძო საკუთრების კრიტიკა ზოგს საერთოდ საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლა ჰგონია, იმიტომ კი არა, რომ პოლიტიკურ ეკონომიაში მოიკოჭლებს, არამედ უფრო იმიტომ, რომ უნახავს, როგორ სპობდნენ კერძო საკუთრებასთან ბრძოლის სახელით მატერიალურ ფასეულობებს.

ლიტერატურისმცოდნეებს უყვართ რევოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულების განსაძარტავად ასეთი მაგალითის მოშველიება: ვლადიმერ მაიაკოვსკიმ რევოლუციის შესახებ უყოყმანოდ თქვა „ჩემი რევოლუცია!“ ალექსანდრე ბლოკმა კი მოიწონა რევოლუცია, მაგრამ დაუმატა: „ბიბლიოთეკა დამიწვესო“. ამით იმის თქმა უნდათ, რომ ბლოკი კი. იყო რევოლუციის მომხრე, მაგრამ ისე გადაჭრით არა, როგორც მაიაკოვსკი. იქნებ ამ მაგალითს სხვა მხრიდანაც უნდა შევხედოთ. იქნებ ბლოკიც ნაკლებად არ იყო ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგი, აკი იგი წერდა კიდეც, რომ მას არ შეუძლია ბედნიერი იყოს, ვიდრე სხვაა უბედური, მაგრამ იქნებ ბლოკი იმაზეც ფიქრობდა, რომ ბიბლიოთეკისა და სხვა კულტურულ ფასეულებათა მოსპობა რევოლუციას სახელს გაუტეხს და ზიანსაც მიაყენებს. რევოლუციური ენთუზიაზმი, რა თქმა უნდა, დიდი ძალაა, მაგრამ ის ბრმა არ უნდა იყოს. რევოლუციის პროცესში ძველი წყობილება ინგრევა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უნდა გავანადგუროთ ძველი საზოგადოების მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე. ამ უაზრო ნგრევის გამართლებას შემდეგ იმ „ფილოსოფიამდეც“ მივყავართ, რომ როცა

ტყეს ჩეხენ, ნაფოტებზე არ უნდა ვინაღვლოთო და ამით კანონიერების დარღვევების მიერ მოტანილ დიდ ზიანს არაფრად აგდებდნენ.

რაც შეეხება კერძო საკუთრებასა და მის გავლენას ადამიანის ცხოვრებაზე, ეს თვალსაზრისიც ახალი არ არის. „პირველი, ვისაც აზრად მოუვიდა მიწის ნაკვეთი შემოეღობა, ეთქვა „ეს ჩემია", და ვინც საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანები იპოვა, რომელთაც ეს ირწმუნეს, სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი დამაარსებელი იყო. რაოდენი დანაშაულისაგან იხსნიდა ადამიანთა გვარს ის, ვინც მარგილებს ამოაძრობდა, თხრილს ამოავსებდა და მახლობლებს შესძახებდა: „ნუ დაუჯერებთ ამ მატყუარას, თქვენ დაიღუპებით, თუკი დაივიწყებთ, რომ მიწის ნაყოფი ყველას ეკუთვნის, მიწა კი — არავის!" ჟან-ჟაკ რუსოს ეს ცნობილი ნათქვამიც ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით ესმით ხოლმე: თითქოს რუსოს მიხედვით, კერძო საკუთრება ზუსტად იმგვარად წარმოიშვა, როგორც მან ამ სიტყვებით დაახასიათა. სინამდვილეში აქ მხოლოდ ხატოვნად არის ნათქვამი ის, რომ კერძო საკუთრება ადამიანის ბევრი უბედურების მიზეზია და რომ ის სრულიადაც არ არის ადამიანთა ცხოვრების ბუნებრივი პირობა, როგორც ეს ბევრს ჰგონია. მართლაც, კერძო საკუთრების წარმოშობამდე საზოგადოებრივი საკუთრების არსებობა უეჭველია, საზოგადოებრივი, „თემური" საკუთრების ძლიერი გადმონაშთები ჩვენშიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ არსებობდა. იმის შემდეგ, რაც კერძო საკუთრება და ქონებრივი უთანასწორობა წარმოიშვა, საზოგადოება კიდევ დიდ ხანს მისტიროდა წარსულში არსებულ ერთობასა და თანასწორობას. მონათმფლობელურ საბერძნეთში ცნობილი ორატორი დემოსთენე, მაგალითად, ამბობდა: „უწინდელ დროს... ყველაფერი სხვაგვარად იყო, ვიდრე ახლა არის. უწინდელ დროს ყველაფერი, რაც სახელმწიფოს ეკუთვნოდა, სიმდიდრითა და სიუხვით ბრწყინავდა, მოქალაქეთა შორის გარეგნულად არავინ გამოირჩეოდა. ახლაც ყოველ თქვენგანს შეუძლია დარწმუნდეს იმაში, რომ თემისტოკლეს, მილტიადესა და ყველა სხვა გამოჩენილი ადამიანის საცხოვრებლები არაფრით უკეთესი და გამორჩეული არ იყო, ვიდრე მათი თანამოქალაქეების საცხოვრებლები, მაშინ როცა მათ დროს აღმართული საზოგადოებრივი შენობები და ძეგლები თავიანთი სიდიადითა და ბრწყინვალებით სამუდამოდ დარჩებიან მიუღწეველ ნიმუშებად... ახლა კი არაიშვიათად სახელმწიფო მოღვაწეები უფრო ბრწყინვალე სახლებში ცხოვრობენ, ვიდრე ბევრი საზოგადოებრივი შენობაა..." თუმცა დემოსთენე მონათმფლობელური საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურებს ადარებს, მაგრამ უთანასწორობის ზრდას მაინც აღნიშნავს და უარყოფითად აფასებს მას.

კერძო საკუთრების უარყოფითი გავლენის შესახებ საზოგადოების ცხოვრებაზე ბევრი მოაზროვნე წერდა. ჯერ კიდევ პლატონი ფიქრობ-

და, რომ სახელმწიფოს ლუპავს „ოქროს დაგროვება კერძო პირთა სარდაფებში“. რაც უფრო მდიდრდებიან მესაკუთრენი, მისი აზრით, მით უფრო მეტად ადგებიან ისინი ბოროტების გზას. სიმდიდრესა და სათნოებას შორის თანაფარდობას ის სასწორის ორ მხარეს ადარებდა, ე. ი. ფიქრობდა, რომ რაც უფრო მეტად აფასებენ სახელმწიფოში სიმდიდრესა და მდიდრებს, მით უფრო ნაკლებად აფასებენ იქ სათნოებასა და სათნო ადამიანებს. ასეთ სახელმწიფოში თითქოს ორი სახელმწიფო წარმოიშობა — ღარიბებისა და მდიდრებისა: თუმცა ისინი ერთსა და იმავე ტერიტორიაზე იარსებებენ, მაგრამ ერთმანეთის წინააღმდეგ იქნებიანო განწყობილი.

მართალია ცოტა უცნაურად კი მსჯელობს ფილოსოფოსი: მისი აზრით, ოქრო და ვერცხლი ყველას კი არა ვნებს, არამედ მხოლოდ მხედრებს, რომელთაც სახელმწიფოს დაცვა ევალებათ — მხედრებს ღვთაებრივი ოქრო აქვთ სულში და მომაკვდავთა ოქრო ღვთაებრივს წაბილწავსო. მხედრებს პლატონი უკრძალავს ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლის ხმარებას, სამკაულად ძვირფასი ლითონების გამოყენებას. მათთვის ის მზად არის ცოლებისა და შვილების ერთობაც დააწესოს. კერძო საკუთრებას, საერთოდ, კი პლატონი არ უარყოფს. პირიქით, მთელი სიმკაცრით მოითხოვს, რომ უძრავად დატოვონ სამიჯნაო ქვა, რომელიც მეზობლების მამულებს ერთმანეთისაგან ჰყოფს. ცალკეული ადამიანების ბედზე უფრო მეტად პლატონს სახელმწიფოს ბედი აწუხებს.

ქრისტიანული მოძღვრება არა მარტო კერძო საკუთრების, არამედ ყოველგვარი საკუთრების უარმყოფელი იყო, ყოველ შემთხვევაში თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზე. როგორც აქლემი ვერ გაძვრებაო ნემსის ყუნწში, ისე მდიდარი ვერ შეაღწევსო სამოთხეში, ქადაგებდა ის. ქრისტე თავის მდიდარ მოწაფეს ურჩევს, მამული გაყიდე და ღატაკთ დაურიგეო. ერთ-ერთ ქრისტიანულ წიგნში ქონების ერთობაზე დამყარებული თემის ცხოვრება ასეა აღწერილი: და არავინ თავისი მამულიდან არაფერს თავისად არ უწოდებდა, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ... არავინ იყო მათ შორის გაჭირვებული, რადგან ყველანი, ვინც მიწას ან სახლს ფლობდა, ყიდდნენ მათ, საფასური მოჰქონდათ და მოციქულების ფერხთით აწყობდნენ, და თითოეულს ეძლეოდა, რაც მას სჭირდებოდა. — თუმცაღა ქრისტიანული რელიგია არსებითად მხოლოდ სიტყვიერად უარყოფდა კერძო საკუთრებას, რადგან ის საეჭო ცხოვრების ღირებულების დაჩდაბლებასთან ერთად ქონების უარმყოფელიც უნდა ყოფილიყო, პრაქტიკულად კი ის კარგად ეგუებოდა კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებას, ხოლო ქრისტიანული ეკლესიაც თვითონ იყო საკმაოდ მსხვილი მესაკუთრე.

კერძო საკუთრებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, იგი იცვლებოდა. არსებობდა საკუთარ შრომაზე დამყარებული საკუთრება და სხვისი შრომის მითვისებაზე დამყარებული კერძო საკუთრებაც, მონათმფლობელური და ფეოდალური, ბატონყმური საზოგადოებები კერძო საკუთრებას ემყარებოდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ იყო გადაქცეული საზოგადოებრივი ცხოვრების იმ მთავარ ღერძად, როგორადაც ის კაპიტალიზმის დროს იქცა. მართალია, კერძო საკუთრებასა და ფულისკენ მისწრაფებას ამ საზოგადოებებში ბევრი აბრალებდა ზნეობის გადაგვარებას, მაგრამ მათი პატრიარქალური ხასიათის გამო სიმდიდრეს აქ ბევრი სხვა ღირებულება ეპაექრებოდა. მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გადაიქცა კერძო საკუთრება სოციალური ცხოვრების ერთადერთ საფუძვლად, ხოლო მისი ზრდა — ადამიანთა ცხოვრების მთავარ მამოძრავებელ მოტივად. რადგან აქ საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს, თუ განუწყვეტლივ. არ იზრუნა სიმდიდრის მომრავლებაზე, კაპიტალის ზრდაზე. „ანტიკური საზოგადოება, — წერდა მარქსი, — გმობს ფულს, როგორც მონეტას, რომელზედაც მისი ეკონომიური და ზნეობრივი წყობილება ხურდავდება. თანამედროვე საზოგადოება, რომელმაც თავის სიყმაწვილეში თმით ამოათრია პლუტოსი (სიმდიდრის ღმერთი) დედამიწის წიაღიდან, მიესალმება ოქროს, როგორც თავის ყველაზე ძირითადი პრინციპის ბრწყინვალე განსახიერებას"[2].

ფეოდალური საზოგადოების წოდებები და ფენები მხოლოდ ქონების სიდიდით კი არ განსხვავდებოდნენ, არამედ გვარითა და წარმოშობით განსაზღვრული პრივილეგიებითაც. ფრანგი მორალისტი შამფორი გონებამახვილურად წერდა: საფრანგეთში თავადაზნაურობას რომ ეკუთვნოდე, ამის პირდაპირ საბუთად ის ითვლება, თუ შენი წინაპარი ერთ-ერთი იმ ოცდაათიათასთაგანი იყო, რომლებიც აბჯარასხმულნი და მუზარადებით, რკინის სამკლავეებითა და საბარკულებით დაცულნი, მძლავრ თოროსან ცხენებზე შემსხდარნი, მუსრს აცლებდნენ ჩვენს შვიდრვა მილიონ უიარაღო წინაპარს. წოდებრივი პრივილეგიების გაუქმების მიუხედავად „კეთილშობილურ" გვარს არც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დაუკარგავს მომხიბვლელობა, მაგრამ უმთავრესი ხიბლი მაინც კაპიტალსა აქვს. კაპიტალის ძალაში რწმენა კარგად გამოხატა ერთმა რუსმა ვაჭარმა, რომელსაც პასუხისგებაში მიცემას უპირებდნენ: „რაო, მე უნდა ჩამსვათ ციხეში? ვაჭარი, თორმეტი მილიონი კაპიტალის პატრონი?" — გაიკვირვა მან[3]. საზოგადოებაში, სადაც თვითმოზ-

2 კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I, თბ., 1954, გვ. 170—171.

3 А. Ф. Кони. Собр. соч., в восьми томах, т. I, М., 1966, с. 39.

ნად იქცა კაპიტალის ზრდა, ეს უკანასკნელია ადამიანის წარმატების, მისი ღირსებებისა და ნიშის საზომი. ხოლო რამდენადაც ამ საზოგადოებამ ფართო გასაქანი მისცა კონკურენციას, რომელიც ადამიანებს ერთმანეთს უპირისპირებს, ის ხელს უწყობს ინდივიდუალიზმისა და ეგოისტური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას.

საკუთრებრივი ურთიერთობანი ღრმა დაღს ასვამს ადამიანს და მაინც საქმის გამარტივება იქნებოდა, თუკი ეგოიზმსა და ინდივიდუალიზმს მხოლოდ კერძო საკუთრებასთან და მით უფრო მის კაპიტალისტურ ფორმასთან დავაკავშირებდით. „ეგოისტი" და „ინდივიდუალისტია" ყოველი ცოცხალი არსება, რამდენადაც თავისი არსებობის შენარჩუნებაზე ზრუნავს უმთავრესად და არსებობისათვის ბრძოლაში სხვა არსებების „ინტერესებს" ეჯახება. რა თქმა უნდა, საზოგადოებათმცოდნეობაში კერძო საკუთრებას ყოველგვარ პირად საკუთრებას კი არ უწოდებენ, არამედ საკუთრებას წარმოების საშუალებებზე, რამდენადაც ის შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვისი შრომის შედეგების მისათვისებლად, მაგრამ თავისი ბუნებით ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი როგორც ცხოვრებისეული პოზიციები არსებითად არ განსხვავდებიან კერძომესაკუთრული ტენდენციებისაგან. თუმცა აუცილებლობით არ არიან დაკავშირებული კერძო საკუთრების არსებობასთან. ამიტომაც არაფერი უცნაური იმაში არ არის, რომ კერძომესაკუთრულ ტენდენციებს მაშინ ვებრძვით, როცა კერძო საკუთრება დიდი ხანია თითქოს გაუქმებული გვაქვს. თუმცაღა კერძო საკუთრების არსებობა-არარსებობის საკითხიც ასე მარტივად არ წყდება: როდესაც, მაგალითად, საზოგადოების კუთვნილი მანქანა-იარაღებით, საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფ ქარხანასა თუ ფაბრიკაში, ან ფარულად ორგანიზებულ საამქროებში „მარცხენა" საქონელს ამზადებენ და ჰყიდიან, ძნელი სათქმელია. საზოგადოებრივ საკუთრებასთან გვაქვს საქმე თუ კერძო საკუთრებასთან. როგორც ჩანს, საზოგადოებრივი საკუთრების ბატონობა თავისთავად როდი უზრუნველყოფს იმას, რომ ის არ იქნება გამოყენებული კერძომესაკუთრული მიზნებით.

ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი რომ აუცილებლობით კერძო საკუთრებას არ ემყარებიან, ეს კარგად ჩანს ოჯახურ ცხოვრებაზე დაკვირვებიდანაც: როგორც არ უნდა ბატონობდეს საზოგადოებრივი საკუთრება, თუკი ოჯახში ბავშვის ყველა კაპრიზი დაუყოვნებლივ სრულდება, თუკი მას შრომასა და მოვალეობის შესრულებას არ ვიჩვევენ, ეს საკმარისი იქნება მასში ეგოისტური და ინდივიდუალისტური, თუ გნებავთ კერძომესაკუთრული მიდრეკილების ჩამოსაყალიბებლად.

ნათქვამიდან ისიც ჩანს, რომ უარყოფითი მოვლენების, „კერძომესაკუთრული" ტენდენციების არსებობა სრულიადაც არ არის აუცი-

ლებელი იმით ავხსნათ, რომ ისინი ე. წ. „გადმოხაშთებს“ წარმოადგენენ ან უმთავრესად კაპიტალისტური სამყაროს არსებობას და მის გავლენას მივაწეროთ ისინი. ერთიცა და მეორეც უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ უმთავრესად მათ ვერ დავაბრალებთ ამ მოვლენების არსებობას. მით უფრო, რომ ზოგიერთი უარყოფითი მოვლენა ჩვენში ნაკლებად როდია გავრცელებული, ვიდრე იმ საზოგადოებაში, რომლის გავლენასაც მივაწერთ ხოლმე ამ მოვლენებს.

კერძო საკუთრებას ზოგჯერ ადამიანის ბუნებისაგან განუცალკევებელ რაიმედ მიიჩნევენ, თვლიან, რომ ადამიანისათვის არაფერია ისე ბუნებრივი, როგორიც „ჩემი“ და „შენი“, და არაფერია ისე უცხო, ვიდრე „ჩვენი“. სინამდვილეში კი, როცა ადამიანები კარგად განასხვავებენ „ჩემსა“ და „შენს“, ეს არ უშლით მათ ხელს მიითვისონ „სხვისი“, თავისად აქციონ ის, ხოლო „ჩვენი“ ადამიანებისათვის არასოდეს არ ყოფილა უცხო, მაგალითად ოჯახის საკუთრების აღსანიშნავად. ასევე ბუნებრივად აკავშირებენ ადამიანები „ჩვენს“ სამშობლოსთან, მის ბუნებასა და კულტურასთან და ა. შ. „ჩემი“ და „შენი“ ასე ბუნებრივად რომ იყოს დაკავშირებული კერძო საკუთრებასთან, ალბათ არც იტყოდა პოეტი „რასაცა გასცემ, შენიაო“ და არც ხალხის ზნეობრივ მრწამსს დავუკავშირდებით ამ აფორიზმს.

საკუთრება რთული მოვლენაა და ის მრავალმხრივ კავშირშია სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან. ამ კავშირზე მსჯელობა კი არ უნდა დავამყაროთ გარეგნულ მსგავსებებზე. სწორედ გარეგნული მსგავსებების გამო ზოგჯერ ეწინააღმდეგებიან ისეთ გარდაქმნებს შრომის ორგანიზაციასა და სახალხო მეურნეობის მართვაში, რომლებიც ადამიანთა პირადი პასუხისმგებლობის გაზრდისა და მათი ინიციატივის გაფართოების შესაძლებლობას იძლევიან. თუ გარეგნული ნიშნებით ვიმსჯელებთ, ისეთი მოვლენები, როგორიცაა საკოლმეურნეო მიწების გაპიროვნება ბრიგადებზე, რგოლებზე ან ცალკეულ მუშაკებზე ან პრემიალური ანაზღაურების ის წესი, რომელიც ფართოდ გამოიყენეს აბაშის ექსპერიმენტში (ზეგეგმითი პროდუქციის დიდი ნაწილის მიცემა კოლმეურნეთათვის), საზოგადოებრივ საკუთრებასთან შეუთავსებლად უნდა მიგვეჩნია. მაგრამ ამგვარი მსჯელობა არ ითვალისწინებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს: წავიდა ის დრო, როცა კოლექტივის მთავარ უპირატესობას „მხარიმხარ“ მუშაობაში და „ოდიოსის“ სიმღერით სიმინდის ერთად თოხნაში ხედავდნენ. ახლა, როცა სასოფლო-სამურნეო შრომა მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ინდუსტრიულს, არ შეიძლება 30-ანი წლების წარმოდგენებით ვიმსჯელოთ კოლექტიურობაზე. ასევე მცდარია და ზედაპირული ის შეხედულება, რომელიც ისევე გარეგნული მსგავსების გამო აახლოვებს პირად

დამხმარე მეურნეობას კერძო საკუთრებასთან და მის შეზღუდვასა და მოსპობის დაჩქარებას მიიჩნევს საჭიროდ.

როგორც ვხედავთ, კერძომესაკუთრული ტენდენცია, რასთანაც უარყოფით მოვლენებს აკავშირებენ ხოლმე, რთული მოვლენაა და უშუალოდ კერძო საკუთრების არსებობას არ გულისხმობს. ადამიანის ცხოვრებას, მის არსებობასა და შრომას, ადამიანებთან ურთიერთობასა და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც საშუალებები სჭირდება, ხოლო როდესაც ადამიანის მთელი ძალღონე და დრო ამ საშუალებების მოპოვებას ხმარდება, მაშინ მისი ცხოვრების შინაარსში მიზნების ადგილს საშუალებები იკავებენ; ადამიანი იმის ნაცვლად, რომ ცხოვრობდეს, არსებითად იმაზე ზრუნავს, რომ ცხოვრების საშუალებები ჰქონდეს; ადამიანის ყოფნა ფლობაზე დაიყვანება. ასეთმა ადამიანმა იმის ნაცვლად, რომ თქვას „ვარ", უნდა თქვას „მაქვს". ამგვარი ადამიანის ცხოვრება კერძომესაკუთრულია ამ სიტყვის ფართო გაგებით: ფლობა ადამიანებს აცალკევებს ერთმანეთისაგან, მაშინ როცა ადამიანური ყოფნა სხვა ადამიანებთან ერთად ცხოვრებას, თანაყოფნას ნიშნავს. ქონება სხვა ადამიანის უფლებას გამორიცხავს მასზე, ყოფნა კი არის გაზიარება — ფიქრის, გრძნობის, საქმიანობის გაზიარება. მართალია, პოეტი ქონებაზეც ამბობს, „რასაცა გასცემ, შენიაო", მაქსიმილიან ვოლოშინს კი უთქვამს, ჩვენი საკუთრება მხოლოდ ის არის, რასაც გავცემთ, ხოლო ის, რისი გაცემაც არ გვინდა, ჩვენ კი არ გვეკუთვნის, არამედ ჩვენ ვეკუთვნითო მას, მაგრამ ამით სწორედ კერძო საკუთრების წინააღმდეგობრივი ხასიათი და ადამიანის ბუნებასთან შესი შეუსაბამობაა გამოთქმული.

„ყოფნა და ფლობა" — ამის შესახებ დღეს დასავლეთის ფილოსოფოსები საკმაოდ ბევრს წერენ. ამ სათაურით დაწერა წიგნი ფრანგმა ფილოსოფოსმა გაბრიელ მარსელმა, ხოლო ცნობილი ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის ერიხ ფრომის წიგნის სათაური „ფლობა თუ ყოფნა" უფრო რადიკალურად გამოთქვამს ადამიანის ცხოვრების ამ ორი განზომილების დაპირისპირებას. ერთი შეხედვით ამგვარი დაპირისპირება უცნაურია. შეიძლება ვინმემ იკითხოს: ყოფნა თუ გაზიარებას ნიშნავს, რა უნდა გაუზიაროს ერთმა ადამიანმა მეორეს, თუ მას არაფერი არ აბადია? ქონება როგორ აცალკევებს ადამიანებს, როცა თუკი რაიმე გვაქვს, სტუმარიც მაშინ გვინდა და სხვისთვის დახმარების სურვილსაც მაშინა აქვს. აზრი? ხომ არ არის ყოფნისა და ფლობის დაპირისპირება სიღატაკის ფილოსოფია, რომელიც თვითონ ფილოსოფიის სიღატაკის დამადასტურებელი იქნება? განა ადამიანს როცა მეტი აქვს, მაშინ არ არის მისი ყოფნა უფრო მტკიცე?

ამგვარი კითხვები ბუნებრივია, მაგრამ ბუნებრივი ყოველთვის სამართლიანს როდი ნიშნავს: შეცდომა ჭეშმარიტებაზე ნაკლებად ბუნებრივად როდი ჩნდება. ბუნებრივია ეს კითხვები იმიტომ, რომ ადამიანის გონებას გამარტივებისაკენ აქვს მისწრაფება, მით უფრო, თუ ამგვარი გამარტივება მას ხელს აძლევს და მის ცხოვრებას ამართლებს. სინამდვილეში ყოფნისა და ფლობის დაპირისპირება სულაც არ ნიშნავს ქონებისა და უქონლობის დაპირისპირებას და იმის ქადაგებას, რომ ადამიანი მით უფრო კარგად გრძნობს თავს, რაც უფრო ნაკლები აქვს მას. ასევე ნივთების კულტზე რომ ლაპარაკობენ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნივთი თავისთავად საჩოთირო რამ იყოს. ნივთი ადამიანის შრომით არის შექმნილი, მასში მან თავისი აზრი და უნარი ჩაქსოვა და ის ისევე იმსახურებს პატივისცემას, როგორც თვით შრომა. ფლობისა და ყოფნის დაპირისპირება ნივთებისა და სიღატაკის დაპირისპირება კი არ არის, არამედ ადამიანის ცხოვრების მიზნებისა და საშუალებების დაპირისპირება და მისი შინაარსი ის არის, რომ ცხოვრების გაუკუღმართების გამო გარკვეულ პირობებში მიზნების ადგილს საშუალებები იკავებს, ეს საშუალებები მას ცხოვრების მიზნებად წარმოუდგება.

რაც შეეხება იმას, რომ რაც უფრო მეტი აქვს ადამიანს, მით უფრო მტკიცეა მისი არსებობა, ამ აზრში სიმართლეც არის და სიცრუეც: ადამიანური ყოფნა უპირველესად თავისუფლად ყოფნაა; რაც უფრო თავისუფლად, თვითონ განსაზღვრავს თავის ცხოვრებას ადამიანი, მით უფრო ადამიანურია მისი ყოფნა. ქონება ადამიანისათვის, მისი თავისუფლებისათვის პირობაც არის: ადამიანი ელემენტარული ცხოვრების პირობებისათვის რომ იღვწის, მაშინ ის სულაც არ არის თავისუფალი, მაგრამ ქონება და შეძლება ადამიანისათვის ზოგჯერ ბორკილადაც იქცევა ხოლმე: თანამდებობისა და მასთან დაკავშირებული პრივილეგიებისა და კომფორტის დაკარგვის შიშით ადამიანები ხშირად კარგავენ იმის უნარს, რომ დამოუკიდებელი აზრი ჰქონდეთ, ან ღრმად მალავენ მას, რათა ის არ დაუპირისპირდეს იმათ შეხედულებას, რომლებზეც მათი კარიერაა დამოკიდებული.

როდესაც დასავლეთის ფილოსოფოსები ყოფნასა და ფლობაზე წერენ, მათი მსჯელობა ხშირად ზედმეტად განყენებულია და გვერდს უვლის იმ ვითარების მიზეზების გამოკვლევას, თუ რატომ არიან მათ საზოგადოებაში ადამიანები ორიენტირებული უფრო ფლობაზე, მაგრამ თვით ადამიანის ცხოვრების ამ განსხვავებული ორიენტაციების ანალიზი ხშირად ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაზე მახვილგონიერ დაკვირვებას ემყარება. ასე, მაგალითად, საინტერესოდ ახასიათებს ერიხ ფრომი ყოფნასა და ფლობაზე ორიენტირებულ ადამიანთა ქცევებს, რომლებიც

ვლინდება ადამიანის სხვადასხვაგვარ საქმიანობასა თუ გრძნობა-განწყობებში — სწავლაში, საუბარში, კითხვაში, სიყვარულში და სხვ. მაგალითად, ის სტუდენტები, რომლებისთვისაც მთავარია ცოდნის შ ე ძ ე ნ ა, ლექციის მოსმენისას ცდილობენ გაიგონ სიტყვები, მათი ლოგიკური კავშირები და საზრისი და რაც შეიძლება სრულად ჩაიწერონ ის, რათა შემდეგ კარგად ჩააბარონ ის, რაც შეიძინეს, მაგრამ ისინი არ ფიქრობენ ამ სიტყვების ნამდვილ შინაარსზე, ეს შინაარსი არ ხდება მათი სააზროვნო სამყაროს ნაწილი, არ ამდიდრებს მას, ყოფნაზე ორიენტირებული მოსწავლე კი ცხოვრობს იმით, რასაც იგებს, ლექციის მოსმენის შემდეგ ის სხვა ხდება, ვიდრე მანამ იყო. ასევე საუბრის დროს ვინც თავის აზრებს ისე უყურებს, როგორც საკუთრებას, მისთვის მთავარია თ ა ვ ი ს ი შეხედულება, თავისი აზრი გამოთქვას, ხოლო ყოფნაზე ორიენტირებულისათვის, ე. ი. იმისათვის, რომელსაც უბრალოდ კი არა „აქვს“ შეხედულებები, არამედ ცხოვრობს ამ შეხედულებებით, მთავარი ის კი არ არის, რომ თავისი შეხედულება გამოთქვას, არამედ ის, რაც ცოცხალია საუბარში. ის არ არის გამსჭვალული იმის შიშით, რომ არ დაკარგოს თავისი შეხედულება. ასეთ შემთხვევაში ადამიანთა ურთიერთობა ინფორმაციის, ცოდნის გაცვლის ნაცვლად ცოცხალ დიალოგად გადაიქცევა, რომლის პროცესში მთავარი ის აღარ არის, თუ ვინ არის მართალი. ფლობაზე ორიენტირებული ბალზაკს, მაგალითად, ასე წაიკითხავდა: გაიგებდა, რა მოუვიდა ამა თუ იმ გმირს, რით დამთავრდება მოთხრობილი ამბავი და ა. შ. ამით ამოიწურებოდა მისთვის კითხვა. ამნაირი წაკითხვის შედეგად მის შეხედულებებში არაფერი შეიცვლებოდა, ადამიანის ბუნების გაგება არ გაღრმავდებოდა და არც თავის შესახებ გაიგებდა ის რაიმე ახალს. ასევე მოიქცეოდა ის ფილოსოფიური წიგნის წაკითხვისას: გაეცნობოდა ამა თუ იმ ფილოსოფოსის შეხედულებას, მაგალითად. ადამიანზე, მის მოვალეობაზე, ადამიანურ ურთიერთობაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, ისე რომ ეს არავითარ კვალს არ დატოვებდა მის სულში, არაფერს შეცვლიდა მის ქცევაში. ანალოგიურად შეიძლება გვემსჯელა ადამიანის მოქმედებისა და ცნობიერების სხვა ფორმებზე — რწმენაზე, სიყვარულზე და სხვ.

ფლობაზე ორიენტირებული ადამიანი სხვაგვარად განიცდის, აღიქვამს ხელოვნების ნაწარმოებებს, ვიდრე ის, ვინც ცხოვრობს ამ ნაწარმოებებით, მისთვის ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ სიამოვნების მ ი ღ ე ბ ი ს საშუალებაა, ასეთი ადამიანისათვის კარგი სადილის შემდეგ დესერტად გამოდგება „ყოფნა-არყოფნის“ შესახებ მონოლოგიცა და „ლაკრიმოზაც“, ის შეიძლება იმის შემდეგ, რაც მეგობარს უმუხთლებს, სიამოვნებით ღიღინებდეს სიმღერებს მეგობრობასა და უანგარო სიყვარულზე.

ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სიამოვნება საერთოდ „ფლობაზე“ ორიენტაციას ნიშნავს და ამიტომ ყოფნაზე ორიენტირებული ადამიანი ასკეტი უნდა იყოს და ამქვეყნიურ სიამოვნებას ზურგი უნდა შეაქციოს. პირიქით, ნამდვილ სიამოვნებას სწორედ ფლობაზე ორიენტირებული ადამიანი იკლებს, რადგან მან არსებითად ერთი სიამოვნება იცის — სიამოვნება იმის განცდისაგან, რომ რაიმე მას ეკუთვნის. რა თქმა უნდა, იგი ურჩხული არ არის, მისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ არის, მაგრამ ამგვარ ადამიანში მაინც ფლობისგან მიღებული განცდა ბატონობს — მაღალმხატვრული ნივთი მას დიდ სიამოვნებას განსაკუთრებით იმით ანიჭებს, რომ ის მას ეკუთვნის, დროსტარების დროს მისი მთავარი განცდა ის არის, რომ „აქვს და ხარჯავს“. ამასთან სულაც არ არის აუცილებელი, რომ ფლობაზე ორიენტირებული ადამიანი სრასასახლეების პატრონი იყოს. ფლობაზეა ორიენტირებული ისიც, ვინც მაინცა და მაინც დიდი ქონების „მომხვეჭელი“ არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ცდილობს კიდევ უფრო ნაკლები მისცეს საზოგადოებას. ყოველდღიური სიტყვახმარება ტყუილად როდი აღნიშნავს ერთი და იგივე სიტყვით „ხალტურა“ უკანონო შემოსავალსაც და არაკეთილსინდისიერ მუშაობასაც („გახალტურება“). ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ქურდობა და უპატიოსნება მხოლოდ ზომა-წონაში მოტყუებაა. ამიტომ შეიძლება რომელიმე ადამიანი, რომელიც სამსახურში ორი შაურის საქმეს არ აკეთებს, თუკი მას გამყიდველი აბაზს დააკლებს, პატიოსანი ადამიანის გულწრფელ აღშფოთებას გამოთქვამდეს.

როდესაც იმაზე ვლაპარაკობთ, თუ რა გავლენას ახდენს კერძომესაკუთრული ტენდენცია ადამიანის სულზე, მის ფსიქოლოგიაზე, როდესაც ყოფნასა და ფლობას ვუპირისპირებთ ერთმანეთს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კერძო საკუთრება მხოლოდ ქურდებსა და ავაზაკებს წარმოშობს, ხოლო საზოგადოებრივი საკუთრება — წმინდანებს. ადამიანის ჩამოყალიბებაზე, მასში ბოროტი თუ კეთილი საწყისის განვითარებაზე მხოლოდ საკუთრება და საკუთრებრივი ურთიერთობა როდი ახდენს გავლენას. საკუთრების უბრალო, უხეში უარყოფა, როგორც კ. მარქსი ამბობდა, ისევ კერძო საკუთრების პრინციპს ემყარება და მისი განვითარებაა. კერძო საკუთრების ამგვარ უარყოფას მარქსი უხეშ და უაზრო. კომუნიზმს უწოდებდა, რომელიც პიროვნებას უგულებელყოფს. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ამგვარი უხეში კომუნიზმი მხოლოდ უტოპისტების ფანტაზია კი არ ყოფილა, არამედ ზოგჯერ სახელმწიფოებრივ დოქტრინამდე ამაღლებულა და მასობრივი რეპრესიებისა და ძალდატანებითი „ხელახალი აღზრდის“ ფორმები მიუღია, როგორც ეს ჩინეთში „კულტურული რევოლუციის“ დროს ხდებოდა. კერძო სა-

კუთრების პრინციპზეევ დამყარებული ამგვარი უარყოფა კერძო საკუთ-
რებისა ადამიანის სულს თვით კერძო საკუთრებაზე ნაკლებად როდი
ამახინჯებს.

კერძო საკუთრება არ არის ბოროტების ერთადერთი წყარო, ხო-
ლო კერძომესაკუთრული მისწრაფება — ადამიანის სულის ერთადერ-
თი მანკიერება. ადამიანის ცხოვრებაში ბევრი სხვა ბოროტებაა, რომ-
ლებიც არ არიან კერძომესაკუთრული ტენდენციის გამოვლენა, თუმცა
ეს უკანასკნელი შეიძლება ხელს უწყობდეს მათ გავრცელებასა და გაძ-
ლიერებას: უმეცრება, რასობრივი და ეროვნული შუღლი, ომი, ტირა-
ნია... ადამიანის სულშიც ბევრი მანკიერებაა, რომლებიც არ არიან
პირდაპირ დაკავშირებული „მომხვეჭელობასთან“: შური, სისასტიკე,
სიცრუე და სხვ. ბოროტებას ზოგჯერ მაშინაც სჩადის ადამიანი, როცა
არავითარ სარგებლობას არ მოელის მისგან. არსებობს როგორც დაუინ-
ტერესებელი სიყვეთე, ასევე დაუინტერესებელი ბოროტებაც! მაგრამ
ეს არ ამცირებს კერძომესაკუთრული ტენდენციით, ეგოიზმითა და
ინდივიდუალიზმით გამოწვეულ ბოროტებას. კერძოესაკუთრული
ტენდენცია არსებითად არის ადამიანის ყურადღების გადატანა ყოფნი-
დან ფლობაზე. მაგრამ რა არის „ყოფნა“? რა არის ადამიანური ცხოვ-
რების შინაარსი? დღევანდელი ადამიანის ცხოვრებაში მაინც დიდი ად-
გილი უკავია შრომას; მასში, კერძოდ კი შემოქმედებით შრომაში, ხე-
დავენ ზშირად ადამიანის სიცოცხლის აზრს. შრომისადმი საზოგადოე-
ბისა და ადამიანის დამოკიდებულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს
ადამიანთა ცხოვრებაზე საერთოდ, მასში დადებითი და უარყოფითი
მოვლენების თანაფარდობაზეც.

რას ამბობენ ფილოსოფოსები შრომის შესახებ

> კატორღაა იქ, სადაც წერაქვის და-
> ტყმეშს საზრისი აკლია, სადაც შრომა
> ადამიანს ადამიანებთან არ აერთიანებს.
>
> ა ნ ტ უ ა ნ დ ე ს ე ნ ტ-ე გ ზ ი უ პ ე რ ი
>
> თაეისუფლების სამეფო... საკუთრივ
> მატერიალური წარმოების მიღმა მდება-
> რეობს.
>
> კ. მ ა რ ქ ს ი

შრომა, საკუთრების მსგავსად, ჩვეული საგანია ადამიანისათვის,
და ამდენად თითქოს ნაკლებად საინტერესო. საკუთრება კიდეე შეი-
ცავს რაღაც სირთულეს, რამდენადაც ის ნივთებთან დამოკიდებულება

.კი არ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს, არა^ედ ადამიანთა შორის ურთიერთობაა. შრომა კი უფრო მარტივი ჩანს და იმაზე ფიქრი, თუ „რა არის შრომა და რას აძლევს ის ადამიანს", სრულიად უნაყოფო ჩანს. მიუხედავად ამისა, შრომას არაერთი მეცნიერება შეისწავლის — პოლიტიკური ეკონომია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ესთეტიკაც კი, მაგრამ ისინი შრომის სხვადასხვა მხარეებს იკვლევენ და მის მოწყობას ცდილობენ უკეთ, შრომის არსების დახასიათება და ადამიანის ცხოვრებაში მისი ადგილის დახასიათება კი თითქოს თავისთავად გასაგები რამ არის და სალაპარაკოდ არ ღირს.

შრომის ასეთი ჩვეულებრიობის გამო ადამიანი მას საგანგებო ყურადღებას არ აქცევდა. არც ფილოსოფოსები იწუხებდნენ თავს დიდად იმაზე, თუ რას წარმოადგენს შრომა. რაზე არ ბჭობდნენ ისინი — სამყაროს პირველმიზეზზე და მსოფლიო წესრიგზე, ჭეშმარიტებაზე და მშვენიერებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, დავობდნენ იმაზე, არსებობს თუ არა სამყარო, და თუ არსებობს, შეგვიძლია თუ არა მისი შეშეცნება და ა. შ. სამყაროს შემეცნებაში დაუკვებულნი ადამიანს მიუბრუნდებოდნენ ხოლმე და ამოცანად დაუსახავდნენ მას — შეიცან თავი შენო, მაგრამ ადამიანისა და მისი ყოფიერების გასაგებად შრომას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ შრომა ყველა ადამიანის საქმე როდი იყო. უფრო მეტიც: ის, უწინარეს ყოვლისა, იმის მოვალეობა იყო, ვინც საზოგადოებრივი კიბის დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა — მონის, ყმის, მუშის. ძალიერნი ამა ქვეყნისა კი ამ დროს ნადირობით, ჯირითითა და სროლაში ვარჯიშით ირთობდნენ თავს. მათი შემყურე ფილოსოფოსნიც საუკეთესო შემთხვევაში ადამიანის დანიშნულებას იმაში ხედავდნენ, რომ მას დამშვიდებულად ეკვრიტა ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო და განცვიფრებულიყო მისი გონივრულობით.

კაპიტალიზმამდელ საზოგადოებაში ფილოსოფოსებს შრომა იმიტომაც არ აინტერესებდათ, რომ მათ ყურადღებას საერთოდ იშვიათად იქცევდა საზოგადოებრივი ცხოვრება. ადამიანთა ცხოვრება ისე მდორედ მიდიოდა, რომ ისინი ვერ ამჩნევდნენ ისტორიის მსვლელობას, საზოგადოების განვითარებას და, ბუნებრივია, არც მის მიზეზებს კითხულობდნენ. ბურჟუაზიული ცხოვრების წესმა საზოგადოების ამოძრავებასთან ერთად ისტორიის გრძნობა გაუჩინა ადამიანს, საზოგადოების განვითარებასა და მის მიზეზებზე გადაიტანა ადამიანის ყურადღება.

ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ იცის დროის ფასი და ადამიანის დანიშნულებად სამყაროს ჭვრეტა აღარ მიაჩნია. ადამიანის დანიშნულებაა საქმე, რადგან ის მოქმედი არსებაა, ადამიანის ნამდვილი ყო-

ფიერება მისი მოქმედებაა — ასე გამოხატა ადამიანზე ახალი შეხედულება ფილოსოფოსმა ჰეგელმა და დასაბამი მისცა ახალ მიმართულებას აზროვნებაში. თვით ადამიანისა და მისი აზროვნების გაგებაში.

ადამიანის როგორც მოქმედი არსების გაგებიდან შრომის განსაკუთრებული როლიც უნდა გამომდინარეობდეს თითქოს. ადამიანის მოქმედება, უწინარეს ყოვლისა, ბუნების გარდაქმნაა, ბუნების ნივთიერებათა მითვისებაა, ეს კი შრომის საშუალებით ხორციელდება. შრომის პროცესში ადამიანი თავის ნებას განახორციელებს, შრომის შედეგში გაასაგნებს თავის ცოდნასა და უნარებს და ამით მას ეძლევა საშუალება თავისი ღირებულება განიცადოს. რა თქმა უნდა, ადამიანში უფრო მეტი შესაძლებლობანია, ვიდრე ის ამა თუ იმ სახის შრომაში აცლენს მათ, მაგრამ თუ ეს შესაძლებლობანი არანაირად არ გამოვლინდა, მათი არსებობაც საეჭვო ხდება. შრომაში, რაიმეს შექმნაში კი ადამიანის შესაძლებლობანი თვალსათლივ ვლინდება.

ადამიანის ჩამოყალიბებასა და კულტურულ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა იმასაც აქვს, რომ, როგორც ჰეგელი ამბობდა, შრომა შეკავებული ლტოლვაა. შრომის ამგვარი ბუნების გამო არის ის, რომ, ისევ ჰეგელის მიხედვით, ის ადამიანის კულტურისა და განვითარების საფუძველია. ვიდრე ადამიანი თავისი ლტოლვების, სურვილების მონაა, ვიდრე მის ქცევას წუთიერი მოთხოვნილებები განსაზღვრავენ, ის ნამდვილ ადამიანად არ ჩამოყალიბებულა. ადამიანის სახელს არ ამართლებს ის, ვისაც არ შეუძლია თავისი ინტერესები და უნარები შოაწესრიგოს, ვისაც არა აქვს უნარი გარკვეულ მიზნებს დაუმორჩილოს თავისი მოქმედება და ამ მოქმედების დროს ანგარიში გაუწიოს საგნის ბუნებას, რომელზეც ის მოქმედებას ახდენს, და ადამიანებს, რომლებთანაც მას უხდება ურთიერთობის დამყარება შრომის განაწილებისა და, საერთოდ, ადამიანის ყოფიერების საზოგადოებრივი ხასიათის გამო. შრომა სწორედ ისეთი მოქმედებაა, რომლის პროცესშიც ადამიანი უბრალოდ თავისი გრძნობებისა და ლტოლვების მიხედვით კი არ იქცევა, არამედ თავის თავს კონტროლს უწევს და სხვების მოქმედებასაც ითვალისწინებს.

შრომის ეს დადებითი მხარეები ფილოსოფოსებისათვის ასე თუ ისე ცნობილი იყო, სამაგიეროდ ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მის სხვა მხარეს. მარქსი საყვედურობდა ჰეგელს იმის გამო, რომ ის, მისი აზრით, შრომის მხოლოდ დადებით მხარეს ხედავდა და ვერ ამჩნევდა მის უარყოფით მხარეს[1]. ადამიანისათვის შრომის მნიშვნელობა ჰეგელმა განსაკუთრებით მკაფიოდ დაახასიათა ბატონისა და მონის მიმართების დახასიათებისას. ჰეგელი აჩვენებს, რომ, ერთი მხრივ, ბატო-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 42, с. 159.

ნი მონას იმორჩილებს, რამდენადაც ის არის იმ ნივთის ბატონი, რომელთანაც არის დაკავშირებული მონის სიცოცხლე და რომელზეც არის ის მიჯაჭვული, მეორე მხრივ, ნივთთან, საგანთან უშუალოდ საქმე მონასა აქვს, ის გარდაქმნის საგანს, ბატონი კი მხოლოდ მოიხმარს ნივთს. „მონა შრომობს, სახეს უცვლის საგანს, ახალ ფორმას აძლევს მას და თვითონაც იცვლება. შიში სიკვდილისა და ბატონისა, დისციპლინა და, რაც მთავარია, შრომა თანდათან აძლევს დამოუკიდებლობას მონას. მონა ეუფლება ბუნების საგნებს. მას დამოუკიდებლობა აქვს, ბატონი კი, როგორც მომხმარებელი, დამოკიდებულია მონაზე. თავდაპირველი მიმართება ბატონისა და მონისა შეიცვალა: ახლა დამოუკიდებელია მონა, ბატონი კი დამოკიდებულია"[5].

ბატონისა და მონის ურთიერთობის ეს გონებამახვილური ანალიზი ჯარგად გამოხატავს შრომის ისტორიულ როლს კაცობრიობის განვითარებაში. ჰეგელისათვის მთავარი იყო შრომისა და ადამიანის არსებითი ურთიერთობა გამოეთქვა, ის დარწმუნებული იყო იმაში, რომ ისტორია განახორციელებდა იმას, რაც მან ლოგიკურად მიიჩნია. ცალკეული მონის ბედი კი მას არ აინტერესებს და თუმცა იმასაც ამბობს, რომ მონის შრომა ბატონზეა დამოკიდებული, მაგრამ შრომის მეორე მხარე—ის, რომ მონაა აქტიური და დამოუკიდებული საგნის გარდაქმნის პროცესში, ჰეგელს მონისათვის საკმაო კომპენსაციად მიაჩნია. მარქსი არ არის იმის იმედზე, რომ ისტორია თავისთავად შეცვლის რაიმეს, ისტორიას თვით ადამიანები ქმნიან, ამიტომ მას უნდა, რომ ნათლად გააცნობიეროს მონის შრომის ის უარყოფითი მხარე, რაც ჰეგელს მხოლოდ მინიშნებული აქვს. შრომის ამ უარყოფით მხარეს ის ახასიათებს როგორც გაუცხოებას და ამას აკეთებს არა ბატონისა და მონის ურთიერთობის განყენებული განხილვის საფუძველზე, არამედ მის თანამედროვე, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მუშის შრომის ანალიზის საშუალებით.

შრომის გაუცხოება ან თვითგაუცხოება, მარქსის მიხედვით, იმაში ვლინდება, რომ მუშას, რომელიც კაპიტალისტის კუთვნილ საწარმოშია დასაქმებული, მისი შრომის პროდუქტი და თვით შრომის პროცესი წარმოუდგება როგორც უცხო საგანი და იძულებითი საქმიანობა, როგორც უცხო ძალა, რომელსაც ის არ ფლობს და არ მართავს. შრომა მუშისათვის, წერს მარქსი, არის რაღაც გარეგნული, რაც მის არსებას არ მიეკუთვნება, ის თავის შრომაში კი არ ადგენს თავის თავს, არამედ უარყოფს, თავის თავს ბედნიერად კი არ გრძნობს, არამედ უბედურად, კი არ გაშლის თავისუფლად თავის ფიზიკურ და სულიერ ენერ-

---

5 იხ. თ. ბ უ ა ჩ ი ძ ე. ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა. „მეცნიერება", თბ., 1976, გვ. 57.

გიას, არამედ ფიტავს თავის ფიზიკურ ბუნებას და არღვევს თავის სულს. ამიტომ მუშა მხოლოდ შრომის გაოეთ გრძნობს თავს საკუთარ თავთან, შრომის პროცესში კი ის თავისი თავისაგან მოწყვეტილად გრძნობს თავს. შრომის გაუცხოება იმაში მჟღავნდება, რომ როგორც კი წყდება შრომისადმი ფიზიკური ან სხვა იძულება, შრომას ისე გაურბიან, როგორც შავ ჭირს[6]. ასეთ ვითარებაში მუშას ის შეხედულება უყალიბდება, რომ ნამდვილი ცხოვრება შრომა კი არ არის, არამედ ის, რაც შრომის შემდეგაა — დასვენება, ჭამა, ძილი.

შრომის გაუცხოების მოსახსნელად, მარქსის აზრით, საზოგადოების ძირეული გარდაქმნაა საჭირო. მაგრამ ამ გარდაქმნითაც როდი წყდება შრომის გარდაქმნის ამოცანა. მარქსის აზრით, შრომა იმდენად ძირეულად უნდა გარდაიქმნას, რომ ის არაშრომად უნდა იქცეს[7]. რა იგულისხმება ამ, ერთი შეხედვით, უცნაურ დებულებაში? შრომა, ჩვეულებრივი გაგებით, თავისუფალ დროს უპირისპირდება, თავისუფალ დროს ადამიანი იმას აკეთებს, რაც უნდა, შრომის პროცესში კი ის საზოგადოებრივი აუცილებლობით არის შეზღუდული; თუ თავისუფალი დრო ადამიანს თავისი უნარების განვითარებისათვის შეუძლია გამოიყენოს, შრომის პროცესში კი უმთავრესად მოიხმარს ამ უნარებს. შრომის „არაშრომად" გადაქცევა იმას ნიშნავს, რომ აზრი დაეკარგება შრომისა და თავისუფალი დროის დაპირისპირებას. ერთიცა და მეორეც ადამიანის უნარების, მისი თავისუფალი მოქმედების გამოვლენა იქნება. სწორედ ასეთი შრომა, რომელიც ადამიანის ყოველმხრივი განვითარების გამოხატულება იქნება, შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის არსების გამოვლენად და არა ყოველგვარი შრომა. ვიდრე საზოგადოება არ მომწიფებულა შრომის ამგვარი გარდაქმნისათვის, რაოდენ დიდი მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს შრომას, იგი არ შეიძლება ადამიანის არსებასთან გავაიგივოთ და მასზე დავიყვანოთ ადამიანის საქმიანობის მთელი აზრი და ღირებულება.

როგორც ვხედავთ, მარქსი არ კმაყოფილდება შრომის დადებითი მხარის აღნიშვნითა და ზოგადი შეგონებებით იმის თაობაზე, რომ შრომაშია ბედნიერება, ადამიანის სიცოცხლის აზრი და ა. შ. ის აკვირდება იმას, თუ რა პირობებში უხდება ადამიანს შრომა, რა ზეგავლენას ახდენენ მასზე ეს პირობები, რა გრძნობებსა და წარმოდგენებს ბადებენ ინდივიდში. მარქსი თავს არ იტყუებს იმ წარმოდგენებით, თითქოს შრომას ადამიანი ყოველთვის ღვთის მადლად და ხსნად თვლიდა. მან იცის, რომ შრომისადმი დამოკიდებულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ადგილით არის განსაზღვრული. როდესაც საზოგა-

---

[6] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 42, с. 91.

[7] Там же, т. 46, ч. I, с. 281.

დოებაში ადამიანის ადგილი უმთავრესად მის ქონებაზეა დამოკიდებული, შრომა, განსაკუთრებით ფიზიკური, დიდად სასახელო საქმედ არ ითვლება. ასეთ შემთხვევაში, როგორც მწერალი ნ. პომიალოვსკი ამბობდა, ბატონობს წესი: „არაფერს ვაკეთებ, მაშასადამე თავისუფალი ვარ". და, პირიქით, „ბევრს ვმუშაობ, მაშასადამე, მონა ვარ; ქირაზე ვდგები, მაშასადამე, სხვის პურს ვჭამ".

შრომის საშუალებების განსაზოგადოებით მისი გაუცხოების მთავარი საფუძველი მოისპო, მაგრამ ამით მხოლოდ დაიწყო შრომის გარდაქმნა. ამ გარდაქმნის დასასრულებლად საზოგადოებრივმა განვითარებამ იმ დონეს უნდა მიაღწიოს, როდესაც, მარქსის თქმით, საზოგადოებრივი სიმდიდრის მაჩვენებელი თავისუფალი დროის სიდიდე იქნება, როდესაც შრომის პროცესი და თავისუფალი დრო ერთნაირად იქნება ადამიანის ყველა უნარის გამოვლენისა და განვითარების ასპარეზი.

შრომა ადამიანის კულტურის საფუძველია, ეს კარგად არის ცნობილი. ადამიანის ჩამოყალიბებაზე, მის ზნეობაზე შრომის ზემოქმედებაც არაერთხელ აღუნიშნავთ. მაგრამ შრომაც არის და შრომაც. სამყაროს საოცრებანიც შრომით არის შექმნილი. ერთ-ერთს მათგანს — ეგვიპტის პირამიდებს — ბევრი მოუყვანია განცვიფრებაში. მათ ადამიანის სიდიადის გამოხატულებად მიიჩნევდნენ. სხვაგვარ ფიქრს აღუძრავდნენ ისინი ჰენრი თოროს. ყველაზე საოცარი პირამიდებში ის არის, აღნიშნავდა ის, რომ ამდენმა ადამიანმა დაიმცირა თავი, რათა თავისი სიცოცხლე რომელიღაც პატივმოყვარე სულელის აკლდამის აშენებისათვის შეეწირა.

როდესაც შრომის და განსაკუთრებით ფიზიკური შრომის ქებადიდებას ვამბობთ, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ კიდევ ძალზე მძიმე ფიზიკური შრომა არსებობს და საზოგადოებაში შრომის ისეთი სახეობანიც არის, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობას სათაკილოდ მიაჩნია და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ არ იტყვის უარს მათზე. ამასთან ფიზიკური შრომის ქება იმისგან უფრო დასაჯერებელი იქნება, ვინც დილიდან საღამომდე ღვრის ოფლს და არა გონებრივი შრომის მუშაკისაგან, რომელიც, გაბოლილ ოთახში ქაღალდების ფურცვლით დაღლილი, სუფთა ჰაერზე გავა და ერთ-ორჯერაც დაჰკრავს მიწას ბარს სახალისოდ.

რადგან სხვადასხვაგვარი შრომა არსებობს — ერთში მეტად არის შემოქმედების ელემენტი, მეორეში — ნაკლებად და მესამე კი საკმაოებით მოკლებულია მას, ერთი მძიმეა და ერთფეროვანი, მეორე კი უფრო მსუბუქი და საინტერესო, ერთი სუფთა გარემოში მიმდინარეობს, მეორე კი „შავია" და არცთუ უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის, ერთი,

შესაბამისად, მაღალი პრესტიჟით სარგებლობს, მეორეს კი ბევრი საჩოთიროდ თვლის, ამიტომ არ შეიძლება მოტივები ერთნაირი ჰქონდეთ ადამიანებს. შრომით შემოქმედებითი ხასიათი ადამიანისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ იქ, სადაც ნაკლები შესაძლებლობაა შემოქმედების გამოსავლენად, მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი სარგებლიანობის მოტივი. ერთსა და იმავე შრომას ადამიანები სხვადასხვაგვარად აფასებენ იმის მიხედვით, თუ სად სრულდება ის: მზარეულისა და ოფიციანტისათვისაც საზოგადოებრივი კვების სისტემაში მუშაობა უფრო პრესტიჟულია, ვიდრე იმავე საქმის კეთება საკუთარ სახლში.

შრომითი საქმიანობის მოტივები არც მხოლოდ მისი შემოქმედებითი ხასიათითა და საზოგადოებრივი სარგებლიანობით შემოიფარგლება. ერთ-ერთი მთავარი მოტივი ანაზღაურებაც არის. და ეს მოტივი სულაც არ არის სათაკილო: მართალია, ამ შემთხვევაში თითქოს კმაყოფილების წყაროა არა თვით შრომა, არამედ ის. რაც მის გარეთაა, მაგრამ დღეს, გასული საუკუნისაგან განსხვავებით, „შრომის გარეთ" მხოლოდ დასვენება და სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კი არ არის: შეიძლება აუცილებელი შრომა ადამიანისათვის საშუალება იყოს უფრო საინტერესო შრომისათვის თავისუფალ დროს. ამიტომ არ შეიძლება ადამიანზე, რომლისთვისაც გარკვეული შრომის შესრულების დროს მთავარი მოტივი ანაზღაურებაა, ითქვას, რომ ის მომხმარებლური ინტერესით ცხოვრობს. ასევე არ შეიძლება ეს ითქვას იმის გამოც, რომ მისი შრომის ანაზღაურება მხოლოდ მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას არ ხმარდება.

მიუხედავად იმისა, რომ შრომას ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია, ადამიანური ყოფნის მთელი შინაარსი მასზე არ დაიყვანება. ადამიანს მრავალი ინტერესი, მრავალი მოთხოვნილება აქვს და არ შეიძლება ამ ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ შრომის მოსამზადებელ საფეხურებად ჩავთვალოთ. არ შეიძლება ითქვას, რომ ბუნების სიმშვენიერით იმიტომ ვტკბებით, წიგნებს იმიტომ ვკითხულობთ, ერთმანეთთან იმისთვის გვაქვს ურთიერთობა, რომ რაც შეიძლება კარგად მოვიკრიბოთ ძალები მუშაობისათვის. თუკი ასე ვიფიქრებდით, ადამიანს ყოველგვარ სხვა საქმიანობას, მეგობრობას, სიყვარულს და სხვ. თავისთავადი ღირებულება დაეკარგებოდა და უაზროდ უნდა მიგვეჩნია იმ ადამიანების ცხოვრება, რომელთაც შრომითი საქმიანობა უკვე დასრულეს. რა თქმა უნდა, შრომით საქმიანობაში მონაწილეობა ადამიანს საშუალებას აძლევს, იგრძნოს თავისი საჭიროება, მაგრამ შრომასაც, ბოლოსდაბოლოს, აზრს ის აძლევს. რაც ადამიანებისათვის არის სასიკეთო, სიკეთის ქმნა კი მარტო შრომა-

გარჯით როდი შეიძლება, არამედ სიტყვითაც და ყოველდღიური ქცევითაც. „მე დღეს არაფერი გამიკეთებია". — როგორ, განა შენ არ ცხოვრობდი? — კითხულობს მონტენი. — უბრალოდ იცხოვრო — ეს არა მარტო მთავარი, არამედ შენი ყველაზე შესანიშნავი საქმეა... გონივრული წიგნები კი არ უნდა შეთხზა, არამედ გონივრულად უნდა იქცეოდე ყოველდღიურ ცხოვრებაში, ომები კი არ უნდა მოიგო და მიწები დაიპყრო, არამედ წესრიგი და მშვიდობა უნდა დაამყარო ჩვეულებრივი ცხოვრების ვითარებაში. ჩვენი საუკეთესო ქმნილებაა გონების მიხედვით ცხოვრება. ყველაფერი დანარჩენი — მეფობა, სიმდიდრის დაგროვება, აშენება — ყველაფერი ეს, ბევრი-ბევრი, დამატება და დანაწონია". ფილოსოფოსი აქ უსაქმურობას კი არ ასახამს ხოტბას, არამედ ადამიანის შეზღუდულობის წინააღმდეგ ილაშქრებს.

რა კავშირი აქვს ყოველივე ამას უარყოფით მოვლენებთან?

უარყოფითი მოვლენები მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია შრომით საქმიანობასთან, მის ორგანიზაციასა თუ არაორგანიზებულობასთან. არაშრომითი შემოსავლის პირველწყარო სწორედ შრომის სფეროშია და იმის გაგებაში, თუ როგორ ხდება ეს, ხელს გვიშლიან გაუბრალოებული წარმოდგენები შრომასა და მის მოტივებზე. ჩვენ ვთვლით ხოლმე, რომ ადამიანს თვით შრომა და მისი საზოგადოებრივი სარგებლიანობა უნდა აძლევდეს კმაყოფილებას და ყურადღებას არ ვაქცევთ იმას, რომ ადამიანის კმაყოფილება თუ უკმაყოფილება მარტო იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ სად მუშაობს ის — მის კუთვნილ ფაბრიკა-ქარხანაში თუ კაპიტალისტურ საწარმოში, არამედ იმაზეც, თუ როგორია შრომის შინაარსი, როგორია შრომის ორგანიზაცია, რამდენად გრძნობს მუშა იმას, რომ ქარხანაში, სადაც ის მუშაობს, მართლაც ის არის ბატონ-ბატრონი , რამდენად უწევენ აქ მას ანგარიშს.

ცხოვრების აზრს ხშირად შემოქმედებასა და შემოქმედებით შრომაში ვხედავთ. მართლაც, შემოქმედება დიდ ღირებულებას აძლევს ადამიანის ცხოვრებას. „შემოქმედების აქტი სიცოცხლით დატკბობის მთავარი წყაროა ...ადამიანის ბედი შემოქმედებაა... ერთადერთი გზა იმისათვის, რომ ადამიანურად გავატაროთ „არარსის ეს ინტერმედია", არის შემოქმედება", — წერს რუმინელი ფილოსოფოსი ჰ. ვალდი. მავრამ ჩვენ რეალურ ვითარებას უნდა დავემყაროთ: შემოქმედების შესაძლებლობანი დღეს ერთნაირი არ არის შრომის სხვადასხვა სფეროში და ალბათ არც ახლო მომავალში იქნება. ამიტომ ჩვენ საკუთრივ ვამართლებულად უნდა მივიჩნიოთ შრომის სხვა მოტივებიც. ერთ-ერთი ამგვარი მოტივია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ადამიანს ეამაყება ის, რომ მის მიერ დამზადებული დაზგები, მანქანები, ელმავლები ქვეყნის სახალხო მეურნეობას

სჭირდება, რომ მის მიერ აშენებულ სახლებში ათასობით ადამიანი იღებს ბინას და სხვ. მაგრამ არც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაა ერთნაირი და ადამიანსაც ერთნაირ კმაყოფილებას ვერ მისცემს. სახლის მშენებელი და ქალაქიდან ნაგვის გამტანი ერთნაირად სასარგებლო საქმეს აკეთებენ, მაგრამ არ შეიძლება მოველოდეთ, რომ ისინი ერთნაირ კმაყოფილებას განიცდიან თავიანთი შრომის საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათისაგან. შრომის სახეები მათი პრესტიჟითაც განსხვავდებიან და დაბალი პრესტიჟის გაწონასწორება ანაზღაურების სიდიდით ხდება.

ანაზღაურებას როგორც შრომის მოტივს ათვალისწუნებით უყურებენ ხოლმე. ოდესღაც ადამიანმა გაიცნობიერა, რომ ის „არა-პურითა ერთითა" ცხოვრობს. დღეს კი იმის მტკიცება გვიხდება, რომ პურისთვის ზრუნვაც სათაკილო არ არის. ჩვენ არ მოგვწონს ადამიანი, რომლისთვისაც ანაზღაურება ერთადერთი მამოძრავებელია და ვინც „შემოსავლიანი ადგილისათვის" სპეციალობაზე უარს ამბობს, მაგრამ ისიც უნდა ვიკითხოთ, ხომ არ არის ეს შრომის ანაზღაურებაში დაშვებული შეცდომების ბრალი. საერთოდ კი შრომის ანაზღაურების როგორც შრომის მოტივის ღირებულების დამცირებას ფარისევლობის იერი დაჰკრავს. სწორედ შრომის ანაზღაურებაში არსებული სიძნელეები ქმნიან ერთ-ერთ საფუძველს უარყოფითი მოვლენებისათვის.

ერთი შეხედვით, შრომის მიხედვით ანაზღაურების წესი ადვილად განსახორციელებელია: მეტს დაამზადებ, მეტსაც მიიღებ. სინამდვილეში არსებობს სფეროები, სადაც თითოეულის მონაწილეობა პროდუქტის შექმნაში ძნელად გასაზომია, თუმცა შეიძლება ყველა ხედავდეს, რომ ერთი თავს არ ზოგავს, მეორე კი ხელს არ ანძრევს. თუ ასეთი ადამიანების შრომის ანაზღაურება ერთნაირია, ასეთი რამ, ცხადია, ვერ იქნება წამახალისებელი შრომაში. არსებობს ისეთი სფეროებიც, რომლებშიც რაოდენობრივი მაჩვენებელი სრულიადაც ვერ გამოხატავს ამ სფეროებში მოქმედების, შრომის შედეგის ღირებულებას. მაგრამ იქაც, სადაც შრომის შედეგი რაოდენობრივად შეიძლება გამოიხატოს, ძნელდება შრომის მიხედვით ანაზღაურების პრინციპის თანამიმდევრული გატარება, რადგან ერთი ადამიანის შრომა მეორეზეა დამოკიდებული. ეაპრობის მუშაკი, მაგალითად, ბევრიც რომ მოინდომოს, თუ ის არ მოამარაგეს საქონლით, ვერაფერს ვერ შეასრულებს.

შრომის შედეგების მიხედვით მსჯელობენ ქვეყნის, საწარმოოსა და თითოეული ადამიანის მიღწევებზე. მაგრამ ეს მიღწევები მხოლოდ საბოლოო შედეგებით კი არ უნდა შევაფასოთ, არამედ მათი საშუალებებითაც. გეგმები და ვალდებულებები, უწინარეს ყოვლისა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციით უნდა შესრულდეს და არა უბრალოდ

ძალთა გადამეტებითი დაძაბვითა და წელებზე ფეხის დადგმით, „უძილო ღამეებითა და ოფლის მდინარეებით". ძალღონის ასეთი დაძაბვა (გამოსასვლელი დღეების სამუშაო დროდ გამოყენება, ზეგანაკვეთური მუშაობა და სხვ.) უარყოფითად მოქმედებს საწარმოში მორალურ კლიმატზე და ის დიდხანს ვერ მოიტანს სიკეთეს. ადამიანები ეჩვევიან იმას, რომ, ვთქვათ, წლის დასასრულს მთელი დატვირთვით უნდა იმუშაონ, ეჩვევიან იმასაც, რომ ამის შემდეგ, ახალი პერიოდის დასაწყისში, შეიძლება არხეინად იყვნენ და ამით არიტმული მუშაობა კანონდება. გარდა ამისა, როცა გეგმის შესრულებისას საშუალებებს არ ექცევა ყურადღება, ეს ბადებს სხვადასხვა უკანონობის, მიწერების, ხარისხის გაუარესების და სხვ. შესაძლებლობებს.

როგორც ადამიანის ყოფიერების მთავარი მხარეების — საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი და შრომისადმი დამოკიდებულების განხილვა გვაჩვენებს, ადამიანის ქცევა რომ გავიგოთ, უნდა დაეყრდნოთ რეალური ადამიანების ბუნების, მათი მოტივების, მამოძრავებელი ძალების ცოდნას და არა მხოლოდ ზოგად წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკუთრებრივი ურთიერთობანი და რამდენად დიდი ადგილი უკავია შრომას ადამიანის ცხოვრებაში.

რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას

ადამიანებს, როგორც ძველბერძნულ ანდაზა ამბობს, თვით საგნები კი არ ტანჯავენ, არამედ წარმოდგენები, რომლებიც მათ ამ საგნებზე აქვთ..

მ ო ნ ტ ე ნ ი

ადამიანის არსებობის აზრი პირადი ბედნიერების განცდაში არ მდგომარეობს.

დ. უ ზ ნ ა ძ ე

ადამიანის მოქმედების, მისი აქტივობის წყაროდ მოთხოვნილებას მიიჩნევენ, მაგრამ ამის აღნიშვნით ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, რა განსაზღვრავს მის ქცევას. ადამიანის მოთხოვნილებანი თვითონ არიან გაპირობებული სხვა გარემოებებით — არა მარტო ბიოლოგიური ბუნებითა და საარსებო მოთხოვნილებებით, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებით; ხოლო საზოგადოებრივ გარემოებათაგან ადამიანი მხოლოდ სოციალური წყობილებისა და მისი საფუძვ-

ლის — საკუთრებრივი ურთიერთობის — გავლენას როდი განიცდის: მასზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, უშუალო გარემო — ოჯახი, მეგობრებისა და ნათესავების წრე; ადამიანში მისი წარსულიც ცოცხლობს — მარტო იმიტომ კი არა, რომ მასში მამა-პაპის სისხლი ჩქეფს, არამედ იმიტომაც, რომ დიდი ხნის წინ შექმნილ თქმულებებსა და სიმღერებს ისმენს, ენასა და, მასთან ერთად, აზროვნების გარკვეულ სტილს ითვისებს, საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებულ ტრადიციებს უწევს ანგარიშს, წარსულში დაწერილ წიგნებს კითხულობს. დაბოლოს, ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელსაც თავისუფალი ნება აქვს: ის მარტო გავლენას კი არ განიცდის, არამედ თვითონაც ახდენს ზემოქმედებას, მარტო გარკვეული გზით კი არ მიდის, არამედ ახალი გზებიც გაჰკაფავს.

ადამიანს რთული სტრუქტურა აქვს: ის ბუნების ნაწილიც არის და ბუნებისაგან განსხვავებული საზოგადოებრივი არსებაც. ადამიანის საზოგადოებრივი ბუნებაც სხვადასხვა რაიმეში ვლინდება — იმაში, რომ ის რომელიმე სოციალურ ჯგუფს ეკუთვნის, გაზრდილია ამა თუ იმ კულტურის ტრადიციებზე და სხვ. გარდა ამისა, ყოველი ადამიანი სხვებისაგან განსხვავებული ინდივიდია და თავისი შეხედულებები, ჩვევები და გემოვნება აქვს. როგორია ამ მხარეების ურთიერთობა, რამდენად და როგორ განსაზღვრავენ ისინი ადამიანის ქცევას?

ადამიანი რთულია, თუ მართლა მისი ბუნება გვაინტერესებს. თუკი მისი მხოლოდ რომელიმე მხარე გვაქვს მხედველობაში, მაშინ ადამიანი შეიძლება ძალიან მარტივი მოგვეჩვენოს. ო' ჰენრის ერთი მოთხრობის გმირს, ოფიციანტ ქალს, რომელიც დღემოდამ ადამიანთა სერობას უყურებდა, ადამიანი წარმოედგინა არსებად, რომელიც განუწყვეტლივ ჭამს. ქურდისათვის ადამიანი ის არის, ვინც უნდა გაძარცვოს, სხვა მხრივ ის მას არ აინტერესებს, ბიუროკრატისათვის — ის, ვისი საქმეც მან როგორმე უნდა მოიცილოს და ა. შ. ჭწერალი გ. მედინსკი მოგვითხრობს ბანდიტზე, რომელიც აღფრთოვანებით წერდა მეგობრისათვის სიცოცხლის გაწირვის სილამაზეზე, მაგრამ სრულებით არ ფიქრობდა იმაზე, ვისი სიცოცხლეც მან ასე ადვილად მოსპო: მისთვის ის ადამიანი უბრალოდ ხელშემშლელი გარემოება იყო.

ადამიანს ასევე ცალმხრივად განმარტავენ ხშირად ისინი, ვინც საგანგებოდ მსჯელობს მის ბუნებაზე. ზოგჯერ მეცნიერი მხოლოდ თავისი კუთხიდან ხედავს ადამიანს: ბიოლოგისათვის ისაა მთავარი, რომ ადამიანი ცოცხალი არსებაა, ფსიქოლოგისათვის ადამიანის გასაღები მისი ფსიქიკაა, სოციოლოგი აცხადებს, რომ ადამიანის ბუნების თაობაზე კამათში საბოლოო სიტყვა მას ეკუთვნის, ფილოსოფოსს კი მიაჩნია, რომ ყველა მეცნიერება ცალმხრივად ხედავს ადამიანს და მხოლოდ

მისი საქმეა გაარკვიოს მთლიანად ადამიანის ბუნება, მხოლოდ ის არის უფლებამოსილი პასუხის გასცეს კითხვაზე—რა არის ადამიანი. მაგრამ ისეც ხდება, რომ ბიოლოგი ადამიანის ფილოსოფიურ განმარტებას უკეთს მხარს, ფილოსოფოსი კი ადამიანს ბუნებისმეტყველზე უფრო ბუნებისმეტყველურად განმარტავს. ასე, მაგალითად, როცა ფილოსოფოსი იტყვის, რომ საკუთრების ინსტინქტი და ეგოიზმი ბიოლოგიური მემკვიდრეობაა, ამით ის ბიოლოგიურად განმარტავს ადამიანს. ამგვარი განმარტებები კი ფილოსოფოსებს არერთხელ შემოუთავაზებიათ. „ადამიანი მხეცია". ამბობდა, ცნობილი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი და ამით იმას ამტკიცებდა, რომ ადამიანის ქცევას აგრესიული, „მხეცური" ინსტინქტები წარმართავენ. ადამიანის ქცევას სქესობრივი ლტოლვა განსაზღვრავს, იტყვიან სხვა ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები და შეეცდებიან ამ ლტოლვით ახსნან მთელი ადამიანური სამყარო, მისი კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება და ა. შ. კიდევ სხვანი ადამიანის ბიოლოგიური ბუნების აღიარებიდან იმ დასკვნას აკეთებენ, რომ სიკეთე ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა: ბუნებამ ცხოველებს ასწავლა ერთმანეთისათვის მხარდაჭერა და ეს გამოცდილება ადამიანს მემკვიდრეობად გამოაყოლაო.

ადამიანის ბუნების ამგვარი განმარტება თვით ცხოველთა სამყაროზე ზერელე წარმოდგენას ემყარება. ეთოლოგია, მეცნიერება ცხოველთა ქცევის, მათი ჩვევების შესახებ უარყოფს ცხოველთა შესახებ წინათ გავრცელებულ წარმოდგენებს; გადაჭარბებული ჩანს შეხედულებანი როგორც ცხოველთა აგრესიულობის, ისე განსაკუთრებით, მათი „კეთილშობილების" შესახებ. ეთოლოგების დაკვირვებით, ცხოველთა აგრესიულობას, როგორც წესი, გარკვეული „მატერიალური ინტერესები" უდევს საფუძვლად, მაგალითად, ბრძოლა საკვებისათვის, ხოლო აგრესია აგრესიისათვის ცხოველთა შორის უფრო იშვიათია, ვიდრე ადამიანთა შორის. თუმცაღა არც ცხოველთა „კეთილშობილების", მათი ალტრუიზმის შესახებ წარმოდგენაა საფუძვლიანი. ცხოველის ქცევას მისი ბიოლოგიური მოთხოვნილებები განსაზღვრავს: იგივე ცხოველი, რომელიც მზადაა თავგანწირვით იბრძოლოს ჯოგის დასაცავად, ასევე გააფთრებით იბრძოლებს იმისათვის, რომ საკვები წაართვას „ამხანაგს" და შიმშილით სიკვდილისათვის შეიძლება გასწიროს ის. მეცნიერები ცხოველთა ქცევის ამგვარ ხასიათს ზოოლოგიურ ინდივიდუალიზმს უწოდებენ.

ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის არსებობა თითქოს იმას ადასტურებს, რომ კერძო საკუთრების ინსტინქტი არსებობს და ეგოიზმი ბიოლოგიური მემკვიდრეობაა და ამიტომ მისი დაძლევა შეუძლებელია. მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია, ადამიანი როგორც ცოცხალი არსება

თავის თავზე ზრუნავს, მასში სიცოცხლისაკენ სწრაფვა და სიკვდილის შიში იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ მას სიკვდილის შიში კლავს. მაგრამ ცხოველის ქცევაც კი არ შეიძლება მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნების ინსტინქტით ავხსნათ. მით უფრო არ შეიძლება ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები სიცოცხლისაკენ მისწრაფებაზე დავიყვანოთ. ადამიანი მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნებაზე რომ ზრუნავდეს, მაშინ ბევრი მისი საქციელი, მისი თავგანწირვა გაუგებარი იქნებოდა.

ადამიანის ბიოლოგიური ბუნებიდან, იქიდან, რომ ადამიანი ცოცხალი არსებაა, არავითარი დასკვნა არ შეიძლება გავაკეთოთ იმის თაობაზე, თუ რა ნემკვიდრეობა დაუტოვა ბუნებამ ადამიანს — ბოროტება თუ სიკეთე. ერთიცა და მეორეც ადამიანთა საზოგადოებაში ჩნდება. „კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა. უტყვის ბუნების წინაშე არ არსებობს ეგ განსხვავება. ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის“, — სამართლიანად უთქვამს ილიას. მაგრამ ბოროტებასაც და სიკეთესაც გარკვეული ბიოლოგიური მემკვიდრეობის მქონე ადამიანი სჩადის და უნდა ვიკითხოთ, რა არის მაინც ეს მემკვიდრეობა, როგორი იქნება ადამიანი, რომელიც მხოლოდ ცხოველური ინსტინქტით იხელმძღვანელებს, და არ ექნება უნარი თავისი მოქმედება უფრო მაღალ მოთხოვნილებებს, მაღალ ღირებულებებს დაუქვემდებაროს. „ადამიანი, — ამბობს პედაგოგიკის კლასიკოსის პესტალოცის „ლინგარდისა და ჰერტრუდას“ გმირი, — თავისი ბუნებით, თუკი მას მიუშვებენ ველურად გაიზარდოს, ზარმაცი, უმეცარი, მშიშარი და უზომოდ ხარბია, და, იმ საფრთხეთა წყალობით, რომლებიც მას როგორც სუსტ არსებას ემუქრებიან, და დაბრკოლებათა გამო, რომელთაც მისი სიხარბე აწყენება, ის ცბიერია, ვერაგი და მიუნდობელი, ძალადობისაკენ მიდრეკილი, თავხედია, შურისმაძიებელი და სასტიკი. ასეთია ადამიანი თავისი ბუნებით, თუ ის, თავის თავზე მინდობილი, პირველყოფილ პირობებში იზრდება. ის ისევე ადვილად ძარცვავს, როგორც ჭამს, ისევე ადვილად კლავს, როგორც სძინავს. მისი მოთხოვნილება მისი ბუნებრივი უფლებაა, მისი უფლებების საფუძველია გულისთქმა, მისი პრეტენზიების ზღვარია სიზარბაცე ან მეტის მიღწევის შეუძლებლობა“.

პესტალოცის მაღალი შეხედულება არა ჰქონია ადამიანის ბიოლოგიურ მემკვიდრეობაზე, მაგრამ ამის გამო მას ეგოიზმი დაუძლეველ ინსტინქტად როდი მიაჩნია. ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ თუ ადამიანი ცხოველის დონეს ვერ გასცდა, თუ ველურ მდგომარეობას ვერ დააღწია მან თავი, მაშინ ის არათუ უსარგებლო, საშიშიც იქნება საზოგადოებისათვის, ხოლო მისი, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო მოქალაქის, თვისებები ზნეობისა და კანონების ზეგავლენის შედეგია. ეს

თვალსაზრისი უპირისპირდება რუსოს შეხედულებას, რომლის მიხედვით, თუკი ბავშვის მიდრეკილებებს და სურვილებს არ შევზღუდავთ, ამით მის კეთილ ბუნებას გამოვავლენთ. სინამდვილეში ადამიანი და მისი თვისებები თავისთავად კი არ ყალიბდება, არამედ ისტორიული და კულტურული განვითარების შედეგია. ადამიანის ქმნადობა წინსვლაა და არა წარსულისაკენ მიბრუნება, წინსვლა კი მეტ ძალღონეს მოითხოვს, ვიდრე გათელილი გზით უკან სიარული. ადამიანური თვისებების აღზრდას მთელი სიცოცხლე სჭირდება, მათი დაკარგვა კი ძალიან მოკლე დროში შეიძლება. ასევე საზოგადოებას რამდენიმე წელში შეუძლია დაკარგოს ასეული წლების ნონაპოვარი. როგორც ერთმა მეცნიერმა გონებამახვილურად თქვა, წესრიგის შენარჩუნებას ძალ-ღონე სჭირდება, ქაოსი კი თვითონ შეინარჩუნებს თავს.

ადამიანში ბიოლოგიურისა და საზოგადოებრივის ურთიერთობის ამ გაგებას უკავშირდება უარყოფითი მოვლენების ახსნაც. როცა ეს მოვლენები წარსულის გადმონაშთებზე დაჰყავთ, მაშინ ადამიანს საზოგადოებრივი პიროვნების უბრალო სარკედ თვლიან და არ ითვალისწინებენ ადამიანის სხვა მხარეებს, კერძოდ ბიოლოგიურ მემკვიდრეობას. ხოლო როცა კერძო მესაკუთრულ მისწრაფებასა და ეგოიზმს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებასთან აკავშირებენ, მაშინ უგულებელყოფენ სოციალური გარემოსა და აღზრდის როლს. სინამდვილეში უარყოფითი მოვლენები არც ორგანიზმის მოუცილებელი თვისებებია და არც მარტო წარსული საზოგადოების მემკვიდრეობა. ცხოველისათვის, მართლაც, დამახასიათებელია ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი, მაგრამ ადამიანი მის ბიოლოგიურ თვისებებზე არ დაიყვანება — მნიშვნელოვანწილად თვით ადამიანზეა დამოკიდებული მისი როგორც ადამიანის ჩამოყალიბება. თუ ის ადამიანად ვერ აღზრდის თავის თავს, ყოველგვარი წარსულის გავლენის გარეშე დაეშვება ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის დონემდე. ყოველდღიური ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ადამიანი თუ მეიჩვია ან მიაჩვიეს სიზარმაცესა და უშრომლად ცხოვრებას, კერძო საკუთრების გავლენის გარეშეც კარგად შეითვისებს ეგოიზმსა და ინდივიდუალიზმს.

ადამიანში სიცოცხლის ლტოლვა ძლიერია, მაგრამ ერთადერთი არ არის. ინსტინქტურად შეიძლება მან საჭმელი გამოსტაცოს შვილს, მაგრამ თავისი საქციელით შეძრწუნებულმა სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოუტანოს ამის გამო თავის თავს. ა. კონი თავისი პრაქტიკიდან დამახასიათებელ შემთხვევას მოგვითხრობს. ახალგაზრდა ოფიცერს უნდა სასამართლო საქმე აღეძრა მამის წინააღმდეგ, რომელსაც მისი მემკვიდრეობა გაეფლანგა. მოსამართლემ ცოცხლად დაუხატა ის ვითარება, რაც ამ საქმეს მომავალში შეიძლებოდა მოჰყოლოდა: წარმოიდ-

გინე, გამოდიხარ რესტორნიდან მოგებული ფულით ნაქეიფარი, შემოუბერა სუსხიანმა ქარმა და მოგაგონდა შამა, რომელიც სადღაც ციმბირის ქარბუქშია მარტო, ავადმყოფი... ერთი კვირის შემდეგ ოფიცერი უარს იტყვის საქმის აღძვრაზე და აღელვებული მადლობას ეუბნება მოსამართლეს, რომელმაც მას ადამიანად დარჩენის შესაძლებლობა დაუტოვა. როგორც ჩანს, ადამიანად ყოფნის სურვილი ქონების დაბრუნების სურვილზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ადამიანს უბრალო არსებობა არ აკმაყოფილებს, მას არ უნდა, რომ მხოლოდ ამძიმებდეს მიწას. მას სურს თავისი ცხოვრებით კმაყოფილი იყოს, მის ცხოვრებას ღირებულება ჰქონდეს. როდის განიცდის ის ცხოვრებას ღირებულად? ამ კითხვაზე ასეთი პასუხი არსებობს: ადამიანს მრავალი მოთხოვნილება აქვს და ის ბედნიერი მაშინ არის, როცა რაც შეიძლება სრულად იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს. ამგვარი შეხედულება სიკეთისა და სხვა ადამიანზე ზრუნვასაც შესაბამისად ხსნის: ადამიანი სიკეთეს იმიტომ სჩადის, რომ სხვისგანაც მიიღოს სამაგიერო, ე. ი. სიკეთე საკუთარ თავზე კარგად გაანგარიშებული ზრუნვა ყოფილა. ან კიდევ ამბობენ: ადამიანი იმიტომ იქმს სიკეთეს, რომ ეს მას სიამოვნებს, ე. ი. ამ შემთხვევაშიც თავისი ინტერესებით ხელმძღვანელობსო. ამგვარ თვალსაზრისს გონივრული ეგოიზმი შეარქვეს.

გონივრული ეგოიზმი თითქოს ჰკუასთან ახლოა. ადამიანი ხომ ჯერ თავის თავზე ზრუნავს, მერე კი სხვებზე. ამის უარყოფა ფარისეველობა იქნებოდა, გვარწმუნებენ ამ თვალსაზრისის მომხრენი. სინამდვილეში ამგვარი ახსნაც ამარტივებს ადამიანს. ადამიანი რომ მხოლოდ თავისთვის სასარგებლოს აკეთებდეს, მაშინ ადგილი აღარ ექნებოდა ისეთ ვითარებას, როცა მან იცის, რა არის კარგი და საწინააღმდეგოს კი აკეთებს. თ. დოსტოევსკის ერთ-ერთი გმირი ამბობს: „ერთი მითხარით, პირველად ვინ თქვა, ვინ გამოაცხადა, ადამიანი სისაძაგლეებს მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ თავისი ნამდვილი ინტერესები არ ესმისო; და რომ თუ გავანათლებთ მას, თუკი ავუხელთ თვალს და მის ნამდვილ ინტერესებს დავანახვებთ, ადამიანი მაშინვე ხელს აიღებს სისაძაგლეებზე, კეთილი და დიდსულოვანი გახდება, რადგან როცა ის განათლდება და მიხვდება, რა არის მისთვის სასარგებლო, გაიგებს, რომ ეს სასარგებლო სწორედ სიკეთე ყოფილა, ხოლო როგორც ცნობილია, არც ერთ ადამიანს არ შეუძლია შეგნებულად თავისი ინტერესების საზიანოდ იმოქმედებს და, მაშასადამე, ის, ასე ეთქვათ, იძულებული იქნებოდა სიკეთე ექმნა? ბალღი ყოფილხარ, უმანკო, მიამიტი ბავშვი! განა როდის ყოფილა... ამ ათასწლეულების მანძილზე, რომ ადამიანს მხოლოდ საკუთარი გამორჩენა ამოქმედებდა?

მაშინ რა ვუყოთ მილიონებით ფაქტებს,... როცა ადამიანები შეგნებულად, ე. ი. სავსებით რომ ესმოდათ თავისი ნამდვილი ინტერესები,

მეორე რიგში აყენებდნენ მათ და საწინააღმდეგო გზას დაადგებოდნენ ხოლმე, სარისკოდ, საეგებისოდ იხდიდნენ საქმეს...“[8]

იმ თვალსაზრისის მომხრეებს, რომლებიც ადამიანის ქცევას მხოლოდ სარგებლიანობისაკენ მისწრაფებით ხსნიდნენ, ლესინგი ეკითხებოდა: კი მაგრამ რაშია თვითონ სარგებლიანობის სარგებლიანობა?

კიდევ უფრო ცხადი შეიძლება მოგვეჩვენოს იმ აზრის სისწორე, რომ ადამიანის მისწრაფების საბოლოო მიზანი ბედნიერებაა. მაგრამ ეს შეხედულება ქცევის მიზანს და შედეგს ერთმანეთში ურევს: როდესაც ადამიანი თავისი შინაგანი მრწამსის მიხედვით იქცევა, ის თავისი თავით კმაყოფილია, მაგრამ მის ქცევას კმაყოფილების მიღების სურვილი რიდი განსაზღვრავს. ადამიანური არსებობის მიზანი და აზრი, წერდა გამოჩენილი საბჭოთა ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ს. რუბინშტეინი, არ არის სწრაფვა ბედნიერებისაკენ, როგორც სიამოვნებისა და ტკბობის ერთობლიობისაკენ[9].

ადამიანი როგორც ცოცხალი არსება, ცხადია, სიამოვნებისაკენ მიილტვის და უსიამოვნების აცილებას ცდილობს. მაგრამ ამ ფაქტიდან ადამიანის მთელ ქცევას ვერ ავხსნით. თვით არსებობა, სამართლიანად ამბობდა კიდევ ერთი ფსიქოლოგი, პოლონელი მეცნიერი ს. შუმანი, ადამიანისთვის არ არის საკმაო მიზანი და სინამდვილის დაძლევის საკმაოდ ძლიერი მოტივი.

შეხედულება, თითქოს ადამიანი თავის ქცევაში უმთავრესად ან მხოლოდ სიამოვნება-უსიამოვნების საზომით ხელმძღვანელობს, ძალზე ამარტივებს ადამიანს, იგი უგულებელყოფს მის სოციალურ ბუნებას. ადამიანი მარტო იმას კი არ აკეთებს, რაც მას სიამოვნებს, არამედ იმასაც, რისი გაკეთებაც მას სწორად მიაჩნია დამოუკიდებლად იმისგან, მოსწონს პიროვნულად მას ეს თუ არა: თავისი მოვალეობის შესრულება ადამიანს სიამოვნებს, მაგრამ ამ სიამოვნებისთვის როდი ასრულებს მას! ხოლო შეხედულება ადამიანის მოვალეობაზე, იმაზე, თუ რა არის მართებული და რა უმართებულო, საზოგადოებრივი ურთიერთობის პროცესში ყალიბდება. ამ ურთიერთობაში ყოველი ადამიანი გამოიმუშავებს ღირებულებით ორიენტაციებს — ერთს უფრო მაღალ ღირებულებას ანიჭებს, ვიდრე მეორეს, — და თავის ქცევას მათ შეუფარდებს. ამ ღირებულებებში შედის ადამიანის დამოკიდებულება სამშობლოსადმი, მის მიერ სიკეთის, „კაცურობის“ დაფასება, მისი დამოკიდებულება ისეთი თვისებებისადმი, როგორიცაა მამაცობა, პირდაპირობა, გულწრფელობა და სხვ. ამგვარი ღირებულებები რომ არ გაჩნდეს ადა-

---

[8] Ф. Достоевский. Собр. соч., т. 5, М., 1956, с. 148—149.

[9] С. Н. Рубинштейн. Проблемы общей психологии. М., 1973, с. 349.

მიანს, მის ცხოვრებას, მის არსებობას მიზანი არ ექნებოდა და ის არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული ცხოველის არსებობისაგან. „ჯოჯოხეთი იქნებოდა ეს ასეთი ცხოვრება,—წერდა კვლავ ილია,—რომელსაც სხვა მიზანი არსებობისა არა აქვს, თუ არა ის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლხენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული... ჯოჯოხეთი იქნებოდა ამ წეწვა-გლეჯის ბაზარში სხივფენილ მადლსაც არ გაჰქონდეს თავისი პატიოსან-ნაამაგარი, თავისი ნაშრომ-ნაღვაწი კაცთა სანუგეშოდ და სასიქადულოდ“.

ღირებულებითი ორიენტაციები, ადამიანთა ქცევის შეფასების საზომები, შეხედულებები იმაზე, თუ როგორ უნდა იქცეოდეს კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, მამა თუ შვილი, ამხანაგი და მეზობელი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყალიბდება. საზოგადოება მოელის, რომ მისი წევრი ამ ღირებულებითი ორიენტაციების, ამ საზომების მიხედვით მოიქცევა და ცხოვრების თეატრში დაკისრებულ როლებს შეასრულებს და ამაში ვლინდება ადამიანის საზოგადოებრივი ბუნება. ადამიანს თავისი ღირებულება არ შეუძლია განიცადოს საზოგადოებასთან, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე, და არათუ განიცადოს, არამედ მას არც შეიძლება ეს მნიშვნელობა გაჩნდეს. ადამიანი არ არის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული იმ როლით, რომლის შესრულებაც მას დაკისრებული აქვს, მაგრამ მას არ შეუძლია არსებობა, თუ ის არავითარ როლს არ ასრულებს, თუ მას არავითარი ადგილი არ უკავია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუ ურთიერთობა არა აქვს სხვა ადამიანებთან. ამის გარეშე ის ადამიანიც არ არის. სოციოლოგები კამათობენ იმაზე, თუ რა ურთიერთობა არსებობს ადამიანსა და მის როლს შორის, დაიყვანება თუ არა ადამიანი მის როლებზე, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ადამიანის არსებობა წარმოუდგენელია, თუკი ის არავითარ როლს არ ასრულებს. როლები კი გულისხმობენ პიესას, დასს, მაყურებელს, გარკვეულ მოლოდინებს და ადამიანებს, რომელთაც ეს მოლოდინები აქვთ.

ადამიანის არსება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა, ნათქვამია მარქსის ცნობილ თეზისში. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა თავმოყრის წერტილი იყოს. ადამიანს გარკვეული ფიზიკური და სულიერი თვისებები გააჩნია, ხოლო ეს თვისებები საზოგადოებრივ ურთიერთობებში ხორციელდება. ადამიანს მისი საქმენი გამოაჩენენ, „საქმენი“ კი მხოლოდ სოციალურ გარემოში იძენენ აზრს. მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობაში გამოჩნდება, რაიმე ღირებულს აკეთებს ადამიანი, თუ წყალს ნაყავს. მაგრამ ადამიანს თავისი ცხოვრების, თავისი თავის ღირებულება მხოლოდ მაშინ შეუძლია განიცადოს, როდესაც ის უბრალოდ საზოგადოების

ნაწილი კი არ არის, არამედ მისი დამოუკიდებელი, თავისუფალი, განმეორებელი ნაწილია, როდესაც ის პიროვნებაა და თავისი შეობა გაიგნია. და პიროვნებაც სხვა ადამიანთან ურთიერთობას გულისხმობს. „მე"-ს არა აქვს აზრი „შენ"-ის გარეშე. თავისი „მე" ადამიანმა მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიცნობიეროს, როცა სხვა ადამიანი მასში ცნობს პიროვნებას.

ის, რომ ადამიანი საზოგადოებაში გარკვეულ როლს ასრულებს, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან. საზოგადოება პიროვნებას ოფიციალურად თუ არაოფიციალურად გარკვეული როლის შესრულებას ავალებს, მაგალითად, გარკვეული თანამდებობის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობის როლის შესრულებას. მაგრამ ერთი და იგივე როლი სხვადასხვანაირად შეიძლება შესრულდეს და როლების არჩევაშიც ადამიანს გარკვეული თავისუფლება აქვს. ასე რომ, როლი ადამიანს ცოდვების განტევებას არ აძლევს, ის თავს ვერ იმართლებს: რა მექნა, ეს მევალებოდაო.

საზოგადოებაში ცხოვრების გარკვეული წესი ყალიბდება, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ საზოგადოების წევრებმა. მაგრამ ადამიანს მარტო ის მოთხოვნილება კი არა აქვს, რომ საზოგადოების მიერ დადგენილ ნორმებს შეუსაბამოს თავისი ქცევა, მას ისიც უნდა, რომ თავისი განსაკუთრებული ადგილი ეკავოს საზოგადოებაში და ამით განიცადოს თავისი ღირებულება. ცხადია, ადამიანები ფილოსოფიური მსჯელობის შედეგად არ ირჩევენ თავიანთი ცხოვრების გზას, არამედ თავიანთი უნარებისა და ცხოვრების მოთხოვნებისა და გავრცელებული შეხედულებების, საზოგადოებრივი აზრის შეჯახების შედეგად. მოვიდა, მაგალითად, ადამიანი სამუშოდ კვლევით ინსტიტუტში, დარწმუნდა, რომ ის არის საშუალო ან კიდევ უფრო დაბალი უნარის მქონე. ასეთ მსჯავრს ადამიანი ძნელად გამოუტანს ცნობიერად თავის თავს, მაგრამ მაინც შეიძლება მან თავისი ფასი იცოდეს. ასეთ შემთხვევაში „შესაძლებელია მან სხვა სოციალური ღირებულებანი უფრო მეტი მნიშვნელობისად ჩათვალოს და პროფესია გამოიცვალოს. თუ ეს ვერ მოახერხა, შესაძლოა მას სხვა გატაცება გაუჩნდეს. შესაძლოა მას შეუმუშავდეს შეხედულება, რომ ცხოვრებაში მთავარია ქონებისა და ფულის დაგროვება. ამ მიმართულებით სათანადო წარმატებათა და უნარის გამოჩენის შემთხვევაში მისი ღირებულებათა სათანადო რეკონსტრუქციაც მოხდება. თუ ამ მხრივაც ვერ გამოიჩინა ადამიანმა სათანადო უნარი, შესაძლებელია ნადირობა, დროსტარება ან სმა აქციოს თავისი ცხოვრების ძირითად საქმედ. თუ მან ამ საქმიანობით შეძლო თავის წრეში პრესტიჟისა და ძალაუფლების მოპოვება, მას შეუმუშავდება შესატყვისი შეხედულებები, ცხოვრებაში იგი ძალაუფლებასა და

პრესტიჟს ძირითად ღირებულებად ჩათვლის; ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, შეიმუშავებს შეხედულებებს, რომ მთავარია ადამიანმა თავისი უშუალო მოთხოვნილებები და მისწრაფებები დაიკმაყოფილოს"[10]. ეს მსჯელობა მხოლოდ განმარტავს იმას, თუ რამდენად არაპირდაპირ ხდება ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბება და სულაც არ ისახავს მიზნად თუნდაც ამ შემთხვევაში ადამიანის ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბების ყველა გზა აღნუსხოს. არ არის გამორიცხული, მაგალითად, ამგვარ სიტუაციაში, რომ თუ ადამიანმა ფნიშვნელოვანს ვერაფერს მიაღწია მეცნიერულ საქმიანობაში, მან შეიძლება მიზნად დაისახოს სხვისი დამსახურების დამცირება, ამასთან წარმოაჩინოს ეს როგორც სამართლიანობისათვის ან დოგმის სიწმინდისათვის ბრძოლა და ამ გზით შეეცადოს მოიპოვოს პრესტიჟი და თავისი ღირებულების განცდა. სამართლიანია ერიხ ფრომის აზრი: თუ ადამიანი ვერ ქმნის ვერაფერს მაღალი ღირებულების მქონეს, მან შეიძლება ნგრევაში განიცადოს კმაყოფილება.

შეიძლება, ამის მსგავსად, თვალი გავადევნოთ, როგორ შეიძლება მოხდეს ღირებულებითი ორიენტაციის ჩამოყალიბება ბავშვობიდან. ბავშვის ტემპერამენტის, ბუნებრივი მონაცემების, ოჯახიდან წამოყოლილი ჩვევების და იმის წყალობით, თუ როგორ აეწყობა პირველ ხანებში მისი სწავლის საქმე, ერთ ბავშვს სწავლის ძლიერი მოთხოვნილება უჩნდება და ის მწვავედ განიცდის სკოლაში მოუმზადებლად მოსვლას და მასწავლებლის საყვედურს; სკოლა მისგან კარგად სწავლას მოელის და ისიც ცდილობს მოლოდინი გაამართლოს. მეორე მოსწავლე, თუკი ის რაიმე მიზეზის გამო სწავლაში თავს ვერ გამოიჩენს, შეეცდება იმით გამოიჩინოს, რომ ჯგუფი გააცინოს, მასწავლებელს „აურიოს". ჯგუფს უჩნდება მოლოდინი, რომ ის რაიმე უცნაურ საქციელს ჩაიდენს, მას უცნაური ბავშვის როლი ეკისრება და ისიც ცდილობს ეს როლი კარგად შეასრულოს. შემდეგ შეიძლება კარგი მოსწავლის როლის შემსრულებელმა დაიწყოს მოღვაწეობა იმ სფეროში, რომელიც მაღალი პრესტიჟით სარგებლობს, მაგალითად, მეცნიერებაში. თუ მას აქ ნიჭიც აღმოაჩნდა, თავისი ძირითადი საქმის შესრულებით მიიღებს კმაყოფილებას, თუ არა და იმ გზას დაადგება, რომელიც ფსიქოლოგის მსჯელობით დავახასიათეთ. ასევე ყოფილმა „ამრეკმა" თავისი ნიჭის წყალობით შეიძლება ცხოვრების წესი შეიცვალოს და საზოგადოებაში დადებით პრესტიჟის როლი შეასრულოს — წარმოების ორგანიზატორად თუ წესრიგისა და კანონიერების დამცველად მოგვევ-

---

10 შ. ნადირაშვილი. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. „მეცნიერება", თბილისი, 1975, გვ. 303.

ლინოს, ხოლო თუ მისთვის გაძნელდა აღიარებულ სფეროში წარმატების მიღწევა, მაშინ ის მისთვის მისაწვდომი გზით შეეცდება თავისი მეობა გამოავლინოს. ასე შეიძლება გაჩნდეს „საქმოსანი", კომბინატორი თუ სხვა სახის „გამოჩენილი" ადამიანი.

როგორც ჩანს, ადამიანის ქცევა არ არის მარტივად განსაზღვრული არც მისი ბიოლოგიური ბუნებით და არც მხოლოდ გარკვეული საგნობრივი მოთხოვნილებებით: ადამიანს ის მოთხოვნილებაც აქვს, რომ ღირებულად მიიჩნიოს თავისი საქმიანობა, თავისი ცხოვრება. „ადამიანს" შეიძლება გასტრონომიული ყიალმენება ყველაფერს ერჩიოს, მაგრამ რაკი მან თავისი ცხოვრების გზაც ამ თავისი მისწრაფების მიხედვით აირჩია, იგი შეეცდება „მსოფლმხედველობაც" შექმნას ამ თავისი გზის გასამართლებლად: იტყვის, რომ „რასაც შევეჯამთ, ის შეგვრჩება", ყველაფერი დანარჩენი „ამაოებაა" და ა. შ. ასევე „საქმოსანი" გამოიმუშავებს „იდეოლოგიას", რომლის მიხედვით „ფულის კეთებაა" მხოლოდ ვაჟკაცობა და ა. შ. ამიტომაც, რა თქმა უნდა, იმის იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ რაკი ადამიანს მისი საქმიანობის ნამდვილ მოტივს გავაგებინებთ, თუ მას მის საქმიანობას როგორც „ეკრძომესაკუთრული სულისკვეთების" მქონეს დავუხასიათებთ, ის იოლად შეცვლის თავისი ცხოვრების წესს. ძალზე დიდი გაბედულება სჭირდება იმას, რომ ადამიანმა აღიაროს, წლების განმავლობაში არასწორად ვცხოვრობდიო.

ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს და არ შეიძლება მას ანგარიშს არ უწევდეს, მაგრამ ის არ არის თავისი სოციალური ბუნებით ისე მკაცრად განსაზღვრული, როგორც ცხოველი ინსტინქტებით. საზოგადოებრივი აზრი შეუმჩნეველად, თუმცა კი მძლავრად ეხვევა თავს ადამიანს; საზოგადოებრივი გარემო, განათლება, აღზრდა დიდ გავლენას ახდენენ მასზე, მაგრამ ადამიანი ყოველთვის ბრმად როდი ემორჩილება ამ ძალებს. მუსიკოსად, თეოლოგად და ფილოსოფოსად იყო ჩამოყალიბებული ალბერტ შვაიცერი, როცა უეცრად გადაწყვიტა სამედიცინო განათლება მიეღო, აფრიკის მიუვალ რაიონში საკუთარი ხახსრებით აეგო საავადყოფო და ადგილობრივი მოსახლეობის სამსახურში გაეტარებინა ცხოვრება. რამ უკარნახა მას ასეთი გადაწყვეტილება? — საზოგადოება მკაცრად მოითხოვს მისი წევრისაგან მისთვის დაკისრებული როლის შესრულებას. მით უფრო მკაცრია მისი მოთხოვნა სამხედრო პირების მიმართ. მკაცრად იყო განსაზღვრული იმათი მოვალეობაც, ვინც 1825 წლის დეკემბერში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოვიდა. ბევრი მათგანი უმაღლეს მმართველ წრეებთან იყო დაახლოებული და ბრწყინვალე კარიერის იმედი უნდა ჰქონოდა. რამ აიძულა ისინი თითქმის უიმედო საქმისათვის გაეწირათ თავი?

ამგვარი საქციელი იმით აიხსნება, რომ ადამიანს თავისუფალი მოქმედების უნარი აქვს, მას შეუძლია თავისი მოთხოვნილებები და ინსტინქტებიც კი მაღალ ღირებულებათა და იდეალების განხორციელებას დაუმორჩილოს. მართალია, ამ იდეალებს ადამიანი თვითნებურად არ იგონებს, ისინი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებიან, მაგრამ ადამიანმა თვითონ უნდა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება მათთან. მაღალი მიზნებისა და იდეალების სახელით ადამიანებს ზოგჯერ კაცთმოძულე იდეები ევლინება: ფაშიზმიც „მაღალი" იდეალების — მსოფლიოზე გაბატონებისა და რასობრივი უპირატესობის დროშით გამოდიოდა. ადამიანებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, ჩათვალონ თუ არა მაღალი ღირებულების ჭეშმარიტ მიზნები, რომლებიც ამ პრეტენზიით გამოდიან. ადამიანს არ შეუძლია თავისი ქცევა იმით გაამართლოს, რომ ის საზოგადოებაში გავრცელებულ იდეალებს შეესატყვისებოდა. როგორც ცნობილია, ფაშიზმის მესვეურნი იმით ცდილობდნენ ემართლებინათ თავი, რომ ხელმძღვანელობის, „ფიურერის" ბრძანებას ასრულებდნენ, მაგრამ ამან ვერ გაათავისუფლა ისინი პასუხისმგებლობისაგან.

როგორც ვხედავთ, ადამიანისა და საზოგადოების დამოკიდებულება რთული და ურთიერთმხრივია. ღირებულებები, რომლებითაც ადამიანი თავის ცხოვრებას აფასებს, საზოგადოებიდანა აქვს მას შეთვისებული, მაგრამ ადამიანი არა მარტო ითვისებს ღირებულებით ორიენტაციებს, არამედ თვითონაც მონაწილეობს მათ გამომუშავებაში. ადამიანი თვითონვე ამსხვრევს მის მიერ შექმნილ კერპებს. საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ღირებულებით ორიენტაციებს, იდეალებს, ადამიანი კულტურის საშუალებით ითვისებს, კულტურის საშუალებითვე მონაწილეობს ამ იდეალების შექმნაში. ადამიანის გაგება შეუძლებელია კულტურასთან მისი ურთიერთობის დახასიათების გარეშე.

პიროვნების კულტურა

> ისევ ეუბრუნდები იმ აზრს, თუ რამ-დენად ფუჭია ჩვენში განათლება. მან დაისახა მიზნად პატიოსნები და ბრძენნი კი არ გაგეხადოს, არამედ სწავლულნი, და კიდეც მიაღწია ამას: მან ვერ გვას-წავლა სათნოებისა და სიბრძნის გაგე-ბა და მათი მოთხოვნების შესრულება, სამაგიეროდ სამუდამოდ დავიმახსოვრეთ ამ სიტყვების წარმოშობა და ეტიმოლო-გია; ჩვენ შეგვიძლია სათნოების აღმნი-შვნელი სიტყვა ვაბრუნოთ, სათნოების სიყვარული კი არ შეგვიძლია.
>
> მ ო ნ ტ ე ნ ი

ადამიანის მრავალ განსაზღვრებას შორის ასეთიც არის: ადამიანი არის ავადმყოფი ცხოველი. ამ უცნაურ აზრში ისიც არის ნაგულისხმევი, რომ ცხოველთან შედარებით ადამიანი ბუნებასთან ნაკლებად არის შეგუებული. ბუნებამ მას არც დათვის ქურქი მისცა, არც ლომის კლანჭები და არც კურდღლის სიმკვირცხლე. მაგრამ მან ადამიანი დააჯილდოვა უნარით, რომელიც მას ჭარბად უნაზღაურებს ამ ნაკლს. ეს არის კულტურის შექმნის უნარი. კულტურის წყალობით ადამიანს ლომის კლანჭებზე გაცილებით უფრო ძლიერი იარაღი აქვს და მისი საშუალებით ცხოველებზე უკეთ შეუძლია შეეგუოს ბუნებას და თვით ბუნება შეიგუოს. კულტურის საშუალებით ადამიანმა ბევრ გაჭირვებას დააღწია თავი, ბევრი მოხერხებული საშუალება მოიპოვა თავისი ცხოვრების მოსაწყობად, მაგრამ მან ახალი საფიქრელიც გაუჩინა.

კულტურა ადამიანმა, უწინარეს ყოვლისა, იმისთვის შექმნა, რომ ბუნებასთან ურთიერთობა მოეწესრიგებინა, მისი სტიქიებისაგან თავი დაეცვა და მისი სიმდიდრე გამოეყენებინა. მაგრამ კულტურის განვითარებასთან ერთად ადამიანი თანდათან დაშორდა იმ ბუნებას, რომელთანაც აპირებდა ურთიერთობა მოეგვარებინა. უფრო მეტიც: კულტურამ იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა თვით ბუნებაში, რომ შეიქმნა საფრთხე ადამიანებს თვალსა და ხელს შუა არ გაუქრეთ ბუნება. ჯერ კიდევ მონტენი ამბობდა: ჩვენ ისე გადავტვირთეთ ბუნების სილამაზე და სიმდიდრე ჩვენი გამონაგონით, რომ, შეიძლება ითქვას, ლამის დავახრჩეთ. ადამიანის არსებობისათვის გარკვეული წონასწორობა უნდა იყოს მასსა და ბუნებას შორის და ამ წონასწორობის დარღვევის საშიშროება კი სერიოზულია. მაგრამ კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის, თუ რა გავლენას ახდენს კულტურის განვითარება

ადამიანის სულზე, მის ფსიქოლოგიაზე. კულტურის გავლენა პიროვნებაზე და მის ცხოვრებაზე თითქოს მხოლოდ დადებითი უნდა იყოს, მაგრამ ბევრ მოაზროვნეს აფიქრებს ის წინააღმდეგობანი, რაც კულტურის განვითარებას ახლავს.

როგორც ითქვა, ფრანგი განმანათლებელი ჟან-ჟაკ რუსო თვლიდა, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებამ ხელი შეუწყო ადამიანის ზნეობის დაცემას და ბედნიერება წაართვა მას. ხელოვნების შესახებ რუსო წერდა: „იმ დროს, როცა მთავრობა და კანონები საზოგადოებრივ უშიშროებასა და მოქალაქეთა კეთილდღეობას იცავენ, ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც ნაკლებად დესპოტურნი, მაგრამ შესაძლოა უფრო ძლიერნი არიან, თაიგულებით ამკობენ ადამიანთა რკინის ხუნდებს, ახშობენ ადამიანებში თავისუფლების იმ ბუნებრივ გრძნობას, რისთვისაც არიან თითქოს ისინი დაბადებული, აიძულებენ შეიყვარონ საკუთარი მონობა და მათგან ეგრეთ წოდებულ ცივილიზაციის ხალხებსა ქმნიან“.

რუსოს თვალსაზრისი გამონაკლისი როდი იყო. მანამდეც და შემდეგაც არაერთხელ მიუქცევიათ ყურადღება კულტურის განვითარების წინააღმდეგობებისათვის, იმისათვის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ყოველთვის როდი უწყობს ხელს ადამიანთა შორის ადამიანურ ურთიერთობებს, სიკეთისა და ბედნიერების ზრდას. მას შემდეგ, რაც მეცნიერები გაჩნდნენ, კარგი ადამიანები გაქრენო, ჩიოდა ჯერ კიდევ ძველ რომში მეცნიერი და ფილოსოფოსი სენეკა. „განათლება, — აღნიშნავდა თ. დოსტოევსკიც, — ზოგჯერ ისეთ ბარბაროსობას, ისეთ ცინიზმს უთავსდება, რომ ზიზღის გრძნობა გიპყრობთ, და როგორი კეთილი ან წინასწარგანწყობილიც არ უნდა ყოფილიყავით, თქვენს გულში ვერ პოულობთ ვერავითარ ახსნასა და გამართლებას“.

ჩვენმა საუკუნემ კულტურის ამგვარი წინააღმდეგობების არაერთი მაგალითი გვიჩვენა. „იმ უმნიშვნელოვანეს გაკვეთილებს, რაც ჩვენ საუკუნეში აღზრდილ თაობას შეეძლო მიეღო მეორე მსოფლიო ომის დროს, ის უნდა მივაკუთვნოთ, რომ უაღრესად კულტურულ ადამიანებს ჭკვიანურად და აღფრთოვანებით შეუძლიათ იმსჯელონ ბახზე, ჰენდელზე, ბრუკნერზე და ამავე დროს ჯალათებად მოგვეელინონ, ერთიცა და მეორეც — ერთსა და იმავე პიროვნებაში...“, — თქვა უილიამ ფოლკნერმა.

მართლაც, მეცნიერებამ და ტექნიკამ და მათზე დამყარებულმა ინდუსტრიამ არაჩვეულებრივად მაღალ დონეს მიაღწიეს. ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ქვეყანა იყო ფაშისტური გერმანიაც. მაგრამ განა კაცობრიობის მიღწევის მაჩვენებელია ის, რომ აქ ისწავლეს

ადამიანის თმისაგან ქეჩის წარმოება და რომ მარტო ოსვენციმიდან ამ მიზნით სამოცდათასი კილოგრამი თმა გაიგზავნა გერმანიაში!

კულტურის ამგვარ წინააღმდეგობებში დანაშაული თვით კულტურას არ მიუძღვის, არამედ მის დამახინჯებას, მისი და საზოგადოების ცალმხრივ და წინააღმდეგობრივ განვითარებას. კულტურის წინააღმდეგობებს გარკვეული სოციალური საფუძველი აქვთ, მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ესა თუ ის საზოგადოება კარგი ან ცუდი მიზნებისათვის იყენებს კულტურას, ამ უკანასკნელს კი ამით არაფერი არ ემართება. საზოგადოებაში ადამიანთა ინტერესებისა და მიზნების ცალმხრივად წარმართვა ამახინჯებს თვით კულტურას, ხოლო ამგვარი კულტურის ათვისება კიდევ უფრო განამტკიცებს და აღრმავებს საზოგადოებრივ წინააღმდეგობებს. კულტურის დამახინჯება, უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ის ადამიანის არსებით მისწრაფებას აღარ ემსახურება, არამედ იმას, რაც ამ მისწრაფებათა საშუალება უნდა ყოფილიყო.

კულტურას ადამიანები მხოლოდ იმისათვის როდი ქმნიან, რომ თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ტექნიკური საშუალებები მოიპოვონ, არამედ კულტურის შექმნა გამოხატავს ადამიანის მისწრაფებას შემოქმედებისაკენ, მის მიერ ცხოვრების აზრის ძიებას. კულტურა ბუნებაზე ადამიანის გაბატონების დონეს როდი გამოხატავს მხოლოდ, არამედ იმასაც, თუ რამდენად გარდაიქმნა თვით ადამიანი. როდესაც კულტურა ამას ვერ ახერხებს, როცა ადამიანის მატერიალური საშუალებების განვითარებას მისი სულიერი კულტურა ჩამორჩება, თვით სულიერი კულტურაც ცალმხრივად ვითარდება. ის განიხილება როგორც მხოლოდ საშუალება ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ეს ბადებს ეჭვს, ამართლებს თუ არა კულტურა თავის დანიშნულებას. ეს განაწყობს ადამიანებს კულტურის წინააღმდეგ: საზოგადოების კრიტიკა კულტურის კრიტიკის სახეს იღებს. ასეთი საფუძველი აქვს კულტურის წინააღმდეგ ამბოხებას თანამედროვე დასავლეთის საზოგადოებაში. 1968 წლის მაისის ცნობილი ამბების დროს პარიზელმა სტუდენტებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ძირს კულტურა, გაუმარჯოს სიცოცხლეს!“, „ძირს ხელოვნება, ჩვენ უარს ვამბობთ ლეშის ჭამაზე!“ ცნობილმა ფილოსოფოსმა სარტრმა „ჯოკონდა“ დაწვის ღირსად გამოაცხადა, ხოლო დასავლეთ გერმანელმა პოეტმა ჰანს ენცენსბერგერმა წარმოსთქვა: „ოცდან ოცდაათამდე წლის ასაკის ყველაზე ჭკვიანი ადამიანები ბელეტრისტიკას აფურთხებენ... მათ არა თუ მისი შექმნა, ყიდვაც არ უნდათო“.

კულტურის ამგვარ კრიტიკაზე შეიძლება ვთქვათ, რომ ის საზოგადოების უარყოფის ნაცვლად კულტურას ადანაშაულებს. შეიძლებოდა

ისიც გვითქვა, რომ კულტურის უარყოფა შეუძლებელია, რადგან კულტურის უარყოფაც ისევ კულტურაა. მაგრამ დასავლეთის კულტურის ამ კრიტიკას სერიოზული საფუძველიც უნდა ჰქონდეს. იგი გამოხატავს კულტურის იმ კრიზისს, რომელიც დასავლეთის ფილოსოფოსებისა და კულტურის მოღვაწეთა ყურადღების ცენტრშია გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან. ახალი დროის ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა მწერალმა და მოაზროვნემ ლევ ტოლსტოიმ ეჭვი შეიტანა ხელოვნების ღირებულებაში. ის ირონიულად შენიშნავდა, რომ იმ დროს, როცა ხალხის ფართო მასები უმეცრებასა და გაჭირვებაში ცხოვრობენ, ათასობით ახალგაზრდები უსარგებლოდ ხარჯავენ სიცოცხლეს — ცდილობენ ისწავლონ ფეხების რაც შეიძლება სწრაფი მოძრაობა, თითების მარდი მოძრაობა კლავიშებსა და სიმებზე; ხოლო რას ვკითხულობთ რომანებში? — იმას, რომ ერთმა ხელის გულზე აკოცა თავის შეყვარებულს, მეორემ — იდაყვზე, მესამემ — კიდევ სხვაგან. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს კულტურის გულუბრყვილო კრიტიკაა, მაგრამ როცა ბრძენი გულუბრყვილოდ მსჯელობს, მასში ჭეტი სიმართლეა ხოლმე, ვიდრე მშრალი გონების „სად“ მსჯელობებში.

იმ ფილოსოფოსთა შორის, რომლებმაც დასავლეთის კულტურას სასიკვდილო დიაგნოზი დაუსვეს, იყო ოსვალდ შპენგლერი. ევროპის კულტურის დაცემის პესიმისტური სურათი მან დახატა თავის წიგნში „დასავლეთის მზის ჩასვენება“. ცნობილმა ჩეხმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა თავის ფანტასტიკურ რომანში „სალამანდრებთან ომი“ ერთ-ერთ გმირს, კენისბერგელ ფილოსოფოსს ვოლფ შაინერტს შპენგლერის ანალოგიურად დააწერინა წიგნი „კაცობრიობის მზის ჩასვენება“, სადაც გროტესკულად წარმოადგინა დასავლეთის კულტურის ტენდენციები. ადამიანთა კულტურას ეს ფილოსოფოსი უპირისპირებს სალამანდრების ცივილიზაციას, რომელიც არსებითად დასავლეთის კულტურაა, ოღონდ მთლიანად არის განთავისუფლებული ჰუმანისტური იდეებისა და იდეალების უკანასკნელი გადმონაშთებისაგან.

ახლა, წერს ჩაპეკის გმირი, ადამიანთა მოდგმის ტრაგედიის უკანასკნელი მოქმედება მიმდინარეობს. მართალია, ჯერ კიდევ საქმიანობის ციებ-ცხელება და ტექნიკური კეთილდღეობა სუფევს, მაგრამ ადამიანებმა სულ უფრო დაკარგეს თავის თავში რწმენა. რა უშლიან მათ ხელს? ჩვენ, ამტკიცებს „ფილოსოფოსი“, ზედმეტად დავიტვირთეთ თავი დოქტრინებით, მორალური კოდექსებით, ადამიანთა უფლებებით, ჰუმანურობის, თანასწორობისა და სხვა ცნებებით: ზნეობრივი კანონი ბიოლოგიურზე მაღლა დავაყენეთ. სალამანდრები კი დაზღვეული არიან კაცობრიობის ამ შეცდომისგან. ისინი კარგად გრძნობენ თავს ფილოსოფიისა და ხელოვნების გარეშე; მათ არ იციან, რა არის ფანტა-

ზია, იუმორი, ოცნება, თამაში; ისინი მთლიანად რეალიზმით არიან გამსჭვალული. „მათ ისწავლეს მანქანებისა და არითმეტიკის გამოყენება და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თავიანთი სამყაროს მეუფენი გამხდარიყვნენ. მათ ადამიანთა ცივილიზაციას მოაშორეს ყველაფერი, რასაც უშუალოდ სარგებლობა არ ჰქონდა, ყოველგვარი თამაში, ფანტაზია, წარსულის ტრადიციები; ამით მას ჩამოაცილეს ის, რაც მასში ადამიანური იყო, და აითვისეს მისი მხოლოდ შიშველ-პრაქტიკული, უტილიტარული, ტექნიკური მხარე".

სალამანდრების ცივილიზაციის სურათის დახატვით მწერალმა დასავლეთის კულტურის ძირითადი მანკიერებანი გამოთქვა: ის, რომ მან ძველი ღმერთების ადგილზე ახალი ღვთაება — ტექნიკა და მატერიალური ფასეულობანი დასვა და სულ უფრო შეზღუდა ადამიანის სულიერი ინტერესები, გაუფასურა მისი მაღალი ღირებულებები. ჰუმანიზმის, თანასწორობისა და სხვა იდეები, რომლებიც ჯერ კიდევ გარეგნულად შემორჩენილია ამ კულტურაში, მის გაბატონებულ ტენდენციას ხელს უშლიან. თუ წარსულში, როცა რელიგია იყო გაბატონებული, ადამიანებს ღმერთზე მინიშნებით გარკვეულ მცნებებსა და ღირებულებებს შთაუნერგავდნენ (არა კაც ჰკლა, არ იმრუშო და სხვ.), ბურჟუაზიულმა მსოფლმხედველობამ ღვთაებრივი საფუძველი გამოაცალა ამ ღირებულებებს, მაგრამ სხვა საყრდენი მათ ვერ გამოუნახა და ამიტომ ადამიანი სარგებლიანობის ამარაღა დატოვა. ცარიელ სარგებლიანობაზე აგებული კულტურა კი მატერიალური სიმდიდრისაკენ მიმართული აღმოჩნდა; კულტურამ სულიერი შინაარსი, ადამიანური მნიშვნელობა დაკარგა. ამგვარი კულტურის ტენდენცია კარგად დაახასიათა ფრანგმა პოეტმა შარლ ბოდლერმა: „ჩვენი დროის პროგრესს იქითკენ მივყავართ, რომ შინაგანი ორგანოებიდან მხოლოდ საჭმლის მომნელებელი ტრაქტიღა რჩებაო".

როდესაც საზოგადოება უმთავრესად მატერიალურ, ნივთიერ ფასეულობებზე ზრუნავს, მაშინ იჩრდილება ის ღირებულებანი, რომელთაც ეს ფასეულობანი უნდა ემსახურებოდნენ. რაც ადამიანური ცხოვრებისათვის საშუალება უნდა იყოს, მიზნის ადგილს იკავებს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადამიანები მხოლოდ მდაბალი, მატერიალური ინტერესებით ცხოვრობენ და „მაღალ", სულიერ მოთხოვნილებებზე უარი თქვეს. სულიერი მოთხოვნილებებიც შეიძლება ისე დაიკმაყოფილო, რომ დიდად არ განსხვავდებოდეს ეს მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაგან, ისე როგორც ჩეხოვის ერთი მოთხრობის გმირი კითხულობდა ხოლმე გაზეთს: „გაგორდები ზურგზე, გაზეთს დაიჭერ ხელში. სასიამოვნო რამ გახლავთ, როცა თვალები გეხუჭება და მთელ ტანში თვლემა გივლის, პოლიტიკის კითხვა: ნახავ, იქ ავსტ-

რიას მიუქარავს, აქ საფრანგეთმა ვიღაცას არ აამა, იქ რომის პაპი წინააღმდეგ წასულა — კითხულობ და ტკბები“.

ვიდრე ნივთებს მოიხმარს, მატერიალურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, ადამიანი თავის ინდივიდუალურ ინტერესებს არ სცილდება, სულიერი კულტურის ნამდვილი ათვისების დროს კი ის არ არის მხოლოდ საკუთარ ინტერესებში ჩაკეტილი, არამედ მან ის იდეები, ღირებულებითი დამოკიდებულებები უნდა გაიზიაროს, რომლებიც კაცობრიობას შეუქმნია ან ჩამოუყალიბებია, თუნდაც ისინი მისი ცხოვრების წესს ეწინააღმდეგებოდნენ: სულიერი კულტურა თავისი შექმნის პროცესშიც და ათვისების დროსაც ადამიანთა ურთიერთობას გულისხმობს, თუმცაღა, როგორც ითქვა, სულიერი კულტურაც შეიძლება დაამდაბლო, მისი ნამდვილი შინაარსი უგულებელყო და მხოლოდ გართობის საშუალებად აქციო.

როდესაც კულტურის ნაკლად მხოლოდ მატერიალურისადმი მიმართულობას ვთვლით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მატერიალურზე ზრუნვა აღარ არის საჭირო და ადამიანებმა მთელი თავიანთი ყურადღება სულიერ მოთხოვნილებებზე უნდა გადაიტანონ. საქმე მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებისა და ინტერესების ურთიერთობას ეხება და არა ერთ-ერთის უგულებელყოფას. როდესაც ჰ. თორო წერდა: თუ საჭიროა, დაე მდინარეზე ერთი ხიდით ნაკლები იყოს და ზოგან შემოვლა მოგვიხდეს, ოღონდ კიდევ ერთი ხიდი გავდოთ უმეცრების უფრო ღრმა მორევზე, რომელიც გარს გვაკრავსო, ამით ის ხიდების მშენებლობის წინააღმდეგი კი არ იყო, არამედ იმის მოითხოვდა, რომ ადამიანები ისევე ზრუნავდნენ ერთმანეთთან სულიერი კომუნიკაციების გაფართოებაზე, როგორც სივრცეში ერთმანეთთან მისვლა-მოსვლის საშუალებებზე ზრუნავენ.

მატერიალური ფასეულობების, ნივთიერი სიმდიდრის ზრდა, უწინარეს ყოვლისა, ტექნიკის განვითარებაზეა დამოკიდებული, ტექნიკა კი მეცნიერებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ საზოგადოება, რომელიც მატერიალურ ფასეულებათა ზრდას აქცევს უმთავრეს ყურადღებას, სულიერი კულტურიდან მხოლოდ მეცნიერებას აფასებს. ახალი მასალები, ახალი მანქანები მეცნიერების წყალობით იქმნება, ამიტომ მეცნიერება საქმედ ითვლება, კულტურის სხვა სფეროების, მაგალითად, ხელოვნების ან ფილოსოფიის ღირებულება საეჭვო ხდება. სულიერი სამყაროს ამგვარი გადაფასება კარგად გამოხატა ტურგენევის ცნობილმა გმირმა ბაზაროვმა, რომელიც ამბობს: წესიერი ქიმიკოსი ო�ერ უფრო სასარგებლოა, რომელიც გნებავთ გენიალურ პოეტზეო. მეოცე საუკუნის დასაწყისში კი ალექსანდრე ბლოკი წერდა: „ჩვენ ჭკვიან მეცნიერის კულტურის საფეხურს მივაღწიეთ. არის ბევრი მეცნიერი, რო-

მელთაც დიდი სარგებლობა მოაქვთ მეცნიერებისათვის; ისინი პირისახით მეცნიერების მხარეს არიან მიბრუნებული და მეტი არსაით, ცხოერების ბევრი მხარე მათთვის დახურულია, ისინი მათთვის არ ყოერენ. ეს არის კულტურა თვალსაფარით: თავისი სპეციალობის მიმართულებით ისინი შორს ხედავენ, გარშემო კი ვერაფერს ამჩნევენ"[11].

ერთი შეხედვით, მეცნიერებაზე ორიენტაცია კულტურისათვის საესებით ბუნებრივია, მით უფრო — ჩვენს საუკუნეში. განა მეცნიერება არ არის ადამიანის კულტურის, მისი სულიერი შემოქმედების ყველაზე დიდი მიღწევა? როდესაც კულტურის ცალმხრივ, მხოლოდ მეცნიერებაზე ორიენტირებულობაზე ლაპარაკობენ, ამით ადამიანის ცხოვრებაში მეცნიერების მნიშვნელობას არ ამცირებენ. მეცნიერების მნიშვნელობა მარტო იმაში კი არ არის, რომ ის ადამიანური ცხოვრების მრავალი პრობლემის გადაჭრას ემსახურება, არამედ იმაშიც, რომ ის ავლენს ადამიანის არსებით მისწრაფებას — შემოქმედებას. მაგრამ თვითონ მეცნიერებაში და მეცნიერულ შემოქმედებაზე არსებობს ცალმხრივი წარმოდგენა. ის, რომ მეცნიერების მიზანია სამყაროს ჭეშმარიტი სურათის შექმნა, იმ ილუზიას ბადებს, თითქოს მეცნიერი მხოლოდ სამყაროს პირისპირ იდგეს და სხვა ადამიანი და ადამიანური პრობლემები მას არ ეხებოდეს. სინამდვილეში მეცნიერული კვლევა არ არის მხოლოდ ბუნების დაკითხვა. ის სხვა — წარსულის, აწმყოსა თუ მომავლის — ადამიანებთან დიალოგია, რადგან მეცნიერს უკვე არსებულ შეხედულებებთან აქვს საქმე და არა მხოლოდ თავისი კვლევის საგანთან. სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე მეცნიერულ ძიებას აზრიც დაეკარგებოდა. მეცნიერებისა და ზნეობის ურთიერთობის შესახებ კამათის დროს სამართლიანად აღნიშნავდა ერთ-ერთი საბჭოთა მეცნიერი, რომ სამყაროში დაკარგულ ადამიანებს მეცნიერული კვლევის სტიმული აღარ ექნებოდათო. როდესაც მეცნიერებაზე ორიენტირებული კულტურის ცალმხრივობაზე ლაპარაკობენ, მასში მხოლოდ კულტურის სხვა მხარეების უგულებელყოფა კი არ იგულისხმება, არამედ თვით მეცნიერების ცალმხრივი გაგებაც, მისი მოწყვეტა ადამიანური ცხოვრების, ადამიანური ყოფიერების არსებითი პრობლემებისაგან. დამახასიათებელია, რომ მეცნიერებაზე ცალმხრივი წარმოდგენა და მისი მნიშვნელობის გაზვიადება ყველაზე ნაკლებად არის ნიშანდობლივი თვით დიდ მეცნიერთათვის. მეცნიერების ისეთი კორიფეებს, როგორიც იყვნენ აინშტაინი, ბორნი, შრედინგერი, ჰაიზენბერგი და სხვები, სრულიადაც არა ჰქონდათ ცალმხრივი წარმოდგენა მეცნიერებაზე და ადამიანის ცხოვრებაში მის ადგილზე. ასე ცალმხრივად ჩვეუ-

[11] А. Блок. Собр. соч., в восьми томах, т. 6, М.—Л., 1962, с. 29.

ლებრივ „ფაუსტის“ ცნობილი გმირის ვაგნერის ტიპის ეპიგონები მსჯელობენ ხოლმე. ალბერტ აინშტაინი, მაგალითად, ფიქრობდა, რომ გამოჩენილი ადამიანების მორალურ თვისებებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე მათ გონით მიღწევებს.

ადამიანის ცხოვრებაში მეცნიერების ადგილზე სწორი წარმოდგენა იმის გაგებასაც გულისხმობს, რომ შემოქმედება მეცნიერულ კვლევაზე არ დაიყვანება, ხოლო ადამიანის ღირებულებები—პეშმარიტებაზე. სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნის ცდას ადამიანური ურთიერთობა, თვით ადამიანი აძლევს აზრს. მეცნიერული ძიებაც არ არის ფაქტების უღელვებელი კვლევა. ეს მისწრაფებაც ადამიანის გრძნობებისა და ემოციების გარეშე არ ხდება. ჩესტერტონს გონებამახვილურად უთქვამს: შეშლილი — ეს არის ადამიანი, რომელმაც ყველაფერი დაკარგა გონების გარდა. ადამიანი, რომელსაც ლოგიკური აზროვნების უნარი ექნებოდა, მაგრამ დაკარგული ექნებოდა მისი სტიმული, საზრისი, რასაც აზროვნება უნდა ემსახურებოდეს, მართლაც, შეშლილი იქნებოდა. ხოლო თავის მისწრაფებებს, იმედებს. იდეალებს ადამიანი ხელოვნებაში გამოხატავს კერძოდ. აქედან ხელოვნებაც, მეცნიერებასთან ერთად, ხოლო ზოგჯერ მასზე მეტადაც, კულტურის მნიშვნელოვან სფეროდ ითვლება. ამის შესაბამისად, როცა ქვეყნისა და ეპოქის კულტურას ახასიათებენ, ჩვეულებრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის დონისა და მხატვრული კულტურის სურათით იფარგლებიან. პიროვნების კულტურაზე უფრო ხშირად იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ რა იცის მან, რამდენად არის განათლებული, რამდენად ესმის ხელოვნება და ლიტერატურა. კულტურაში გულისხმობენ აგრეთვე ადამიანის ქცევის მანერებს, მაგრამ ეს მანერები გამოხატავენ ან უნდა გამოხატავდნენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებებს, მათ წარმოდგენებს ღირებულებათა შესახებ, იმას, თუ რას მეტ ღირებულებას ანიჭებს ადამიანი და რას ნაკლებს, რა მიაჩნია სიკეთედ და რა — ბოროტებად. ეს იმას ნიშნავს, რომ კულტურის მნიშვნელოვანი მხარე უნდა იყოს ზნეობა.

საზოგადოების მეცნიერული მიღწევები და მხატვრული კულტურა უფრო თვალსაჩინოდ არსებობს: ერთი მეცნიერულ წიგნებში და ტექნიკის მიღწევებშია განხორციელებული, მეორე ხელოვნების ნაწარმოებების სახით არსებობს. ზნეობრივი კულტურა კი თითქოს ნაკლებად ხელშესახებია; ამიტომ კულტურაზე ბეჭობის დროს ზნეობას, როგორც წესი, გვერდს უვლიან. ქვეყნის კულტურაზე იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ რამდენი წიგნია ბიბლიოთეკებში, რამდენს აქვს უმაღლესი განათლება, რამდენი მაყურებელი ჰყავს კინოსა და თეატრს და ა. შ., ზნეობაზე კი მსჯელობას იშვიათად შეხვდებით. და ძნელიც არის ალბათ ხალხის ზნეობის, მისი ღირებულებების დახასიათება, მაგ-

რამ კულტურა ზნეობის გარეშე ამის გამო არ უხდა ყოფილიყოდგიხოთ. ზნეობა კულტურის ყველაზე ღრმა ფენა უნდა იყოს, ის ყველაზე მეტად გამოხატავს მის დონეს. ერთი კულტურის შეცვლა მეორით არ დამთავრდება, ვიდრე არ მოხდება ძირეული ცვლილებები ადამიანთა ზნეობრივ ღირებულებებში. ზნეობრივი რევოლუცია კულტურული რევოლუციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

კულტურას მრავალი დანიშნულება, მრავალი ფუნქცია აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთ-ერთი მათგანი ის არის, რომ მისი საშუალებით ადამიანი ითვისებს საზოგადოებაში მიღებულ ნორმებსა და წესებს, სხვა ადამიანების გამოცდილებასა და ცოდნას, ამყარებს მათთან ურთიერთობას და გარკვეული როლების შესრულებას კისრულობს, საზოგადოება პიროვნებას იმით აკონტროლებს, რომ მის ერთ სექციელს იწონებს და კიცხავს მეორეს, ხოლო ადამიანებისა და საზოგადოებრივი აზრის მიერ მისი სექციელის შეფასებისადმი გულგრილი არავინ არ არის.

საზოგადოებრივ ცხოერებაში პიროვნების ჩაბმის, მისი წესებისა და ნორმების ითვისებისა და სოციალური როლების მომზადებისა და შესრულების პროცესს სოციოლოგები სოციალიზაციას უწოდებენ. კულტურა პიროვნების სოციალიზაციის მთავარი საშუალებაა. მაგრამ კულტურის დანიშნულება მხოლოდ ის არ არის, რომ პიროვნების სოციალიზაციას, საზოგადოებასთან მის შეგუებას შეუწყოს ხელი. თავისი სოციალური ურთიერთობები რომ მოაწესრიგოს, ადამიანი უბრალოდ კი არ უნდა დაეუფლოს საზოგადოებაში მიღებულ ნორმებსა და შეხედულებებს, არამედ მათი გააზრებისა და შეფასების უნარიც უნდა ჰქონდეს. კულტურა არ არის ქცევის წესების იმგვარი ნუსხა, რომელშიც ადამიანმა პირდაპირ შეიძლება ამოიკითხოს ის, თუ როგორ უნდა მოიქცეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ცხოვრებაში ახალი ვითარებები ჩნდება ხოლმე, რომლებიც ადამიანს არჩევნის წინაშე აყენებენ, რადგან მისი მოვალეობანი ხშირად ერთმანეთსაც ეწინააღმდეგებიან. დღეს, მაგალითად, ადამიანი ამგვარ სიძნელეს აწყდება ხშირად: საზოგადოებრივი ცხოვრება გართულდა, მისი რიტმი აჩქარდა, ადამიანებს სულ უფრო მეტი მოვალეობანი აქვთ და ერთმანეთთან უშუალო ურთიერთობისა და მისვლა-მოსვლისათვის ვეღარ იცლიან. მაგრამ ადამიანური ურთიერთობის გარეშე ურთიერთგაგების ყველა ჩვენს საქმიანობას აზრი ეკარგება. ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რომელ ინტერესს მისცეს უპირატესობა, რომელი მოვალეობა დააყენოს უფრო მაღლა, რა გააკეთოს პირველ რიგში — მეგობართან გაატაროს დრო ან სტუმარს გადაჰყვეს, თუ მეგობრობისა და სტუმარმასპინძლობის შესახებ ლექსი ან გამოკვლევა დაწეროს,

კრებაზე თვლემდეს თუ საინტერესო წიგნი წაიკითხოს. პიროვნების კულტურა საზოგადოების მიერ. მოპოვებული ცოდნისა და გამოცდილების უბრალო შეთვისება კი არ არის, არამედ იმის უნარი, რომ ამ ცოდნასა და გამოცდილებაზე დამყარებით ადამიანმა თვითონ განსაჯოს ვითარება და თავისი დამოკიდებულება და ქცევა განსაზღვროს.

როგორც ჩანს, კულტურას მარტო ის ფუნქცია კი არ აქვს, რომ ხელი შეუწყოს პიროვნების შეგუებას საზოგადოებასთან, მის სოციალიზაციას, არამედ ისიც, რომ განავითაროს ადამიანის უნარები, მისი გონება და გრძნობები, რაც მას საშუალებას მისცემს განსაზღვროს თავისი ადგილი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისი ნამდვილი ინტერესები და მოვალეობანი და მათ შესატყვისად მოიქცეს. კულტურას საზოგადოებაში სხვა მიზანდასახულობაც აქვს — მისი საშუალებით მყარდება ურთიერთობა ადამიანებს შორის, იგი გარკვეულ მიმართულებას აძლევს ადამიანის ენერგიას, ავსებს მის თავისუფალ დროს და ა. შ. მაგრამ კულტურის ამ მრავალ ფუნქციას შორის უმთავრესი მაინც ორია: პიროვნების სოციალიზაციისა და ადამიანის უნარების განვითარებისათვის, განსაკუთრებით თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქმედების უნარის განვითარებისათვის ხელშეწყობა. ვიდრე ადამიანი ცხოვრებას მიჰყვება, ის ჯერ პიროვნებად არ ჩამოყალიბებულა.

როდესაც ვამბობთ, რომ ადამიანის კულტურის მაჩვენებელია ის, თუ რამდენად თავისუფლად და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას და შეგნებულად განსაზღვრავს თავის ქცევას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავისუფალი ის არის, ვინც მოქმედების დაწყებამდე ფილოსოფიურად სჯის — როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი. ეს უკანასკნელი თავისუფალია, თუ ის თავისი მრწამსის, თავისი შეხედულებებისა და ღირებულებითი ორიენტაციების მიხედვით მოქმედებს და არა სხვისი კარნახითა და წახედულებით, თუნდაც მას წარმოდგენაც არა ჰქონდეს იმაზე, თუ რა არის თავისუფლება.

კულტურა ადამიანის თავისუფალი და შეგნებული მოქმედების უნარის განვითარებას ემსახურება. თავისუფალი და შეგნებული მოქმედება კი არსებითად შემოქმედებაა. შემოქმედება მხოლოდ გენიალური მეცნიერული აღმოჩენების გაკეთება და ხელოვნების შედევრების შექმნა როდია. ადამიანი ყოველ ნაბიჯზე ექცევა ისეთ ვითარებაში, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას, შემოქმედებას მოითხოვს. შემოქმედება მარტო კულტურის პროდუქტის შექმნა კი არ არის, არამედ, აგრეთვე, მისი ათვისება. მხატვრული ნაწარმოების ნამდვილი აღქმისათვის აუცილებელია თანაგრძნობა, თანაგანცდა, რომელიც იმას უნდა ეხმიანებოდეს, რასაც ხელოვანი განიცდიდა ნაწარმოების შექმნის დროს. ასევე მეცნიერების ათვისება არ არის

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ გარკვეული შედეგებისა და ფორმულების დამახსოვრება; ის იმ გზის წარმოდგენასაც გულისხმობს, რომელსაც ამ შედეგებამდე მივყავართ. იგივე ითქმის ზნეობაზე: ადამიანი, რომელიც სხვის კეთილ საქციელს ხედავს, მაგრამ ამგვარი საქციელის უნარი თვით არა აქვს, სიკეთესაც ვერ გაიგებს— ის იმის ძიებას დაიწყებს, თუ რატომ მოიქცა ადამიანი ასე, რა სარგებლობას მოელის ის თავისი საქციელისაგან და ა. შ. როგორც ჩანს, ზნეობრივი საქციელის უნარი, ზნეობრივი შემოქმედების უნარი და მისი აღქმის უნარიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული: ადამიანს, რომელსაც ნამდვილი ზნეობრივი საქციელის უნარი არა აქვს, არც ამგვარი ქცევის დანახვა შეუძლია.

კულტურა შემოქმედებაა, შემოქმედება კი ადამიანის უნარების დაძაბვას, მისი ძალების მოხმარებას მოითხოვს. ტყუილად როდი ადარებენ შემოქმედებას წვას. არა მარტო მეცნიერებასა და პოეზიაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც არაშემოქმედებითი მიდგომა არის იოლი, გატკეპნილი გზით სიარული, გონებრივი სიზარმაცე, შემოქმედება კი თავის არდაზოგვას, თავგანწირვას მოითხოვს. ამიტომ შემოქმედება, კულტურა, როგორც შემოქმედება, თავისი ბუნებით ფლობაზე ორიენტირებული ცხოვრების საწინააღმდეგო, კერძო მესაკუთრული მისწრაფების საპირისპირო ძალაა. თუ უკანასკნელი ზოოლოგიური ინდივიდუალიზმისაკენ ეწევა ადამიანს, კულტურა — ადამიანურობისაკენ მოუწოდებს მას. კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევა და ნამდვილი კულტურის განვითარება განუყოფელია ერთმანეთისაგან. ნამდვილად კულტურული ადამიანი არც მონაა და არც მტერი ნივთისა. კარგად თქვა ლენკამ: დიდი ადამიანია ის, ვინც თიხის ჭურჭელს ისე მოიხმარს, როგორც ვერცხლისას, მაგრამ არა ნაკლებად დიდია ისიც, ვინც ვერცხლის ჭურჭელს ისე ხმარობს, როგორც თიხისას. მართალია, კულტურის განვითარება თავისთავად უარყოფითი მოვლენების დაძლევის უებარი საშუალება ვერ იქნება, რადგან ის თვითონ არის ბევრ რაიმეზე დამოკიდებული და, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ პირობებზე, მაგრამ ეკონომიკა, მატერიალური ცხოვრება მხოლოდ პირობებსა ქმნის კულტურის განვითარებისათვის, ხოლო ის, თუ საით წავა ეს განვითარება და რამდენად სწრაფი იქნება, თავის მხრივ, დამოკიდებულია საზოგადოებისა და თვით კულტურის თავისებურებებზე, ტრადიციისა და სიახლის ურთიერთობაზე კულტურაში.

კულტურა არ არსებობს ტრადიციების გარეშე: ტრადიციები კულტურის არსებობის, თაობიდან თაობისათვის მისი გადაცემის ფორმაა. ტრადიციებში ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორიაა გასაგნებული, მათში ჩვენი წინაპრების აზრები და გრძნობებია ჩაქსოვილი და მათი პატივისცემა ისტორიის ხსოვნა არის. ადამიანის განსაზღვრებათა შო-

რის ასეთიც არის: ადამიანი არის ისტორიის გრძნობის მქონე ცხოველი: ილიას კი არაერთხელ უთქვამს, ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა. მაგრამ საზოგადოება, რომელიც ბრმად მისდევს წარსულს, ერთხელ შექმნილ კულტურულ ტრადიციებზეა მიჯაჭვული და მათი შეცვლა არ შეუძლია, ერთ წერტილზე გასაყინად არის გაწირული. ტრადიციებისადმი დამოკიდებულება საზოგადოებისა და მისი კულტურის ხასიათს ასახავს და თვითონაც ახდენს გავლენას მათ განვითარებაზე.

ტრადიციების მნიშვნელობა

> მეფესთან მოვედი, მაგრამ მან მისაღებში მალოდინა და ისე იქცეოდა, როგორც ადამიანი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს სტუმარმასპინძლობაზე. ჩემს მეზობლად კი ადამიანი იყო, რომელიც ხის ფუღუროში ცხოვრობს, მისი მანერები ჭეშმარიტად მეფური იყო, და უკეთ მოიქცეოდი, მასთან რომ წაესულიყავი.
>
> ჰენრი თორო

ადამიანური მოღვაწეობა და მისი შედეგი — ნივთი თუ სულიერი შემოქმედების ნაწარმოები — კულტურად მაშინ გადაიქცევა, როდესაც მათ საზოგადოება აღიარებს და მისი კუთვნილება გახდება. კულტურის მოვლენათა გავრცელება, თაობიდან თაობისათვის გადაცემა ტრადიციებად აქცევს მათ. ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს — შრომასა და ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას, მეცნიერებასა და ხელოვნებას ან ზნეობას თავისი ტრადიციები ახასიათებს. ყველა მათგანში დგება კულტურული ტრადიციისა და სიახლის ურთიერთობის საკითხი. მაგრამ სიტყვა „ტრადიცია“ უფრო ეიწრო აზრითაც იხმარება და ამ შემთხვევაში ის აღნიშნავს ადამიანთა ყოფა-ცხოვრების მეტად თუ ნაკლებად ვყარ წესებსა და ფორმებს, რომლებიც აწესრიგებენ ადამიანთა უშუალო ურთიერთობას, მათ დამოკიდებულებას ისეთი მოვლენებისადმი, როგორიცაა დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება, სტუმარმასპინძლობა; ტრადიციულ ფორმას იღებს ურთიერთობა მამაკაცებსა და ქალებს, უფროსებსა და უმცროსებს, შორის, ნათესაური და მეზობლური ურთიერთობები და სხვ. ადამიანი თავის ცხოვრებას იმით აწესრიგებს, რომ გარკვეული რიტმი შეაქვს მასში და ერთი საშუალება ყოველდღიურ ცხოვრებაში წესრიგის შესატანად უხსოვარი დროიდან დაწესებული დღესასწაულებიც არის. ერთფეროვანი ცხოვრება ადა-

მიანისათვის ძნელი ასატანია და ამიტომაც გამოჰყოფს ის საგანგებოდ საზეიმო დღეებს. ეს კარგად არის გამოთქმული ქართული სიტყვით „დღესასწაული". ადამიანს თავგზა აეტნეოდა ერთ კვირაში დღეების გარეშე და ერთ წელიწადში — დღესასწაულების გარეშე, თქვა ა. სენტ-ეგზიუპერიმ. დღესასწაულების დაწესებით ისინიც ტრადიციების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდნენ.

ტრადიციების აღიარებით ადამიანი იზიარებს იმ საზოგადოების, იმ ხალხის კულტურას, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენენ. მათ შესაბამისად რომ იქცევა, ამით ადამიანი პატივს სცემს თავის წინაპრებს, რომელთაც ეს ტრადიციები შექმნეს, და თანამედროვეებს, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან. გარდა ამისა, ზოგიერთი ტრადიციით — სახალხო დღესასწაულებით, ქორწილითა და სხვ. — გათვალისწინებულ წესებს ადამიანები ერთად ასრულებენ. ამაშიც მეღავნდება ის, რომ ტრადიციები ადამიანური ურთიერთობის მოთხოვნილებას პასუხობენ.

ტრადიციებს რომ ვიზიარებთ, ამით თავს ვგრძნობთ გარკვეული ერის ნაწილად, რადგან ტრადიციები ერის კულტურის, თვით მისი არსებობის ნაწილია, მათში ხალხის ხასიათი და მსოფლმხედველობაა გამოხატული. ერის საკუთრს მისი კულტურული ტრადიციებიც მიეკუთვნება. მათდამი უდიერი დამოკიდებულება, დაუფიქრებლად და განუსჯელად მათზე უარისთქმისათვის მზადყოფნა ეროვნული თვითშეგნების დასუსტების მაჩვენებელია. ტრადიციებს მაშინ ეკიდებიან განურჩევლად, როცა ადამიანებში ბატონდება სარგებლიანობისა და გამორჩენის სულისკვეთება, როცა ვრცელდება მომხმარებლური განწყობილება და ცხოვრების შეფასების მთავარი საზომი კომფორტი ხდება. ეს კარგად არის ნაჩვენები ვ. რასპუტინის მოთხრობაში „მატიორასთან დამშვიდობება": დიდ მნიშვნელობასთან დაკავშირებით უნდა დაიტბოროს კუნძული და აქ მაცხოვრებლები სხვაგან უნდა გადაასახლონ; ამ ვითარებისადმი ადამიანები სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას იჩენენ: ისინი, ვინც მხოლოდ კომფორტსა და ცენტრალურ გათბობაზე ფიქრობს, დაუფიქრებლად გამოთქვამენ სიხარულს, ხოლო ვისაც არ დაუკარგავს ბუნებისადმი გრძნობა და მამა-პაპისადმი პატივისცემა, მათთვის ეს პროცესი მტკივნეულია, მათ უძნელდებათ დათმონ მიწა, სადაც დამარხულია მათი წინაპრები, მათი მახლობლები. რაკი სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა ითქვას, რომ მამა-პაპის მიწის სიყვარული და მისი არადათმობის სურვილი სულაც არ არის რაღაც კუთხური ჩამორჩენილობა, როგორც ეს ზოგიერთ თეორეტიკოსს წარმოუდგენია, რომელიც ძალზე გაიოლებულად წყვეტს ე. წ. მიგრაციის პრობლემებს.

ტრადიციები გამოხატავენ ერის კულტურას, მის ხასიათსა და თავისებურებებს. ამიტომ მათი დაცვა ყოველ ადამიანს თავისი ღირსების

საქმედ მიაჩნია. ტრადიციებს ვინც ზერელედ ეპყრობა, ის ალბათ ერის დღევანდელ ინტერესებსაც ადვილად დაივიწყებს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ერის ცხოვრებასთან ერთად ტრადიციებიც არ შეიძლება არ იცვლებოდნენ. იცვლება აღამიანთა ცხოვრება და მათთან ერთად ის ტრადიციებიც, რომლებიც მას განაგებენ. გავიხსენოთ „შუშანიკის წამებაში" აღწერილი ვარსამი და დედოფლის სიტყვები: „ოდეს ყოფილ არს აქამოდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!" და როგორ ჰკრა ხელი გამოწვდილ ჭიქას, „პირსა შეალეწა და ღვინო დაითხია". „პიტიახში შიუხვდა ნათქვამს აზრს და გამძვინვარებულმა ხელი აღმართა მამა-პაპის წესის ერთგულ დამცველზე", — ნათქვამია ამის თაობაზე ა. ლეკიაშვილის მშვენიერ წიგნში „შენ ხარ ვენახი". პიტიახში მიხვდა, რაზეც ზრუნავდა შუშანიკი, მარტო სუფრის წესების დარღვევა როდი აწუხებდა მას, მაგრამ როგორც არ უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული ტრადიციები, ფაქტი ის არის, რომ დღევანდელი წესებით „მამათა და დედათ" „პურის ერთად ჭამა" სულაც არ ეკრძალებათ. როგორც არ უნდა შევაფასოთ ეს ცვლილება, მას ვერ უარვყოფთ, ისევე როგორც ვერ უარვყოფთ იმას, რომ წარსულს ბარდება სისხლის აღების და სხვა ტრადიციები.

კულტურა ტრადიციების გარეშე არ არსებობს, მაგრამ ის არც დაიყვანება მათზე. ტრადიციების ბრმა ერთგულება ისტორიის დაფასება კი არ არის, არამედ მისი უგულებელყოფაა: ტრადიციები რომ არ შეცვლილიყო საკუთარი, საზოგადოების განვითარება შეწყდებოდა და ისტორიაც გაუქმდებოდა. იმ ტრადიციებთან ერთად, რომლებიც ერის მაღალ სულიერ თვისებებს, მისი კულტურის მიღწევებს გამოხატავენ, ისეთებიც არსებობენ, რომლებიც ცხოვრების უკეთესართ პირობებს ან საზოგადოების განვლილ საფეხურს შეესატყვისებოდნენ და მათი უცვლელად დატოვებისათვის თავგამოდება ერისა და ქვეყნის განვითარებისათვის იქნებოდა ხელშემშლელი. ცნობილია, რომ ტრადიციებისადმი განსაკუთრებული ერთგულება ახასიათებდა აღმოსავლურ კულტურებს — ჩინეთის, იაპონიის და სხვ. კულტურებს — და ეს მათ განვითარებას დიდხანს აფერხებდა (თუმცა არც ტრადიციებისადმი პატივისცემის დადებითი მნიშვნელობის უგულებელყოფა შეიძლება). ინდოეთის საზოგადოებისათვის არ შეიძლება შემაფერხებელი არ ყოფილიყო კასტური წყობილება და მისი შესაბამისი ტრადიციები. ამგვარი ტრადიციები ყოველი ხალხისა და ქვეყნის კულტურაში გვხვდება. იმის თქმა, რომ ტრადიციები მხოლოდ დადებითი არსებობს და უარყოფითი მხოლოდ მათი დამახინჯებაა, საქმის გამარტივება იქნებოდა.

არსებობენ ისეთი ტრადიციებიც, რომლებიც თავისთავად არც რაიმე დადებით ღირებულებას გამოხატავენ და არც მავნე ჩვეულებას

მიეკუთვნებიან. ასეთებია უმთავრესად ტრადიციების გარეგნული ფორმები: ერთგან გლოვას შავი ფერით გამოხატავენ, მეორეგან — თეთრით, ასევე სხვადასხვაგვარია მისალმების წესები, ჩაცმულობა და სხვ. ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაფართოებასთან ერთად ამგვარი გარეგნული ფორმები ტრადიციებისა სულ უფრო ნაკლებად განსხვავებული ხდება, ეროვნული ტანსაცმელი ხშირად მხოლოდ ეთნოგრაფიულ მუზეუმებშიღაა შემონახული, ხოლო ტრადიციული ადათ-წესები — ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. მაგრამ ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულმა ნიველირების პროცესმა საწინააღმდეგო ტენდენციაც წარმოშვა და ეროვნულ-ეთნიკურ თავისებურებებზე გადაიტანა დღეს მოდელიერთა და დიზაინერთა ყურადღება. რა თქმა უნდა, ეროვნული, ეთნიკური თავისებურებების უგულებელყოფა, თუნდაც რომ კულტურის გარეგნულ ელემენტთან გვქონდეს საქმე, სწორი არ იქნებოდა, მაგრამ ასევე გაუმართლებელია ერთი ეთნიკური ჯგუფის თავისებურების მნიშვნელობის გაზვიადება, მისი მიჩნევა ბუნებრივად და სხვა ხალხის ადათ-ჩვეულებების აბუჩად აგდება: რაოდენ უჩვეულოც არ უნდა იყოს სხვა ხალხის ჩაცმულობა, მისი დაცინვა უფრო დაბალი კულტურის მაჩვენებელი იქნება.

ტრადიცია რაკი წარმოიშვა, მას აქვს ტენდენცია მაშინაც განაგრძოს არსებობა, როცა მისი წარმომშობი საფუძველი გაქრა. ტრადიცია ჩვეულად გადაიქცევა ხოლმე, რომელზე უარის თქმაც უფრო ძნელი ჩანს, ვიდრე მისი შესრულება. ასეთ შემთხვევაში ის კარგავს თავის ნამდვილ შინაარსს და მისგან მხოლოდ გარეგნული, საზრისს მოკლებული რიტუალი რჩება. ტრადიციისადმი ამგვარი ერთგულება სიტყვისა და საქმის დაშორებას და ამით ზნეობის დაცემას უწყობს ხელს. „ადამიანები, — ამბობდა მონტენი, — სინდისს საროსკიპოებში ისტუმრებენ, მაგრამ გარეგნულად წესიერებას იცავენ. ყველანი უკანასკნელ ადამიანამდე — გამცემებისა და მკვლელების ჩათვლით — წმინდად მისდევენ ზრდილობის წესებს და თავიანთ მოვალეობად თვლიან განუხრელად დაიცვან ისინი“.

ადამიანური ურთიერთობის მოთხოვნილებას უშუალოდ გამოხატავს სტუმარმასპინძლობის ტრადიცია. მისი ჰუმანური ბუნება იმაში მჟღავნდება, რომ, როგორც წესი, ის ადამიანებს ავალებს პატივი სცეს მასთან მოსულს, ვინც არ უნდა იყოს ის — მახლობელი თუ უცნობი, წარჩინებული თუ „მდაბიო“. აბეზარა და იქნებ მტრად მოსულ სტუმარზე ხალხს უთქვამს „დაუპატიჟებელი სტუმარი ძაღლზე უარესიაო“, მაგრამ მას ისიც აქვს ნათქვამი „სტუმარი ღვთისააო“ და ისიც ცნობილია, რომ ჩვენი ხალხი „უცხო სტუმრის“ პატივისცემას უპირველეს მოვალეობად რომ თვლის.

სტუმარმასპინძლობის ტრადიცია ყოველთვის ადამიანის პატივისცემას როდი გამოხატავდა. ამ ტრადიციაშიც, როგორც სხვებში, ყოველი საზოგადოების თავისებურება, მისი ავი და კარგი აისახებოდა. ფეოდალურ საზოგადოებაში სტუმრისადმი პატივისცემა ხშირად მასპინძლის სიმდიდრის გამომზეურებას ისახავდა მიზნად და მისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ხოლო გადაგვარების გზაზე დამდგარი თავად-აზნაურობა თავისი წვრილმანი საქმეების მოსაკვარახვინებლად, ძლიერთა საამებლად და „მტრის შესაშინებლად" იყენებდა „სტუმარს".

დღევანდელ საზოგადოებაში ცხოვრების ტემპის აჩქარების გამო ადამიანები სულ უფრო ნაკლებად იცლიან ერთმანეთთან პიროვნული ურთიერთობისათვის. ეს მაინცა და მაინც ხელს ვერ შეუწყობს სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას, მაგრამ, მეორე მხრივ, იზრდება ადამიანთა ურთიერთობის წრე, ფართოვდება კონტაქტები ადამიანებს შორის, თუმცა კონტაქტების სიხშირე ყოველთვის არ მოასწავებს ადამიანთა შორის პიროვნული ურთიერთობების გაღრმავებას. ჰენრი თორო, რომლის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მოტივი ადამიანთა შორის ნამდვილად ადამიანური ურთიერთობის დამყარებაზე ზრუნვა იყო, წერდა: „ადამიანთა საზოგადოება შეტისშეტად ხელმისაწვდომია, ჩვენ ძალზე ხშირად ვხვდებით ერთმანეთს ისე, რომ ვერ ვასწრებთ ერთმანეთისათვის ახალი ღირებულების შეძენას. ჩვენ დღეში სამჯერ ვხვდებით ერთმანეთს სუფრასთან და ვუმასპინძლდებით ერთმანეთს ერთი და იმავე დაობებული ყველით — ჩვენი საკუთარი გვამით. იმისათვის, რომ ასატანი გავხადოთ ეს ჩვენი შეხვედრები, იძულებული გავხდით შევთანხმებულიყავით ვარკვეულ წესებზე, რომლებსაც ზრდილობასა და ეტიკეტს ვუწოდებთ და რომლებიც ხელს გვიშლიან ერთმანეთთან ბრძოლაში ჩავებათ. ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით ფოსტაშიც, წვეულებებზეც და ყოველ საღამოს საკუთარ კერასთან. სივიწროვეში ვცხოვრობთ და ერთმანეთს ვაწყდებით და ამით, ვგონებ, რამდენადმე ვკარგავთ ურთიერთპატივისცემას. ნამდვილად მნიშვნელოვანი და გულითადი ურთიერთობისათვის ასეთი სიხშირე საჭირო არ არის... ადამიანის ღირებულება მის ტყავში როდია, რომ მასზე ვეგლასუნოთ".

სტუმარმასპინძლობა, თუკი ის მხოლოდ „დროის მოსაკლავად" იმართება, ადამიანთა ნამდვილი შეხვედრა არ იქნება. თუ ადამიანს თავის თავთან სწყინდება, ის სხვისთვისაც ვერ იქნება საინტერესო. ამგვარი ადამიანების შესახებ ძველი რომაელი ფილოსოფოსი და ორატორი ციცერონი იტყოდა: „მათ სხვებთან საუბარი ისწავლეს, მაგრამ საკუთარ თავს ვერ ესაუბრებიანო". იგივე თორო, რომლისთვისაც ადამიანებთან შეხვედრა ნამდვილი ზეიმი იყო, ამბობდა: „მე სასარ-

გებლოდ ვთვლი დროის უდიდესი ნაწილი მარტოობაში გავატარო, საუკეთესო საზოგადოებაც კი ჩქარა მღლის და სერიოზული ფიქრისგან მწყვეტს, მიყვარს მარტოდ დარჩენა. არავისთან არ არის ისე საინამოვნო ურთიერთობა, როგორც სიმარტოვესთან".

ადამიანთა უბრალოდ ერთად ყოფნა ჯერ კიდევ პიროვნული ურთიერთობა არ არის. ასეთი ურთიერთობისათვის საჭიროა, რომ მათ საერთო ინტერესები ჰქონდეთ, რაღაც საერთო აღელვებდეთ. „ჩვენ მთელი მკერდით მხოლოდ მაშინ ვსუნთქავთ, — წერდა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი, როდესაც ჩვენ ძმებთან ვართ დაკავშირებული და როდესაც საერთო მიზანი გვაქვს; და ჩვენ ვიცით გამოცდილებიდან: სიყვარული იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს ვუყურეთ, სიყვარული ერთი მიმართულებით ყურებას ნიშნავს". თუ ადამიანებს საკუთარი „მე" და საკუთარი კეთილდღეობა აღელვებთ მხოლოდ, მაშინ ისინი, როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, ერთმანეთისათვის „ღია" არ იქნებიან, მათ შორის საუბარი არ შედგება, თუნდაც რამდენიმე დღეს გადაბმულად უსხდნენ ისინი სუფრას. ასეთ შემთხვევაში სტუმარმასპინძლობა გარიგებულად შენარჩუნებული იქნება, შინაარსით კი მასთან საერთო არაფერი ექნება. ოთარ იოსელიანის ფილმში „პასტორალი" გმირები ცდილობენ, ანგარიშიან გარიგებას სტუმრობის იერი მისცენ: დამქირავებლებს სტუმრებს უწოდებენ, თავგამოდებით ეპატიჟებიან სუფრაზე... მაგრამ გათავდა სტუმრობა და მასპინძელი საქმიანად ანგარიშობს „სტუმრისთვის" მიცემულ თითოეულ სულგუნს. სტუმარმასპინძლობა აქ ისევე „გაკეთებულია", როგორც ღვინო, სტუმრებს რომ სთავაზობენ. ამგვარი ურთიერთობის დროს ყველის ფასიც იცვან ადამიანებმა და ცარიელი ბოთლისაც, მაგრამ მათთვის დაკარგულია ადამიანური ურთიერთობის, მეზობელთან და მეგობართან ურთიერთობის ნამდვილი ღირებულება. ადამიანთა შორის ურთიერთობა არ არის ნამდვილი საუბარი. ამიტომაც ისმის ალბათ ასე ხშირად მაყურებელთა უმრავლესობისათვის გაუგებარი ენაზე „დიალოგები".

ადამიანთა საზოგადოების წარმოშობის დროიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ქორწინების ტრადიცია. ეს ტრადიციაც საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავდა და მასთან ერთად იცვლებოდა. ქორწინების ფორმები საზოგადოებისა და ადამიანთა ინტერესებს შეესაბამებოდნენ ხოლმე. როგორც ეთნოლოგები ამტკიცებენ, ქორწინების საშუალებით ტომები ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებდნენ, თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს და ურთიერთდახმარების შეთანხმებებს დებდნენ. ეს რომ შესაძლებელი გამხდარიყო, იკრძალებოდა საკუთარი ტომების ქალებთან დაქორწინება. შემდგომ ქორწინების საშუალებით ფეოდალები ცდილობდნენ ერთმანეთთან

კონფლიქტები მოერიგებინათ ან მეზობლების მამულები შემოეერთებინათ. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარჩინებულები მდიდარი ვაჭრების ოჯახებთან დანათესავებით ცდილობდნენ, შერყეული მატერიალური მდგომარეობა განემტკიცებინათ და სხვ.

საზოგადოებაში, რომელიც ანგარებაზე იყო დამყარებული, ქორწინება უმთავრესად მატერიალური გარიგების სახეს იღებდა... და ითვლიდა სიმამრი საურავად თუმნებს ან მამამთილ-დედამთილი ამოწმებდნენ ზურნის თანხლებით მოტანილ მზითევს — ხომ არ აკლდა მზითვის სიით გათვალისწინებული „აბანოს აგურის ქვა" ან „სარეცხი თოკი თავისი შპილკებით", ანდა „ერთი ასხმა პანტის ჩირი", სიძეს კუჭი თუ აეშალა, იმ შემთხვევისათვის გათვალისწინებული[12]. რა თქმა უნდა, მზითვის ეს სიები მხოლოდ სახუმაროდ არ დგებოდა. ცხოვრება შეიცვალა დღეს, მზითვის პრობლემა დიდად არ აწუხებს ახლა ახალგაზრდებს, მაგრამ ქორწინების ტრადიციისა და რიტუალის პრობლემა დღესაც რჩება. საქორწინო რიტუალის აღსადგენად და მის გასალამაზებლად ბევრს გაისარჯენ. რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში ბევრი რამ უარვყავით, რაც წარსულთან, ძველ ცხოვრებასთან დაკავშირებულად გვქონდა წარმოდგენილი, მაგრამ არაფერს რეაქციულს არ შეიცავდა და მისი აღდგენა ახლა ბუნებრივია. მაგრამ არ შეიძლება ძველი ტრადიცია და რიტუალი მუზეუმის ნივთივით შემოვინახოთ. ქორწინების რიტუალიც ცხოვრებას ასახავდა: ნიშნობა, მზითვის შეპირება, მისი საზეიმოდ მოტანა, საჩუქრები და მათი გამოცხადება ამ რიტუალის ნაწილები იყვნენ. და ანგარიში და ანგარებაც ახალ დროში არ შერეულა ამ რიტუალს. ტრადიციების დამახინჯებაზე რომ ვლაპარაკობთ, წარსული არ უნდა შევალამაზოთ და იმის იმედზეც არ უნდა ვიყოთ, რომ რაკი ტრადიციასა და რიტუალს პირვანდელ ელვარებას დავუბრუნებთ, ოჯახის პრობლემასაც ამით გადავჭრით. საქორწინო ტრადიციის, ისევე როგორც სხვა ტრადიციების სრულქმნის მთავარი და გადამწყვეტი საშუალებაა ადამიანთა კულტურის ამაღლება. ვიდრე ადამიანები აღბმიცემობის სულით არიან გამსჭვალული, ქორწინების ტრადიციების „შებღალვა" ამა თუ იმ ფორმით იჩენს თავს. საერთოდ კი, როცა ძველი ტრადიციებისა და რიტუალების აღდგენას ვისახავთ მიზნად, არ უნდა უგულებელყოთ საზოგადოების განვითარების ფაქტი: არ შეიძლება, მაგალითად, ვიფიქროთ, რომ კულტურისა და მასობრივი კომუნიკაციების თანამედროვე დონეზე შეეძლებთ ძველებური მნიშვნელობა დაუბრუნოთ ისეთ ტრადიციულ ზანახაობებს, როგორიც იყვნენ მაგალითად, „ბერიკაობა" და მისი მსგავსი სხვა რიტუალები.

---

[12] იხ. ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქემა. თბ., 1927.

თავისი ტრადიციები და რიტუალი აქვს ადამიანის სიკვდილის გამო გლოვას და გარდაცვლილის ხსოვნის აღნიშვნას. სიკვდილ-სიცოცხლის, ადამიანის ცხოვრებისათვის სიკვდილის მნიშვნელობაზე არაერთი დაფიქრებულა. ძველ მოაზროვნეს უთქვამს, რომ ფილოსოფოსობა სიკვდილისთვის მომზადება არისო, ხოლო ფილოსოფოსობა, ძველებისავე გაგებით, ყოველი ადამიანის ვალი ყოფილა, რადგან ის სიბრძნის სიყვარულს ნიშნავდა. არაერთს უკითხია, რა იქნებოდა ადამიანი სიკვდილის შიშის გარეშე, შექმნიდა თუ არა ის რაიმეს ღირებულს. აბა, გადახედეთ ადამიანის განვითარების გრძელ გზას, წერდა დიმიტრი უზნაძე, ან კიდევ კულტურის აღმავალ საფეხურებს — ყველაფერი ეს ბრძოლამ წარმოშვა, ბრძოლამ არსებობის შენარჩუნებისათვის, ანუ ბრძოლამ სიკვდილთან. „სიკვდილი ამიტომ, როგორც იდეა, უდიდესი ბოროტება კი არა, უდიდესი ს ი კ ე თ ე ა“[13].

სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაზე, სიცოცხლისათვის სიკვდილის მნიშვნელობაზე, ბუნებრივია, რომ ხალხსაც უფიქრია და თავისი აზრი თქმულებებსა თუ ლექსებში ჩაუქსოვია. ეს ფიქრი იმაშიც ჩანს, რომ ხალხს ამ ცხოვრებისთვის წუთისოფელი შეურქმევია. სიკვდილის გამო გლოვის გამოსახატავად შექმნილ ტრადიციებსა და რიტუალებშიც ხალხს თავისი ფიქრი და გრძნობა ჩაუქსოვია. ამ ტრადიციების აზრი ისაა, რომ განამტკიცოს ადამიანის პატივისცემა მის თანამოძმეებში, წარსულის ხსოვნა ასწავლოს მათ. ხალხის სიბრძნეს იმისთვისაც მიუგნია, რომ სიკვდილი მარტო უბედურება არ არის, ის ტრაგედიასავით „განმწმენდავად“ მოქმედებს და ამიტომ მან მარტო გლოვა კი არ დაწესა, არამედ სამგლოვიარო მელოდიები და სიმღერებიც შექმნა. თავისი აზრები და გრძნობები გამოხატა მან იმ რიტუალშიც, რომელსაც პატივისცემით ჭწუხრის სუფრას უწოდებენ, გამკილავად ან უგულოდ კი ქელეხს. ამ ტრადიციას წარსულში მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა კი არა ჰქონდა (როგორც შორიდან მოსული დამტირებლის პატივისცემა, ისე პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა ჭირისუფლებისათვის), არამედ მასში გარკვეული ადამიანური აზრიც იყო — თანაგრძნობის გამოხატვის სურვილი, გარდაცვლილის დამსახურებისა თუ ღირსებების აღნიშვნაც. რა თქმა უნდა, დღეს ხშირად გლოვასთან დაკავშირებულ რიტუალს უფრო ინერციითა და მიმბაძველობით ასრულებენ ხოლმე, ბევრი მოჩვენებითი და ყალბი მხარე ახლავს ჩვენს ხალხმრავალ გლოვასა და მის რიტუალებს, მაგრამ ამ სიყალბესა და მოჩვენებითობას, ანგარების შეჭრას მათში სხვა უარყოფით მოვლენებთან საერთო

[13] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1984, გვ. 240.

მიზეზები აქვს და ალბათ ამ მიზეზებს უნდა ვებრძოლოთ უწინარეს ყოვლისა.

სიკვდილთან დაკავშირებულ რიტუალს ხშირად რელიგიური რწმენა უდევს საფუძვლად: გლოვის ზოგიერთი ტრადიცია სულის უკვდავებაზე წარმოდგენას გულისხმობს. მაგრამ ამგვარ რიტუალებს განურჩევლად არ უნდა მივუდგეთ: უნდა განვასხვაოთ რელიგია, როგორც ზებუნებრივი ძალების რწმენა, ადამიანის ბუნებრივი სურვილისაგან, დავიწყებას არ ფისცეს მახლობელი. ვთქვათ, გარკვეულ დღეს საფლავზე საპმლის მიტანა არ არის აუცილებელი რელიგიური რწმენით აეხსნათ. და თუ მასში ჩვენ არ მოგვწონს რაიმე, ეს მისი თითქოს რელიგიური შინაარსი კი არ არის, არამედ ის, რომ ხშირად ის მეშჩანური შიშით კეთდება და წაბაძვით.

საზოგადოებისა და ადამიანის კულტურა მარტო ტრადიციების შინაარსში კი არ მეღავნდება, არამედ მათი შესრულების ფორმაშიც. ტრადიციების საფუძველი, როგორც ითქვა, ადამიანური ურთიერთობის მოთხოვნილებაა: მათი შესრულების დროს ადამიანი თანაგრძნობასა და მხარდაჭერას მოელის სხვებისაგან. მაგრამ ამ მოთხოვნასაც სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჰქონდეს. ტრადიციულ იაპონიაში ასეთი ჩვეულებაც ყოფილა — თავისი უბედურების შესახებ იაპონელი სხვას ღიმილით ატყობინებს, რათა შეამსუბუქოს თავისი ნათქვამით გამოწვეული მძიმე შთაბეჭდილება. ამის საწინააღმდეგო ხასიათი აქვს ხაზგასმულ გლოვას — ის თითქოს სიცილსა და მხიარულებას კრძალავს. როდესაც ადამიანი უმეტესად მახლობლებსა და ნათესავებში ტრიალებს, ამგვარ რიტუალს გამართლება აქვს. ურბანიზაციის პირობებში ბუნებრივად თანდათანობით იშლება გლოვის გარეგნული გამოხატულება.

ტრადიცია ჩვენს წარმოდგენაში სიძველესთან არის დაკავშირებული. ამიტომ გამოთქმა „ახალი ტრადიცია“ უჩვეულოდაც ეღერს. მიუხედავად ამისა, შედარებით გვიან ჩამოყალიბებული ტრადიციები, მართლაც, შეიძლება ასლებად მივიჩნიოთ და იმასაც შევეცადოთ, რომ ახლად დაწესებული დღესასწაულები თუ სხვა რიტუალები ტრადიციებად იქცნენ. ამ აზრით შეიძლება ახალი ტრადიციების შექმნაზე ვილაპარაკოთ, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უბრალოდ დღესასწაულის დაწესებითა და მისი „სცენარის“ დაწერით ტრადიცია ვერ შეიქმნება. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ ტრადიციის აზრი ხალხისათვის გასაგები იყოს. საეჭვოა, მაგალითად, ის, რომ ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცეს რომელიმე პიროვნების სახელობის დღესასწაული, თუკი მისი დამსახურების შესახებ არასპეციალისტს მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. „ახალი ტრადიციების“ საქმეში მოუფიქრებლობა, ფორმალური მიდგომა, ისეთი ზეიმების შემოღების

ცდა, რომელთაც სახალხო დღესასწაულებად გადაქცევის პერსპექტივა არა აქვთ, ხელს შეუშლის ტრადიციებისადმი სწორი დამოკიდებულების დამყარებას.

როდესაც ახალი ტრადიციების დამკვიდრებაზე ვზრუნავთ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კულტურის განვითარებასთან ერთად ადამიანთა ურთიერთობის ფორმებიც იცვლება, რომ თვითონ კულტურასთან ურთიერთობა, კულტურის ათვისება უფრო ინდივიდუალური და დიფერენცირებული ხდება. წინათ, როცა „ზერიკაობა", „ყეენობა" და მათი მსგავსი ტრადიციები ცოცხლობდნენ, ისინი არსებითად მხატვრული კულტურის ათვისების ერთადერთი ფორმები იყვნენ. ახლა კი, როცა გაბათლების დონე ამაღლდა, როცა თითოეულ ოჯახში საკუთარი ბიბლიოთეკა და მუსიკალური მოწყობილობებია, ძნელად დასაჯერებელია, რომ უწინდელი კარნავალები თავის მნიშვნელობებს დაიბრუნებენ.

კულტურის ათვისების დღევანდელ ფორმებს თავისი უარყოფითი მხარეები აქვს — მათში ხშირად პასიური ფორმები სჭარბობენ: მოსმენა და ყურება მღერასა და ცეკვას ცვლის. სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ ადამიანები უფრო მეტად სპორტულ სანახაობებს უყურებენ და ნაკლებად მისდევენ თვით სპორტს. მოსმენაც და ყურებაც შეიძლება უფრო აქტიური და უფრო პასიური იყოს. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების განვითარება, მუსიკალური და რადიო-აპარატურის დამკვიდრება ჩვენს ყოფაში კულტურის ათვისების უფრო ფართო შესაძლებლობებს ქმნის, მაგრამ, ამავე დროს, ხელს უწყობს ხშირად მხატვრული კულტურისადმი პასიური დამოკიდებულების გამომუშავებას. იმის შესაძლებლობა, რომ სუფრისგან მოუწყვეტლივ უყურო, როგორ ახრჩობს ოტელო დეზდემონას, არხეინად ისაუბრო და თან თვალი ადევნო მოცეკვავეთა პირუეტებს, ხელოვნების ნაწარმოების პასიურ და ზედაპირულ აღქმას აჩვევს მაყურებელს. მაგრამ ამ ტენდენციების გადასალახავად შესაფერის საშუალებებს უნდა მივმართოთ და არა ძველი რიტუალების რეანიმაციას. ერთ-ერთი ასეთი საშუალება იქნებოდა სკოლაში ესთეტიკური აღზრდის გაძლიერება: საყოველთაო საშუალო განათლების ეპოქაში ძნელია ამ საშუალების გადაფასება. კულტურის ათვისების აქტიურ ფორმებს ხელს შეუწყობს აგრეთვე კულტურის მოღვაწეების შეხვედრები მასებთან, პროფესიული და მოყვარულთა კლუბების მუშაობის გაფართოება და სხვ. მხატვრული ნაწარმოები მაყურებელთან სულ უფრო ხშირად ტელევიზიის საშუალებით მიდის, და ეს უკანასკნელიც უფრო მეტად უნდა იქნეს გამოყენებული მხატვრული ნაწარმოების აღქმის კულტურის გამოსამუშავებლად.

ტრადიცია საზოგადოების კულტურის მნიშვნელოვანი მხარეა და მას საზოგადოებაში ეძლევა აზრი. ტრადიციებისადმი დამოკიდებულება, მათი პატივისცემა და უარყოფაც შეიძლება იყოს ბარბაროსულიცა და ადამიანურიც. ტრადიციის გამართლება მის სიძველეში როდია, მაგრამ სიძველე არც მისი უარყოფის საფუძვლად გამოდგება. ტრადიციის უარყოფაც ტრადიციაა, ამბობდა ა. ბლოკი, და ისიც კარგა ხნისაა. ტრადიცია შეიძლება იყოს რაინდობაცა და ყაჩაღობაც (ფირალობა), სტუმარმასპინძლობაც და ადამიანებზე ნადირობაც. ამიტომ ტრადიციებისადმი დამოკიდებულება არ შეიძლება შერჩევითი არ იყოს: საზოგადოებამ მათი ადამიანური შინაარსი უნდა შეინარჩუნოს და უკუაგდოს მათში ყოველგვარი არაადამიანური, ადამიანისა და მისი კულტურისადმი მტრული, მეშჩანური.

მეშჩანი და კულტურა

ჯამაგირი პატარა ჰქონდათ, მაგრამ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ.

მ ა ნ დ ე ვ ი ლ ი. „ოგაი ფუტკრებზე".

Что значит «мещанин», как следует не ясно,
Непознаваема его земная суть,
Пытаясь уловить его натуры ртуть,
Умы сильнейшие срываются напрасно.

ნ ო ე ლ ი მ ა ტ ვ ე ე ვ ა

უარყოფითი მოვლენების არე ცხოვრებაში ფართოა — უბრალო უხეირო საქციელიდან მძიმე დანაშაულამდე. გონებრივი სიზარმაცე მათ შორის ვერავითარ კავშირს ვერ ხედავს — უხეირო საქციელს იოლად მოითმენს, ბოროტმოქმედის დასჯას კი მთელი სიმტკიცით მოითხოვს. სინამდვილეში ადამიანი ბოროტმოქმედად არ იბადება: ვიდრე ბოროტმოქმედება მოხდება, ის ადამიანის სულში ჩნდება როგორც მიდრეკილება, როგორც ადამიანისა და საზოგადოებისადმი მტრული დამოკიდებულება. კერძომესაკუთრული ტენდენციაც, ვიდრე დანაშაულის ფორმას მიიღებდეს, არსებობს როგორც ადამიანის ღირებულებითი ორიენტაცია, ის ადამიანის ფსიქოლოგიაში, მის ცნობიერებაში, იბადება და მეშჩანური სულისკვეთების, ობივატელური მსოფლმხედველობისა და ცხოვრების ყაიდის სახეს იღებს. მეშჩანი და მეშჩანური სულისკვეთება ადამიანის ცხოვრებაში უარყოფითი მოვლენების ძირითადი წყაროა.

სიტყვა „მეშჩანი“ მრავალი აზრით იხმარება, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ცხოვრების ცვლასთან ერთად მეშჩანიც სხვადასხვა სახეს იღებს. სიტყვის ამ მრავალმნიშვნელიანობის გამო ეჭვსაც კი გამოთქვამენ, არსებობს სინამდვილეში მეშჩანი, თუ ის გამოგონილი მოწინააღმდეგეა. ერთი მწერალი ამტკიცებდა, მეშჩანი ჩვენ მიერ გაკეთებული ჭინჭის თოჯინაა, რომელსაც გულის მოსაფხანად სიამოვნებით ვუთავაზებთ ხოლმე ჯოხს; მის ნაცვლად რომ ჯოხი ნამდვილ მოწინააღმდეგეებს — ბიუროკრატებს, გაიძვერებს, კარიერისტებსა და სხვებს მოვუქნიოთ, უკეთესი იქნებაო. მეორე ბანს აძლევს — „მეშჩანის“. მნიშვნელობა იმდენად ფართოა, მეშჩანობის ძაფი ისე იჭიმება, რომ მის თავსა და ბოლოს თვალს ვერ გავუწვდენთო.

ერთი შეხედვით, მართლაც, საკმაოდ გაურკვეველი და ბუნდოვანია, რას წარმოადგენს მეშჩანი. კარიერისტი, ქურდი და ბიუროკრატი უფრო თვალსაჩინოა, მათ შეიძლება ხელი დავადოთ, მეშჩანი კი უფრო ძნელად მოსახელთებელი ჩანს. მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ის არარსებულად გამოვაცხადოთ: ბინდი და ბურუსიც ბუნდოვანია, მაგრამ ისინი ისევე გარკვეულად არსებობენ, როგორც მზიანი დილა და კოკისპირული წვიმა.

„მეშჩანი“ ერთ დროს ქალაქის მოსახლეობის ერთ-ერთ ფენას აღნიშნავდა, სახელდობრ, ოქალაქეებს, რომლებიც არც თავად-აზნაურობას არ მიეკუთვნებოდნენ და არც ვაჭრებს. შემდეგში „მეშჩანში“ იგულისხმებოდა წვრილი და ნაწილობრივ საშუალო ბურჟუა. ამ ფენას თავისი ფსიქოლოგიური სახეც ჰქონდა და ახლა „მეშჩანი“ უმთავრესად ამგვარი ფსიქოლოგიის ადამიანს ნიშნავდა.

თავდაპირველად, როდესაც მეშჩანობაზე ლაპარაკობდნენ, მას საერთოდ ბურჟუაზიული ცხოვრების წესთან აკავშირებდნენ. ასე ახასიათებდნენ, მაგალითად, მეშჩანს ბელინსკი და გერცენი. „მეშჩანები, — წერდა ბელინსკი, — პროზაულად დადებითი ადამიანები არიან. მათი საყვარელი წესია: ყველა თავისთვის და თავის სასარგებლოდ“. გერცენი მეშჩანურს უწოდებს ბურჟუაზიულ ზნეობას. მეშჩანობის გავლენით, წერდა გერცენი, მთელი ზნეობა იქამდე დავიდა, რომ ღარიბმა ყოველგვარი საშუალებით უნდა შეიძინოს, ხოლო მდიდარმა — შეინარჩუნოს და გაზარდოს თავისი საკუთრება; ალამი, რომელსაც აღმართავენ ხოლმე ბაზრობის გახსნისას, ახალი საზოგადოების წმინდა დროშა გახდა; ცხოვრება ფულისათვის მუდმივ ბრძოლად გადაიქცა[14].

---

[14] А. И. Герцен. Сочинения в девяти томах, т. 5, ГИХЛ, М., 1956, с. 383.

ჩვენს დროში „მეშჩანობა“ და „მეშჩანური სულისკვეთება“ უფრო ვიწრო მნიშვნელობით იხმარება და ის, საერთოდ, ბურჟუაზიულს არ უტოლდება. მეშჩანობაც და ბურჟუაზიულობაც კერძო საკუთრების პრინციპთან არიან დაკავშირებული, მაგრამ მეშჩანური სულისკვეთება, მეშჩანური ფსიქოლოგია პირდაპირი აზრით ნიშნავს არა უბრალოდ ბურჟუაზიულობას, არამედ ვიწრო, შეზღუდული ბურჟუაზიული ინტერესებით შემოსაზღვრული ადამიანის ფსიქოლოგიას. მეშჩანი — ეს არის ბეცი, შეზღუდული, გონებაჩლუნგი ბურჟუა[15].

თანამედროვე მეშჩანობა იმ მესამე ფენის მემკვიდრეა, რომელიც ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის აღმოცენების პერიოდში ჩამოყალიბდა. ფეოდალებს ცხოვრების თავისებური წესი, ღირებულებათა თავისი საზომი ჰქონდათ. ადამიანის ღირებულება უმთავრესად გვარიშვილობით, „ცისფერი სისხლით“ იზომებოდა. კაპიტალისტურ საზოგადოებას ერთბაშად არ გადაუგდია ღირებულებათა ეს საზომი: გამდიდრებული მდაბიონი თავადაზნაურული წოდებების მოპოვებასაც ცდილობდნენ. მაგრამ ადამიანის ღირსების მთავარი საზომი ამ საზოგადოებაში ფული, კაპიტალი გახდა. ფული, მოგება კაპიტალის მთავარი ვნებაა. მესამე ფენის ერთ ნაწილს — წვრილ ბურჟუაზიას — არც გვარიშვილობა ჰქონდა და არც დიდ ფულს ატრიალებდა. მან ძველი ღირებულებების რწმენა დაკარგა, მიიღო ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოების რელიგია — ფული, მაგრამ ის არც ამ რელიგიის ფანატიკოსია: ის არ არის არც ფულისა და ოქროს გიჟი გობსეკისა და კარპეტ დაბაღოვის მსგავსად და არც ფინანსური ოპერაციებით აზარტული მოთამაშეა. მეშჩანის ასპარეზი უფრო ვიწროა და ზომიერი: სიმდიდრის მაჩვენებელი მისთვის უმთავრესად ყოფაა — ის ცდილობს ისე იცხოვროს, როგორც ამა ქვეყნის ძლიერნი ცხოვრობენ. ჩვეულებრივი მეშჩანის ოცნებაა სახლი თავისი ბაღით (ასე მთელი ცხოვრება ჩეხოვის ერთი მოთხრობის გმირი იმაზე ოცნებობდა, რომ შეეძინა საკუთარი სახლი ბაღით, სადაც მას თავისი კინკრაჟა ექნებოდა), ოქროსი თუ არა, ოქროთი მოვარაყებული შანდლები, ხალიჩები და საერთოდ, ნივთები, რომელთა შესახებ მას შეუძლია თქვას: „აი, ეს მესმის, ეს ნივთია“.

ცხოვრება იცვლება და მეშჩანური ყოფაც ვანაცდის ცვლილებას. დღევანდელ მეშჩანს მარტო ნივთებით კი არ მოაქვს თავი, არამედ მოდური კურორტებზე დროსტარებითა და ჩემოდნებზე საზღვარგარეთუული იარლიყებითაც. მაგრამ მეშჩანის ცხოვრების ხასიათი არსებითად არ იცვლება, მისი თვალსაწიერი არ ფართოვდება. მეშჩანის ინტერესები მის ოთხ კედელს არ სცილდება, მისთვის საკუთარი ვიწრო ინტერე-

---

[15] В. И. Ленин. ПСС, т. 24, с. 129.

სები, საკუთარი სიმშვიდე და აუღელვებელი ცხოვრება ყველაფერია. მეშჩანის სახლის კედლები დიდი სამყაროდან მოსულ ხმებს ახშობენ, რადგან მეშჩანი ცდილობს სხვისი წუხილი გულს არ გაიკაროს, იოლად წარმოიდგინოს ყოველგვარი საშიშროება, რაც კი საზოგადოებას შეიძლება მოელოდეს: თუ საზოგადოებას რაიმე გაჭირვება აქვს, ამას, მეშჩანის აზრით, აუცილებლად თვისი გამართლება ექნება, და თუ მოვითმენთ, ადრე თუ გვიან მოეცლება.

მეშჩანის ინტერესების შეზღუდულობა იმაშიც გამოიხატება უწინარეს ყოვლისა, რომ მისთვის უცხოა ნამდვილი სულიერი მოთხოვნილებები. მეშჩანი, ან, როგორც გერმანელები ამბობენ, ფილისტერი, ფილოსოფოსის შოპენჰაუერის აზრით, ესაა ადამიანი სულიერი მოთხოვნილებების გარეშე. მეშჩანი ფლობაზე ორიენტირებული ადამიანია. ყველაფერი მას თავისთვის უნდა, ნამდვილი სულიერი ინტერესი კი ადამიანს მაშინ აქვს, როცა ის უანგაროდ ეძსახურება ჭეშმარიტების ძიებას, ქედს იხრის მშვენიერების წინაშე, უანგაროდ ქმნის სიკეთეს... სულიერი კულტურა და ანგარება თავიანთი ბუნებით ერთმანეთს გამორიცხავენ, რაც, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სულიერი კულტურის სფეროში არც ანგარებაა და არც მეშჩანობა. მეშჩანი შეიძლება მეცნიერიც იყოს და ხელოვანიც, ოღონდ მისთვის მეცნიერება და ხელოვნება ან მხოლოდ შემოსავლის წყარო იქნება ან საზოგადოებაში საპატიო ტიტულის („პროფესორის", „მწერლის") მოპოვების საშუალება. როდესაც მეშჩანი შვილის მომავალ პროფესიაზე ფიქრობს ან უცხო ენასა თუ მუსიკას ასწავლის მას, ის უწინარეს ყოვლისა, იმას ანგარიშობს, თუ რა პრაქტიკული ღირებულება ექნება ამა თუ იმ პროფესიას, როგორ „აკმევს პურს" ის ადამიანს; მას აზრად არ მოუვა იკითხოს, რამდენად საინტერესოა ესა თუ ის დარგი, ან რამდენად სჭირდება ადამიანის სულს მუსიკალური აღზრდა, ან ის გაითვალისწინოს, რომ ენა კულტურის ათვისების საშუალებაა და თვითონაც კულტურის ნაწილია.

მეშჩანისათვის უცხოა ნამდვილი სულიერი მოთხოვნილება, მაგრამ ჩვენს დროში ისიც სულიერი კულტურის გარეშე ვერ იქნება. რადგან მეშჩანს ღირებულებათა შინაგანი საყრდენი არ აქვს, მისთვის გზის მაჩვენებელია საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებები; და თუ საზოგადოებაში რაიმე სულიერი მოვლენაა მოდაში, მეშჩანიც ითვისებს მას, მისი მომხმარებელი ხდება და კვლავ ნივთად გადააქცევს მას: სიმღერა და ცეკვა, მაგალითად, მისთვის მხოლოდ საზოგადოებაში გამოსაჩენი საშუალება იქნება, ამიტომ ბახი და შუბერტი დიდად საჭირო არ არის, მთავარია „მოსალხენი" მუსიკა. მხატვრული სურათიც კედლის სამკაულია მხოლოდ.

მეშჩანისათვის რომ ნამდვილი სულიერი ინტერესი უცხოა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ბახი და მოცარტი, მიქელანჯელო და რაფაელი, გოეთე და შექსპირი არ გაუგონია. შეიძლება ეს ყველაფერი იცოდეს მან, სარტრსა და ჯოისსაც გაუშინაურდეს, მაგრამ მაინც მეშჩანად დარჩეს. მეშჩანის დისკოთეკაში ოკუჯავასა და ვისოცკის ანტიმენშჩანურ სიმღერებსაც შეეხვდებით ალბათ. მეშჩანი განათლებისა და კულტურის დაბალი დონის ადამიანი კი არ არის, არამედ ის, ვისაც კულტურისა და განათლების ნამცეცებიც აუკრეფია და თავისი ვიწრო ინტერესებისათვის გამოუყენებია, ისე რომ მათი ნამდვილი აზრი არ გაუგია. კულტურის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ის არის, რომ მან ადამიანთა შორის ურთიერთობა გააფართოოს, მათი კავშირი გაალრმავოს, ადამიანის თვალში ადამიანის ღირებულება აამაღლოს. მეშჩანი კი კულტურას იმისთვის იყენებს, რომ კიდევ უფრო მაღალი მესერი გაავლოს თავისსა და მახლობელს შორის, კიდევ უფრო საიმედოდ ჩაეტოს თავის ნაჭუჭში.

ადამიანისათვის, რომელსაც კაცობრიობის მიერ გამომუშავებული ნამდვილი ღირებულებები შეუთვისებია და რომელიც კულტურის ადმი მეშჩანურ-ბომხმარებულურ დამოკიდებულებას არ დაუშახინჯებია, ღირებულება აქვს სხვა ადამიანთან — მეზობლებთან, მეგობრებთან თუ ნათესავთან ურთიერთობას: მეშჩანმა კი ნამდვილი ადამიანური ურთიერთობის ფასი არ იცის. ვ. შუკშინის მოთხრობის „დაბდურის“ გმირი დიდად განათლებული არ არის, მაგრამ მას არ დაუკარგავს სხვა ადამიანთან ემოციური ურთიერთობის მოთხოვნილება. როდესაც ის ძმის სანახავად მიემგზავრება, ცდილობს თანამგზავრს გაეხმიანოს, მაგრამ ამაოდ: მის გვერდში მჯდომს თავი გაზეთში ჰქონდა ჩარგული. „ივ დასაქცევში, — ფიქრობდა დაბდური, — ასეთი რა წერია, მაინც, რომ იქვე, ცოცხალ კაცს ხმას არ სცემდა!“ შემდეგ ცოლისადმი გასაგზავნ დეპეშაში მაინც უნდა თავისი გრძნობები გამოხატოს, ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა: მისგან მოითხოვენ, რომ დეპეშის ტექსტი ტრაფარეტული სიტყვებით იყოს შედგენილი. აი, ის ძმასთან ჩავიდა; ძმები ბავშვობას იგონებენ, სიმღერასაც წამოიწყებენ, მაგრამ რძალი, რომელიც „დიდ ხალხზეა გაგიყვანილი“, უხეშად აწყვეტინებს მათ და, ბოლოს, სახლიდანაც გაძევებს სტუმარს, „უბრალო სოფლელს“. მეშჩანურმა ინტერესებმა განდევნეს ადამიანური ურთიერთობის მოთხოვნილება, ღირებულება დაუკარგეს ნათესავურ გრძნობებს.

ცნობილია, რომ ორი სრულიად ერთნაირი საგანი არ არსებობს. ეს მით უფრო ითქმის ადამიანებზე. მაგრამ ადამიანის ნამდვილ თვისებურებას, მის გაუმეორებლობას ის კი არა ქმნის, რომ ერთი უფრო მაღალია მეორეზე, ერთს უფრო ღია ფერის თმები აქვს და ა. შ.. ადამია-

ნი, უწინარეს ყოველისა, თავისი სულიერი სამყაროთი, თავისი გრძნობებით, გამოცდილებით, გონებით არის განუმეორებელი. მის ვანსაკუთრებულობას სულიერი ღირებულებები ქმნიან. რამდენადაც მეშჩანი არსებითად მოკლებულია ამ ღირებულებებს, მას ინდივიდუალობა აკლია. მეშჩანს არც უნდა გამორჩეული იყოს, იგი ყოველთვის განსაკუთრებულობის, ორიგინალურობის წინააღმდეგია. ის ადამიანის სულს გასაქანს არ აძლევს და თითოეულისაგან მოითხოვს ისე მოიქცეს, „როგორც ყველა იქცევა", თორემ ყველა თუ თავისებურად მოიქცა, მეშჩანის აზრით, ყველაფერი აირევა. მეშჩანი კოლექტივიზმის მომხრეცაა, ოღონდ მასში ესმის რაღაც „ჯოგური" ცხოვრება, რომელშიც ყოველგვარი თავისუფლება და პიროვნული მისწრაფება აღკვეთილია. მეშჩანურ ინდივიდუალიზმს, წერდა ა. ლუნაჩარსკი, თან ახლავს ძალდატანებითი კოლექტივიზმი. როგორ, ყველა თანამშრომელი კოლექტიურ ღონისძიებაში მონაწილეობს, ხოლო ერთი განცალკევებით მიაქანებს ველოსიპედს? სად გაგონილა? მერე ამ უცნაურ კაცში პოეზიას გაუღვიძია და ხეზე ასვლაც განუზრახავს? რ. ეს ეძის ფილმის „წკიპურტეების" ნეშჩანები „ამართლიანად" არიან აღშფოთებული: მათ ბუნებრივად მიაჩნიათ თავიანთი საქციელი — მლიქვნელობა, მრუშობა და სხვ., რადგან ეს ისაა, რასაც ყველა აკეთებს. ადამიანი, რომელიც სხვანაირად იქცევა, ამით მეშჩანის ცხოვრების ყაიდას იწუნებს და ეს აღიზიანებს მას.

რადგან მეშჩანის ინტერესები უმთავრესად მატერიალური ფასეულობებით, ნივთებითაა შემოფარგლული, თავისი სულის სიღრმეში მან ბედნიერების ერთი წყარო იცის: თავისი ლტოლვების, უმთავრესად კი სხეულებრივი, სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მ. არციბაშეევის გმირი სანინი მეშჩანის ფარულ მისწრაფებას გამოთქვამს, როცა ამბობს: „მაშასადამე, ტკბობაშია სწორედ სიცოცხლის მიზანი. სამოთხე არის აბსოლუტური ტკბობის სინონიმი". „ეოცნებობ ბედნიერ დროზე ..., როცა ადამიანსა და ბედნიერებას შორის არაფერი იდგება, როცა ადამიანი თავისუფლად და უშიშრად დაეწაფება მისთვის მისაწვდომ სიამოვნებას". მაგრამ თვითონ მეშჩანი ამ თავის ფარულ სურვილებს არ გაამჟღავნებს, რადგან მას წესიერების, რეპუტაციაბელურობის ფარგლებში დარჩენა უნდა.

მეშჩანები, როგორც ითქვა, ნამდვილ სულიერ ღირებულებებს არიან მოკლებული; პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მათთვის სათნოება ცარიელი სიტყვაა და საღვთო ხეივანში ისინი მხოლოდ უბრალო შეშას ხედავენ" (ჰორაციუსი). მეშჩანი ამიტომ არც სხვებში ხედავს სულიერ ღირებულებს, მისთვის გაუგებარია საქციელი, რომელიც სარგებლიანობაზე არ იქნება დამყარებული. ის საშუალოა თავი-

სი ბუნებით, სულმდაბალია და ასევე ჰყავს სხვებიც წარმოდგენილი: მეშჩანის აზროვნების ამგვარი მიმართულება კარგად დახასიათა გასულ საუკუნეში ფრანგმა სოციოლოგმა ა. ტოკვილმა თავის წიგნში ამერიკული დემოკრატიის შესახებ: დემოკრატიის დროს, წერდა იგი, „უბრალო მოქალაქეები ხედავენ, რომ ადამიანმა, რომელიც მათი წრიდან გამოვიდა, რამდენიმე წელიწადში სიმდიდრესა და ძალაუფლებას მიაღწია: ეს სანახაობა მათში გაკვირვებასა და შურს ბადებს; მათ სურთ გაიგონ, როგორ მოხდა, რომ ის, ვინც გუშინ მათი თანასწორი იყო, დღეს მათი მართვის უფლებას იღებს. ამ აღზევების მიწერა ნიჭისა და სათნოებისათვის მათ ხელს არ აძლევს, რადგან ეს იმის აღიარება იქნებოდა, რომ თვითონ მათ სათნოება და ნიჭი აკლიათ. ამიტომ მთავარ მიზეზს ისინი რაიმე მანკიერებაში ხედავენ და ხშირად არც ცდებიან“. როდესაც ამის მსგავსად დღეანდელი მეშჩანი ხედავს, რომ გუშინდელი მისი კოლეგა თუ მეზობელი „გამორჩეული“ ხდება, მასაც არ უნდა ეს ნიჭსა და ღირსებაში რაიმე ფანსხვავებას მიაწეროს და „ზემოდან“ მჩარდაკერით ხსნის ამას და ამგვარი ეჭვიც ყოველთვის როდია უსაფუძვლო.

მეშჩანს უნდა, რომ ნიჭითა და შესაძლებლობებით ყველა გაათანაბროს, მაგრამ იგი ასევე თანაბრად როდი გაანაწილებს პასუხისმგებლობას იმისათვის, რაც საზოგადოებაში ხდება. მეშჩანი მზაღაა ყველა სისაძაგლე ჩაიდინოს, ოღონდ კი პასუხისმგებლობა სხვას დაეკისროს. ამიტომ მისთვის უფრო ხელსაყრელია თვალსაზრისი, რომელიც ისტორიაში განმსაზღვრელ როლს ერთეულ გამორჩენილ პიროვნებებს მიაწერს. ამით მას, მეშჩანს, არაფერი ეევლება, ის შეიძლება თავისი პატარა საქმეებით შემოიფარგლოს. ამის გამო მეშჩანები ყოველთვის იყენენ დესპოტიის საყრდენი. ერთ პიროვნებას როცა აღმერთებენ, მაშინ ყველა დანარჩენი მას, მეშჩანს, უთანაბრდება: დესპოტის წინაშე ყველა ერთნაირად უუფლებო და უძლურია. სახელმწიფოს და, მით უფრო, კაცობრიობის ინტერესები რომ გაიზიარაოს ადამიანმა, მან უნდა აღიაროს რაღაც ზოგადი ღირებულებები, მოვალეობა საზოგადოების წინაშე. მეშჩანს კი ამგვარი მოვალეობის გრძნობა არა აქვს. „მე არ მინდა... ვალდებული არა ვარ დავემორჩილო საზოგადოების მოთხოვნებს! მე პიროვნება ვარ!“ ამგვარად გამოთქვამს თავის ინდივიდუალისტურ განწყობილებას მ. გორკის პიესის „მეშჩანების“ ერთ-ერთი გმირი. მაგრამ მეშჩანის ინდივიდუალიზმი არასოდეს არ ემყარება ნამდვილ პიროვნულობას. პიროვნულობასაც ის სხვისი წახედულობით ჩემულობს. მეშჩანისათვის უფრო გასაგებია, როცა სახელმწიფო მას ერთი პიროვნების, მაგალითად „ფიურერის“, სახით წარმოუდგება. მაშინ მისდამი ერთგულების გამოხატვით ის თითქოს ეზიარება რაღაც დიდ ძალას და ამგვარი ავტორიტეტის წინაშე ქედმოხრილ თავის ღირებულებას იძენს.

მეშჩანური სულის ერთ-ერთი თვისებაა „ქედმოხრილობა, ავტორიტეტების მონური თაყვანისცემა“ (მ. გორკი).

მეშჩანს კიდევ ერთი სასუალება აქვს იმისათვის, რომ პასუხისმგებლობა თავიდან მოიცილოს და თავის ნაკუწში კარგად ჩაიკეტოს. ეს არის ბედის და ბედისწერის რწმენა. ბედისწერა ყველაფერს ხსნის და მეშჩანს არც გონების დაძაბვა სჭირდება იმისათვის, რომ ადამიანის ცხოვრების რაიმე გაჭირვების მიზეზი მოიძიოს და არც რაიმეს დაავალებს თავის თავს — ბევრიც რომ იხტუნო, მაინც არ აგცდება, რაც გიწერიაო. ბედისწერაზე ამგვარი წარმოდგენა ძალზე გავრცელებულია და ის მეშჩანს არ მოუგონია, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის ის განსაკუთრებით მიმზიდველია, რადგან მას პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს.

მეშჩანი თავის სიმშვიდეს არც ეკვით დაირღვევს. მეშჩანისათვის სათუო და ასაწონ-დასაწონი არაფერი არ არის: მისთვის სამყაროში გაუგებარი არაფერი არ არის — რაც არ ესმის, ის, მეშჩანის აზრით, აბდაუბდაა. ეკვი მისგან დაფიქრებას, აზროვნებას მოითხოვს, ხოლო მეშჩანი რისი მეშჩანია, თუ ის აზროვნებას დაიწყებს. მეშჩანის „აზროვნება“ ის არის, რომ ყველა შემთხვევას ცხოვრებაში თავისი შეხედულებების თაროებზე კოხტად ჩამოაწყობს.

მეშჩანები ნამდვილად ინდივიდუალობას, განუმეორებლობას მოკლებული არიან. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მათ შორის არავითარი განსხვავება არ იყოს. მეშჩანურ აქვარიუმში სხვადასხვანაირი თევზები დაცურავენ: ლოქოებიც არიან აქ და ჭიჭყინებიც. ლოქო-მეშჩანები თავისუფლად დანავარდობენ, პატიოსნებაზე და სინდისზე ლაპარაკით თავს არ იწუხებენ და უმთავრესად ისა აქვთ საზრუნავი, თუ სად რა წაგლიჯონ და რით ისიამოვნონ. ჭიჭყინა-მეშჩანები „პატიოსნები“ არიან, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ საქმოსანობისათვის საჭირო მოხერხებულობა არ ჰყოფნით; თავიანთ მეშჩანურ ბუნებას იმაში ამყღავნებენ, რომ საკუთარი პატიოსნება დიდად არ უღირთ და შურით ავსებთ თავიანთი „იღბლიანი“ თანამოძმეების ბედი. პირველნი ბედს არ ემდურიან, ოღონდ კი მტაცებლურ საქმიანობაში ნუ შეუშლიან მათ ხელს, მეორენი კი ყოველთვის უკმაყოფილონი არიან და გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებენ საქმოსანთა ხელგაშლილ ცხოვრებას.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეშჩანობა, რამდენადაც ის მხოლოდ გარკვეული მიდრეკილება, ფსიქოლოგიური განწყობაა, არ არის აუცილებლობით დაკავშირებული უარყოფით მოვლენებთან. მეშჩანი თუ ნივთებით არის გატაცებული, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის ქურდი და დამტაცებელი გახდება. თუ ადამიანი ნივთიერი ღირებულებებით არის უმთავრესად დაინტერესებული, ეს მისი პირადი საქმეა,

და თუ ეს ზიანის მომტანია, ისევ ამ ადამიანისათვის და არა საზოგადოებისათვის. მაგრამ ეს საკუთრებით ასე არ არის. მეშჩანური სულისკვეთება ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის უარყოფითი მოვლენებისათვის. მეშჩანი ნიეთს ადამიანზე უფრო მაღლა აყენებს და მზადაა ადამიანი მას შესწიროს. საკუთარი ქონება მისთვის იმდენად ხელშეუხებელია, რომ მისი დაცვისას მხეცურ ულმობლობას იჩენს. ამგვარი ულმობლობა მან საზოგადოებრივი საკუთრების ხელყოფის დროსაც შეიძლება გამოიჩინოს, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი მოქმედების მამოძრავებელი იქნება არა საზოგადოებრივი საკუთრების პატივისცემა, არამედ აღშფოთება იმის გამო, რომ საერთოდ საკუთრების წინააღმდეგ აღმართეს ხელი. რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში აღწერილი იყო, თუ როგორ მოჰკლეს ცემით ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა ვითომ კოლმეურნეობის მანქანის გატაცების ცდისთვის (მკვლელები არც იყვნენ იმაში დარწმუნებული, რომ ნამდვილ დამნაშავეს უსწორდებოდნენ, „ლინჩის“ შემდგომ კი ამის დადგენა შეუძლებელიც გახდა); თავიანთ სისასტიკეს იმით ამართლებდნენ, რომ საზოგადოებრივ საკუთრებას იცავდნენ, სინამდვილეში კი ისინი საკუთრების ხელყოფის გამო გაძვინვარებული მეშჩანები იყვნენ, რომლებიც მზად არიან სამსხვერპლოზე ადამიანის სიცოცხლე მიიტანონ, ოღონდ სხვებმა ისწავლონ საკუთრების, უწინარეს ყოვლისა, პირადი საკუთრების პატივისცემა. მართლაც, როგორც ერთ პოლონელ პედაგოგს უთქვამს, რამდენად დიდია იმის საფრთხე, რომ საკუთარი უშიშროების უზრუნველსაყოფად ყველაზე უხეში ძალადობის გზას დაადგე.

მეშჩანისათვის ადამიანი (სხვა ადამიანი) ღირებული არ არის; რადგან სულის სიღრმეში თავის არარაობას განიცდის, ამიტომ ის ცდილობს სხვაც არარაობად წარმოადგინოს. მისთვის დამახასიათებელია ცინიზმი, რომელიც, გორკის თქმით, მეშჩანობისათვის თვითდაცვის ერთ-ერთი იარაღია. მეშჩანს არ უყვარს „ლაყბობა“ პატიოსნებაზე, სინდისზე და სხვა მაღალ მატერიებზე. მისი იდეალია საქმე და საქმიანობა („საქმე ნახე, საქმე“). თუ მეშჩანი არ არის თვითონ საქმოსანი და კომბინატორი, მას მაინც ხელს აძლევს ამგვარი ადამიანების ყოველისშემძლეობა. ობივატელს აწყობს ცხოვრების იმგვარი წესი, როცა ადამიანის ნიჭი და ღირსება კი არ ბატონობს, არამედ „ჩაწყობითა“ და კეკეობით კეთდება ყველაფერი. მას იმედი აქვს, რომ ამა ქვეყნის ძლიერთ მოუნახავს სუსტ ადგილს და ამ გზით თავის პატარა საქმეებს მოაკვარახჭინებს. თუ პირდაპირ სარგებლობს ვერ იღებს საქმოსნისაგან, ის მაინც თანაუგრძნობს მას. მეშჩანისათვის ადამიანის წარმატების საზომია გარეგნული კეთილდღეობა, ფუფუნება, განცხრომით ცხოვრება, ეს კი საქმოსნების, „ენერგიული ადამიანების“ ხვედრია. ბოროტების ძირი მხოლოდ

„ენერგიულ ადამიანებში“, საქმოსნებში კი არ არის, არამედ აგრეთვე მეშჩანურ ღირებულებით ორიენტაციებში, ობივატელურ განწყობილებებში, რომლებიც ფსიქოლოგიურად უპერენ მხარს საქმოსნობას, უარყოფით მოვლენებს საერთოდ. „ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, როგორც ჩვენი სახელი, რომ ცხოვრების ნამდვილი მტერი არის არა კაპიტალი — სტიქიური, უგუნური, უნებისყოფო ძალა — არამედ მისი ყურმოჭრილი მონები, პატივცემული მეშჩანები, რომლებსაც სურთ თავიანთი პირადი ბედნიერების ინტერესებისათვის დაამტკიცონ სხვაგვარი ცხოვრების შეუძლებლობა“, — წერდა მ. გორკი. მეშჩანობას ყველაზე ბოროტ და ჯერჯერობით დაუძლეველ საშიშროებად ვთვლი, ამბობდა აგრეთვე ლ. ლეონოვი: ძველისძველი მეშჩანი არაფერია მის გარდაქმნილ შთამომავალთან შედარებით. მისი თანამედროვე სახესხვაობა, რომელიც ომის ქარცეცხლში გამოიწრთო, ცბიერია, მოხერხებული და შურისმაძიებელი... ის ყოველმხრივ დაცულია კეთილსაიმედოობისა და ასპროცენტიანობის ყეტონებით და ჩუმად ღრღნის საღი ხის ფესვებს, წერდა ცნობილი საბჭოთა მწერალი რევოლუციის შემდეგდროინდელი მეშჩანობის შესახებ.

კერძო საკუთრება ადამიანებს ერთმანეთს უპირისპირებს, მაგრამ ადამიანთა გათიშვას ერთმანეთისაგან ყველაზე მეტად სწორედ წვრილი კერძო საკუთრება უწყობს ხელს, რომელიც მეშჩანობის ეკონომიკური საფუძველია. მეშჩანური ფსიქოლოგია ყველაზე მეტად უპირისპირდება საზოგადოების საერთო ინტერესებს, ადამიანური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ის ხელსაყრელია ადამიანთა შორის მტრული ურთიერთობის დამკვიდრებისათვის. ამიტომ აკავშირებდა მ. გორკი ხულიგნობას მეშჩანურ ფსიქოლოგიასთან. ხულიგანი, წერდა იგი, ეს არის არსება, რომელიც მოკლებულია სოციალურ გრძნობებს, ის არ გრძნობს არავითარ კავშირს სამყაროსთან, ის არ ცნობს თავის გარშემო რაიმე ღირებულების არსებობას. ამ მხრივ ის მეშჩანისაგან არაფრით არ განსხვავდება. განსხვავება ისაა, რომ ხულიგანი საკუთარი თავის ღირებულების შეგრძნებასაც კარგავს, საკუთარი სიცოცხლის ღირებულების შეგნება უკრება მას. ხულიგანი გუშინდელი მეშჩანია, ამ უკანასკნელის ხვალინდელი დღეა. გორკის მიაჩნდა, რომ ყველაზე საშიში კულტურის სფეროში მუშაობისათვის არის წვრილი პარაზიტი, ადამიანი, რომელიც სარგებლობს სამშენებლო ალიაქოთით და ცდილობს „წაგლიჯოს და გაიქცეს“ ან შეუმჩნევლად გაძვრეს ხელმძღვანელ ადგილზე და ნელნელა წაბილწოს იქაურობა.

მეშჩანური ფსიქოლოგია თავისი ბუნებით კერძომესაკუთრულია, ადამიანობისა და კულტურის საწინააღმდეგო ძალაა, მათი ყველაზე საშიში მტერია: ის ადამიანის სულში იჭრება და მის გადაგვარებას იწ-

ვევს; როგორც წესი, ის აშკარა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში არ ვლინდება. მეშჩანი გარეგნულად წესიერებისა და კანონიერების მომხრეა; თუ ის კანონს არღვევს, ან ამართლებს სხვის მიერ ასეთ დარღვევას, მხოლოდ იმიტომ, რომ „ყველა ასე აკეთებს". მეშჩანი გრიპის ვირუსივით იცვლის სახეს და ყოველთვის ცდილობს რესპექტაბელური სახე მიიღოს. ის საღი აზრისა და რეალურობის ძველთაძველი პრინციპების თავგამოდებული დამცველია, და ძალზე „ადამიანურს" ეროთხოვს — უწინარეს ყოვლისა კარგ ცხოვრებაზე ზრუნავს და იმას, რომ აუტკივარი თავი არ ავიტკივოთ. მისი კერძომესაკუთრული, ეგოისტური არსი არასოდეს არ არის წინა პლანზე. მეშჩანის ცხოვრების წესია „მე შენ პატივს გცემ, შენ კი სამაგიეროდ მე მომაგებ პატივს". პატიოსანი კაცი, მისი აზრით, არის ბრიყვი, რომელიც კანონს ჯიუტად იცავს და არც თავის თავს ასარგებლებს და არც სხვას. კეთილშობილური მისწრაფებები, სინდისი და პატიოსნება მეშჩანს ადამიანის ბავშვურ სისუსტეებად მიაჩნია და ის ცდილობს, აკვნის რწევით და კარგ ცხოვრებაზე ღიღინით მიაძინოს ისინი.

აქვს თუ არა აზრი „ჰოსა" და „არას" ბიდილს

> დანგრევის დროს ყალბი არგუმენტებიც გამოდგება, აშენების დროს კი — არა. რაც ჭეშმარიტი არ არის, ის ვერ ააშენებს.
>
> გ ო ე თ ე

„ადამიანის ბუნება, მიუხედავად ყველა საზოგადოებრივი კატაკლიზმისა და ევოლუციისა, ათასწლეულების მანძილზე უცვლელი რჩება", წერდა ლიონ ფოიხტვანგერი. მართლაც, ათასწლეულების წინ ეგვიპტეში ადამიანს ჭკუას არიგებდნენ: თუკი ბატონთან დაახლოებული ხარ და მის სათათბიროში ზიხარ, ფრთხილად ილაპარაკე და მორიდებული იყავი, რაგდან სიტყვა ყველა სამუშაოზე უფრო ძნელია!... ქედი მოიხარე შენი უფროსის წინაშე და შენი სახლი ქონებით აივსება. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დღესაც ასეთსავე რჩევას იძლევიან: „ადამიანს, რომელიც მართალია, ყოველივის ალმაცერად უყურებენ, სათვალეებს ზემოდანაც კი, მან უნდა იცოდეს ეს და თავისი სიმართლის შეგნებით უნდა კმაყოფილდებოდეს, თუკი მას აფასებს.

მაგრამ ის, ვისაც მშვიდად ცხოვრება უნდა, შეეცდება მართალი არ იყოს... მაშინ მას უზრუნველყოფილი ექნება საამური ცხოვრება... სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც პატივისცემით იქნება ავსე-

ბული“, — მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელი ირონიით გაიმეორა ძველი სიბრძნე ერიკ სატიმ.

ძველ ინდოეთში უთქვამთ: „უადარდელია იმის ცხოვრება, ვინც თავხედია, როგორც ყვავი, კადნიერია, აბეზარი, თავზე ხელაღებული, უზნეო, და ძნელია იმისათვის ცხოვრება, ვინც მიუკერძოებულია, მშვიდია და გამჭრიახი“, და დღესაც ხომ ამბობს პოეტი: თუკი ხარ სუფთა, შენსავით მტერმა იცხოვრა შენმა...

მართლაც, ბოროტება და მანკიერება ისევე დიდი ხნისაა, როგორც ადამიანი, მაგრამ ასევე დიდი ხნისაა ადამიანის ბრძოლა მათთან. პესიმისტი ხელს ჩაიქნევს, ბოროტებასთან ბრძოლას სასიკეთო პირი არ უჩანსო, იტყვის, თვითდამშვიდებული ოპტიმისტი და დაიიმედებს თავს, უარყოფითი მოვლენები მუდამ ყოფილა და კაცობრიობა ამას არ დაუღუპია, ამიტომ საგანგაშო არაფერია, ცხოვრება მაინც წინ მიდის და ყველა სიძნელე თავის დროზე დაიძლევაო; მაგრამ მას ავიწყდება, რომ წარსულშიც სიძნელეები თავისთავად როდი დაძლეულა, მათ გამო ადამიანებს თავი შეუწუხებიათ, ხელი გაუნძრევიათ და კიდეც იმიტომ დაუძლეევით ისინი.

არსებობს იგავი ორ ბაყაყზე, რომლებიც არაყანის ქილაში ჩავარდნილან. ერთს გონივრულად გადაუწყვეტია, რომ ქილას თავს ვერ დააღწევდა და სიკვდილს შერიგებია, მეორეს კი უგუნურად უფართხალია, ვიდრე არაყანი კარაქად არ გადაიქცა, და ცოცხალი გადარჩა. კაცობრიობაც იქნებ იმიტომაც გადაურჩა ბოროტებას და მანკიერებას, რომ „მათთან „უგუნურ“ ბრძოლას ეწეოდა. თავისი „უგუნურებით“ ჯორდანო ბრუნო ცეცხლში ჩაიფერფლა, ხოლო „გონიერმა“ გალილეიმ თავის მრწამსზე უარის თქმის ფასად სიცოცხლე შეინარჩუნა. „უაზრო“ იყო ცოტნე დადიანის საქციელი: რას არგებდა სამშობლოს ის, თუ ერთი ადამიანით მეტ მსხვერპლს გაიღებდა. „უგუნური“ იყო ჰენრი თორო, რომელმაც თავისი ხელით აიშენა ტყეში სახლი, მხოლოდ მცენარეული საჭმელით იკვებებოდა და ჭლექით დაისნეულა თავი; დიდი აზრი არ ჩანდა იმაშიც, რომ ლევ ტოლსტოიმ სახნისს მოჰკიდა ხელი. ადამიანებს ბევრი „უგუნურება“ ჩაუდენიათ და ერთ-ერთი მათ შორის საკუთარ უგუნურებასთან ბრძოლაც იყო. „გონიერი“ ადამიანები ყოველთვის მოთმინებას მოითხოვენ. „ყველა ხილს თავისი დრო აქვსო“, „საკუთარ თავს ვერ გადაახტებიო“, „ყურები შუბლს ზევით არ იზრდებიანო“, ბრძნულად ქადაგებდნენ ისინი, „უგუნურნი“ კი თავისას არ იშლიდნენ: „რის გულისათვის ვიცადოთ? რა მოსაზრებით? მეუბნებიან, ყველაფერი ერთად არ იქნებაო, ყოველი იდეა თანდათან უნდა განხორციელდეს, ყველაფერს თავისი დრო მოუვაო. მერე და ვინ მეუბნება? ვინ დაამტკიცა, რომ ეს მართალია? თქვენ მეუბნებით, რომ ასეთია ბუნების წესი,

რომ ყველაფერს თავისი კანონი გააჩნია. მაგრამ სადაური წესი და კანონია, რომ მე, ცოცხალი და მოაზროვნე კაცი, თხრილს დაეყურებდე, იმას ველოდო, შლამი როდის ამოავსებს-მეთქი, როდესაც შემიძლია გადავახტე ან ხიდი გავდო და ისე გავიდე? ან რისი გულისათვის ‹ველოდო?[16].

* * *

„გონიერი“ ადამიანები უარყოფითი მოვლენების მთავარ მიზეზს საზოგადოებრივი სიმდიდრის ნაკლებობაში ხედავენ: ნივთებით გატაცებას, მათ კულტს, მათი აზრით, ის ბადებს, რომ ისინი ცოტაა; ადამიანები დახარბებული არიან კარგ ნივთებს, კარგ საქონელს, რომელთაც ჩვენი მრეწველობა ცოტას უშვებს და ამიტომ ისინი იძულებული არიან გადამყიდველებს მიაკითხონ, ჰოდა, გადამყიდველების ფასებს კი „ჩვეულებრივი“, კანონიერი ხელფასი ვერ აუვაო; ადამიანურ ყოფნას ფლობა კი არ უშლის ხელს, არამედ ის, რომ რაცა აქვთ, ის არ ყოფნითო. აი, მეტი, უკეთესი და იაფი საქონელი რომ იყოს, აღარც მომხვეჭელობა იქნება და აღარც სპეკულაციაო. ამგვარი ახსნა ისევ ლოდინისათვის განგვაწყობს, ეკონომიკის განვითარებასა და პრობლემის თავისთავად გადაწყვეტის იმედზე გვამყოფებს.

მატერიალური სიმდიდრე რომ ადამიანის ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ცხოვრების უფრო მაღალ დონეს სულაც არ შეესატყვისება სოციალური პრობლემებისა და სიძნელეების გადაჭრის უფრო მაღალი დონეც. იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრების უფრო მაღალ დონეს მიაღწიეს, მწვავედ დგას ისეთი პრობლემები, როგორიცაა დანაშაულებრიობის ზრდა, კორუფცია და სხვ. ნივთების სიმრავლეს, დოვლათს ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მოაქვს და მათ საშუალებას აძლევს უფრო „მაღალ მატერიებზე“ იფიქრონ, მაგრამ მეორე მხრივ, კარგი ნივთების მოპოვებისაკენ ადამიანთა სრბოლა დაუსრულებელია: ის, რაც დღეს მოგვწონს, ხვალ სიმახინჯედ მოგვეჩვენება; ამიტომ ძნელად დასაჯერებელია ის აზრი, თითქოს მატერიალური სიუხვე თავისთავად გამოიწვევს ადამიანთა ყურადღების გადართვას ნივთებიდან სულიერ ინტერესებზე. მატერიალური სიმდიდრის ზრდას ადამიანთა ყოფიერებაში სხვადასხვაგვარი შედეგები აქვს და მისი გავლენის ხასიათი თვითონ ადამიანებზეც არის დამოკიდებული. ტექნიკური პროგრესი, ნივთების სიუხვეთან ერთად, თავისუფალი დროის ზრდასაც იწვევს. მის შედეგად გაიზარდა, აგრეთვე, იმ

---

16 ა. ჩ ე ხ ო ვ ი. მოთხრობები. „ნაკადული“, თბ., 1974, გვ. 421—422.

ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მოხმარებისა და დასვენების სფეროებს ემსახურებიან. ყოველივე ეს ბიძგს აძლევს ადამიანთა ყურადღების გადატანას დასვენებაზე, მოხმარებაზე, გართობაზე, აძლიერებს მათში მომხმარებლურ მისწრაფებებს. ადამიანთა ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მათი უზრუნველყოფა ნორმალური კვებით, საცხოვრებელი ბინებითა და აუცილებელი ნივთებით იოლად გადასაწყვეტი ამოცანა არ არის, მაგრამ არც გადაუჭრელია. უფრო ძნელ ამოცანას ის ქმნის, რომ ადამიანებს აქვთ, აგრეთვე, ხელოვნური, ე. წ. პრესტიჟული მოთხოვნილებები და სწორედ მათი დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაა დაუსრულებელი პროცესი. როდესაც საგანი ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მაშინ მისი ნივთიერი ფორმა მის დანიშნულებას ექვემდებარება, ხოლო როდესაც იგივე საგანი პრესტიჟულ მოთხოვნილებას პასუხობს, მაშინ წინ სწორედ მისი ნივთიერი ფორმა წამოიწევს. ის დაფასებულია სწორედ როგორც ნივთი, თუნდაც მოსახმარად ნაკლებად მოსახერხებელი იყოს. ესეც ხელს უწყობს ნივთების კულტს, რომელსაც მატერიალური სიმდიდრის ზრდა თავისთავად ვერ მოსპობს, პირიქით, მან შეიძლება კიდეც გააძლიეროს ის.

ტექნიკურ პროგრესზე იმ იმედსაც ამყარებენ ხოლმე, რომ მისი წყალობით გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და ამით ცხოვრების დონეც. მაგრამ შრომის ნაყოფიერების ზრდა და ადამიანთა მიერ შექმნილი დოვლათი, თავის მხრივ, დამოკიდებულია შრომის ორგანიზაციაზე, ადამიანთა დაინტერესებაზე, მათი შრომის წახალისების ფორმების გამოყენებაზე და სხვ., რაც ამ სფეროში უარყოფითი მოვლენების დაძლევას გულისხმობს. ასე რომ უარყოფითი მოვლენები თავისთავად კი არ მოისპობა შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად,არამედ მათი დაძლევა თეითონ არის ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი პირობა.

როცა ამბობენ, უარყოფითი მოვლენების დაძლევის მთავარი საშუალება ეკონომიკის განვითარებაო, ამით ადამიანები პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ და სიძნელის დაძლევას სხვას აკისრებენ. ასეთსავე განწყობილებას გამოხატავს შეხედულება, რომელიც უარყოფით მოვლენებთან ბრძოლას მხოლოდ სამართლებრივი და ადმინისტრაციული დაწესებულებების საქმედ თვლის. მიეცით მილიციას ფართო უფლებები და მოქმედების ინსტრუქცია, გააუჯობესეთ მისი მუშაობა და მაშინ არც ერთი ქურდი და არამზადა აღარ გაიჭაჭანებსო, წერდა ერთი გაბრაზებული მკითხველი.

საკმაოდ გავრცელებულია ის აზრი, რომ კანონების სიმკაცრე ყველაზე ნაღდი საშუალებაა ყოველგვარი ბოროტების აღსაკვეთად. ობივატელს ჰგონია, რომ თუ ქურდსა და ავაზაკს საქვეყნოდ ჩამოახრჩო-

ბენ ან ხელს მაინც მოჰკვეთენ, სხვა შეშიხდება და ავკაცობას ყველა გაბედავს. ამგვარი სიმკაცრის მოთხოვნა სამართალზე გარკვეულ წარმოდგენას ემყარება: ის მხოლოდ საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფის საშუალებად არის მიჩნეული. მაგრამ კანონმდებლობა, რომელიც მხოლოდ საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად, როგორც მარქსი ამბობს, კერძო ინტერესებს იცავს; ის კანონს გადააქცევს ვირთაგვების დამჭერად, რომელიც მხოლოდ მღრღნელების მოსპობაზე ფიქრობს — ვირთაგვების დამჭერი ხომ ბუნებისმეტყველი არ არის, ვირთაგვებში ის მხოლოდ მავნებლებს ხედავს. სასჯელმა კი დანაშაულზე უფრო მეტი ზიზღი არ უნდა გამოიწვიოს, დანაშაულისათვის სირცხვილი კანონისათვის სირცხვილად არ უნდა გადაიქცეს.[17]

როდესაც სიმკაცრის გზით მხოლოდ საკუთარი უშიშროების დაცვას ისახავენ მიზნად, ამით საზოგადოებას ადამიანებად და არაადამიანებად ყოფენ. ბოროტმოქმედება ზოგჯერ, მართლაც, იმდენად საზარლად არაადამიანურია, რომ ძნელია მისი ჩამდენის მიმართ არ გაამართლო ალიოშა კარამაზოვის წამოძახილი: დახვრეტა! ასეთი დანაშაულის მიმართ კანონი მკაცრია და ულმობელი. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კანონი არ უნდა მოქმედებდეს შურისძიებითა და შეილოკის პრინციპით: „ვინ არ ცდილობს მოსპოს თავისი სიძულვილის საგანი?“ სისასტიკე, ამბობდა მარქსი, დამახასიათებელია კანონებისათვის, რომლებიც სიმხდალით არის ნაკარნახევი, ვინაიდან სიმხდალე ენერგიული მაშინ შეიძლება იყოს, თუ ის სასტიკი იქნება[18]. რაც არ უნდა მძიმე იყოს დანაშაული და როგორი მკაცრი განაჩენიც არ უნდა გამოგვქონდეს, მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანს ვსჯით. რამდენად განსხვავებულიც არ უნდა იყოს მოსამართლის საზოგადოებრივი მდგომარეობა იმათი მდგომარეობისაგან, რომელთაც ის სასამართლოს წინაშე უხმობს, წერდა ა. კონი, როგორ უმწიკვლოდაც არ უნდა თვლიდეს ის თავის თავს არა მარტო ფორმალური, არამედ აგრეთვე ზნეობრივი თვალსაზრისით, მის სულში უნდა ისმოდეს, როგორც მთელ გარესამყაროსთან კავშირის ცოცხალი შეხსენება, ბრამინების მშვენიერი გაზოთქმა: „tat twam asi!“ — ესეც შენა ხარ, შენ — როცა ლაეი, შენ უბედურებაში, შენ — უმეცრებაში, სიღატაკესა და ცდომილებაში. შენ — ენებათა ხელში![19].

კანონების სიმკაცრე არ არის საზოგადოების სიძნელეების დაძლევის უებარი საშუალება, მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მა-

[17] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. I, с. 401.

[18] იქვე, გვ. 133.

[19] А. Ф. Кони. Собр. соч., в восьми томах, т. 4, М., 1967, с. 51.

თი ლმობიერება უშველის საქმეს. კანონი დამნაშავესაც პიროვნებად უნდა ცნობდეს, მაგრამ მით უფრო არ უნდა უგულებელყოფდეს ის ადამიანს, რომელიც დანაშაულით ზარალდება. თუ კანონი, მაგალითად, არ ითვალისწინებს იმას, რომ გარკვეული საქციელი, თუნდაც ვაუფრთხილებლობა, ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეში ადგებს, საზოგადოებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კანონი სრულყოს და უფრო მკაცრი სასჯელი დაიწესოს ამგვარი მოქმედებისათვის. არ შეიძლება, კერძოდ, სამართლიანად არ მივიჩნიოთ ის მოთხოვნა, რომ გაძლიერდეს პასუხისმგებლობა არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისათვის. ამგვარი საქციელი ხომ საავტომობილო მოძრაობის დღევანდელი ინტენსივობის პირობებში ყოველ წუთს ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება და მისადმი ლმობიერება ადამიანის, მისი სიცოცხლის გაუფასურებას შეუწყობდა ხელს.

როდესაც სამართლის ერთადერთი პრინციპი საზოგადოების უშიშროების უზრუნველყოფაა, მაშინ გამართლებულია წესი — ჯობს ზოგიერთი უდანაშაულო დაისაჯოს, ოღონდ ნამდვილი დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი, და, პირიქით, კანონის ჰუმანურობას გამოხატავს წესი, როცა ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ განიმარტება, ე. ი. როცა თვლიან, რომ ჯობს დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე უდანაშაულო დაისაჯოს. სამართლიანად ამბობდა ილია: „ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინდისი, მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა და თითოეული ადამიანისაგან ის პატივცემული უნდა იყოს, ვიდრე ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი არ გვექნება ხელში, რომ იგი კუთვნილებას სხვის სავნებლად ხმარობს“.

ადამიანის ღირსებას პატივისცემა უნდა არა მარტო იმ აზრით, რომ სამართლებრივი სასჯელი არ უნდა დაედოს უდანაშაულოს. ასეთივე სიფრთხილეა საჭირო, როცა ადამიანს საზოგადოებრივად კიცხავენ. დასაფიქრებელია, მაგალითად, ის, თუ რამდენად არის გამართლებული საზოგადოებრივი გაკიცხვის ის ფორმა, როცა ქუჩებსა და მოედნებზე ცალკეულ პიროვნებებზე კარიკატურებს ათავსებენ სამართლებრივ დანაშაულში თუ უზნეო საქციელში სდებენ ბრალს და ამგვარად „ამათრახებენ“ მათ. ბუნებრივია ვიფიქროთ: თუ არსებობს იმის საკმარისი საბუთი, რომ ამ პიროვნებამ დანაშაული ჩაიდინა, რატომ სამართლებრივ პასუხისგებაში არ აძლევენ მას? ამის ნაცვლად სეირის მოყვარულთა წინაშე მათი გამომზეურება კი იმ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ჩვენ მხოლოდ არასარწმუნოდ ვიცით ის, რაშიც ადამიანს ბრალს ვდებთ, მაგრამ ამ ეჭვის გამოთქმა და ადამიანის დადანაშაულება არ გვიძნელდება.

საკუთარი თავის უშიშროებაზე ზრუნავენ დაწესებულებათა ხელმძღვანელებიც, რომლებიც ზედმეტ სიფრთხილეს იჩენენ და ცდილობენ სამუშაოდ მოწყობაზე უარი უთხრან სასჯელმოხდილებს და ამით კვლავ დანაშაულისაკენ უბიძგებენ მათ.

არსებობს კიდევ ერთი შეხედულება, რომელიც კანონიერების სრულყოფის გზას კანონების რაც შეიძლება მეტ დაწილადებაში ხედავს. სასჯელის მიახლოებითი (5-10 წელი, მაგალითად) განსაზღვრა, ამ შეხედულების მიხედვით, მოსამართლეს საშუალებას აძლევს, თვითნებურად, ანგარების მიზნით გამოიყენოს კანონი. ასეთი შესაძლებლობა, მართლაც, არსებობს. მაგრამ არის თუ არა შესაძლებელი კანონების დეტალიზაციით დანაშაულის აფთიაქური სიზუსტით გაზომვა? ადამიანი ხომ ინდივიდია, რომელსაც თავისი მიზნები, ცხოვრების პირობები აქვს, ყოველი დანაშაული სხვადასხვაგვარ სიტუაციაში ხდება და ყველაფრის გათვალისწინება კანონში, როგორც არ უნდა დავაწილადოთ ის, შეუძლებელია. იმის იმედზე ყოფნა, რომ კანონების დაწილადებით შესაძლებელი იქნება ავტომატურად მივუყენოთ ის ყოველ დამნაშავეს, იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ავტომატად ვთვლით. „დანაშაულებრივი მდგომარეობის სწორი შეფასებისათვის, — წერდა ა. კონი, — არ შეიძლება არსებობდეს საერთო, ერთნაირად გამოსაყენებელი საზომი; სასჯელის მექანიკურად გამოყენება იმ მამოძრავებელი ძალების გაუთვალისწინებულად, რომლებმაც დანაშაული გამოიწვიეს, შემთხვევების უდიდესი რაოდენობისათვის დიდი უსამართლობა იქნებოდა"[20]. ის წინადადება, რომ კანონების დაწილადებით მოსამართლეთა თვითნებობა აღიკვეთოს, ახალი არ არის. ჯერ კიდევ მონტენი ითვალისწინებდა მას და უარყოფდა... „მე არ ვიწონებ, — წერდა ფილოსოფოსი, — იმ ადამიანის შეხედულებას, რომელიც კანონების დაწილადების დახმარებით ცდაუდობს მოსამართლეთა თვითნებობის აღკვეთას — იმ გზით, რომ თითოეულ ჭრიჭინას თავის ქანდარას მიუჩენს".

ეს, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კანონების სრულყოფა და ზოგჯერ დიფერენცირების ზრდა საჭირო არ იყოს. საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ კანონების დეტალიზაცია უებარ საშუალებად არ ჩავთვალოთ და მხოლოდ მის იმედზე არ ვიყოთ.

ადამიანის ცხოვრებაში არსებული უარყოფითი მოვლენების დასაძლევად მარტივი და უებარი საშუალებები თუ არ არსებობს, იქნებ რთული საშუალებების იმედზე მაინც შეიძლება ვიყოთ? მაგრამ სად არის ასეთი რთული და, ამავე დროს, ეფექტიანი საშუალებები?

---

[20] А. Ф. Кони. Собр. соч. в восьми томах, т. 4, с. 47.

რაიმე მოვლენის სირთულის აღნიშვნა იმასაც ნიშნავს, რომ მასზე, მის განვითარებაზე, მის წარმოშობასა და მოსპობაზე მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს. უარყოფითი მოვლენების სირთულეც ამგვარია: მხოლოდ ერთი რიგის, ვთქვათ, ეკონომიკური ან ადმინისტრაციული ღონისძიებებით, ისევე როგორც ცნობიერებაზე ზეგავლენით, გადამწყვეტ ზემოქმედებას ვერ მოვახდენთ მათზე. მაგრამ უარყოფით მოვლენებს, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა გარკვეულ ღირებულებით ორიენტაციებად ვთვლით. ხოლო იმაში თითქოს შეთანხმებული ვართ, რომ ცნობიერების შესაცვლელად თვით ყოფიერება უნდა გარდაიქმნეს. ხომ არ ვიტყუებთ თავს, როცა ყურადღება ადამიანთა ცნობიერებაზე, მათ ფსიქოლოგიაზე გადაგვაქვს და, უწინარეს ყოვლისა, მეშჩანურ ფსიქოლოგიაზე ვცდილობთ ზემოქმედება მოვახდინოთ? სინამდვილეში ასე მარტივად არ არის ვითარება. ადამიანებმა თავიანთი ცხოვრება, ყოფიერება თვითონ უნდა გარდაქმნან და უნდა გარდაქმნან იმ ამოცანების შესაბამისად, რასაც მათი ცნობიერება ისახავს. მაშასადამე, ადამიანები ცხოვრებას ისე ვერ გარდაქმნიან, თუ არანაირად არ შეცვლიან თავიანთ ცნობიერებას. მეორე მხრივ, ადამიანები ცნობიერებაზე, ფსიქოლოგიაზე ზეგავლენას უმთავრესად განათლებითა და ქადაგებით კი არ ახდენენ, არამედ თვით ყოფიერების გარდაქმნის გზით. ყოფიერება კი მრავალი მხარისაგან შედგება, მრავალი მხარე ახდენს ზემოქმედებას ადამიანის ფსიქოლოგიაზე. ადამიანთა ყოფიერება არ დაიყვანება საზოგადოებრივ წყობილებაზე. ადამიანთა ფსიქოლოგიაზე ზემოქმედებას ახდენს ყოველდღიური ცხოვრების — შრომის, დასვენების და სხვ. — ორგანიზაცია, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებები, სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული პოლიტიკა. ამასთან ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბება იწყება გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ის აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაებმებოდეს, და თითქმის მთავრდება იმ დროისათვის, როცა ის შრომით საქმიანობას იწყებს და საზოგადოებრივი როლების შესრულებას კისრულობს. ამიტომ ადამიანის ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდის პროცესს სკოლასა და ოჯახში.

* * *

ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბება რომ დაბადებიდან იწყება, ეს დღეს ყველამ იცის. ამის შესახებ ბევრი თქმულებაც არსებობს. ერთ-ერთი მათგანი ასეთია: ბავშვი დაბადებიდან მე-15 დღეს მიუყვანეს აღმზრდელს, ამ უკანასკნელმა კი მშობლებს უთხრა, თოთხმე-

ი დღით დაგაგვიანდათო. მომავალი თაობის აღზრდას ჩვენ, მშობ-
ლები, ვიწყებთ, ვართ კი ამისათვის მომზადებული? ცნობილი ექიმ
ი საზოგადოებრივი მოღვაწე ბენჯამინ სპოკი გვამშვიდებს: „ბავშვი
ს აღზრდის მეთოდების კვლევამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ რიგიანი
მოყვარული მშობლები ალღოთი ირჩევენ აღზრდის საუკეთესო გადა-
წყვეტილებებს... საკუთარი რწმენა წარმატების საწინდარია“.
მაგრამ ვართ კი „რიგიანი, მოყვარული მშობლები? და, რაც მთავარია,
მემოგვრჩა კი ალღო? თანამედროვე მშობლები ინფორმაციით იმდე-
ნად დატვირთულნი არიან, რომ ალღოსი ვიღას სჯერა! ინფორმაციის
წყაროები კი სხვადასხვა რაიმეს ამბობენ ბავშვის აღზრდის თაობაზე.
წარსულში მკაცრ, სპარტანულ აღზრდაზე ამყარებდნენ იმედებს და
ამბობდნენ: „შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრად გამოგადგებაო“.
დღეს შეხედულებები აღზრდაზე შეიცვალა და უფრო სიყვარულის
იმედი აქვთ. დანაშაულებრიობის ზრდას ზოგიერთ ქვეყანაში იმასთა-
ნაც აკავშირებენ, რომ აქ დედები უმეტესად მონაწილეობას არ იღე-
ბენ ჩვილი ბავშვების გამოკვებასა და უშუალო მოვლაში, სიყვარულ-
სა, და სითბოს აკლებენ მათ.

ბავშვის აღზრდას სიყვარული · სჭირდება, მაგრამ სიყვარულიც
არის და სიყვარულიც. ლეგენდარული პოლონელი ექიმი და პედაგო-
გი იანუშ კორჩაკი წერდა: „უგუნურმა სიყვარულმა შეიძლება გაიწა-
მოს ბავშვები. კანონმა ასეთი სიყვარულისაგან ბავშვი უნდა დაიცვას“.
უგუნურ, თავდავიწყებულ ზრუნვას იქამდე მივყავართ, რომ ან ყვე-
ლაფრის ნებას ვაძლევთ ბავშვებს ან ყველაფერს ვუკრძალავთ იმის
შიშით, რომ არაფერი შეემთხვეთ მათ: არ გაცივდნენ, არ წაიქცნენ
და ა. შ. და ხშირად ერთსა და იმავე ბავშვს ვექცევით ასე: ვასრუ-
ლებთ მის ყველა კაპრიზს, თუ ეს მისი ჯანმთელობისთვის უვნებლად
მიგვაჩნია, მკაცრ მორჩილებას მოვითხოვთ, როცა კი გვგონია, რომ
თუკი არ დაგვიჯერეს, ბავშვის ჯანმრთელობას ჩავაგდებთ საფრთხეში.
„იმის შიშით, რომ აიკვდილმა არ წაგვართვას ბავშვი, ჩვენ ბავშვს სი-
ცოცხლეს ვართმევთ; მის სიცოცხლეს დავკანკალებთ და არ ვაძლევთ
მას საშუალებას იცხოვროს“ — წერდა ისევ კორჩაკი. ერთიცა და
მეორეც — ზედმეტი ლმობიერებაც და ზედმეტი სიმკაცრეც, მით უფ-
რო, თუ ერთი დი იგივე ბავშვის მიმართ ვიჩენთ მათ — ზრდის მათში
ეგოცენტრიზმსა და, ამავე დროს, მშობლების წინააღმდეგ განაწ-
ყობს, ხოლო თუ ბავშვმა მშობლის სიყვარული არ ისწავლა, როგორღა
ისწავლის სხვა ადამიანების სიყვარულს?

უგუნური სიყვარული, ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვის დროს
რომ ვიჩენთ, ჯერ კიდევ მთელი უბედურება არ არის. უარესი ის
არის. რომ ბავშვის მომავლის განსაზღვრას ჩვენი აკვიატებული შეხე-

დულების მიხედვით ვცდილობთ. ჩვენ იმით ვამაყობთ და შეიძლება საფუძვლიანადაც, რომ ჩვენში დიდია უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა ხვედრითი წილი. მაგრამ ალბათ არ არის საამაყო ის, რომ ასე გავრცელებულია მეშჩანური წარმოდგენა უმაღლეს განათლებაზე. ბავშვობიდანვე ვამზადებთ შვილებს იმისი რწმენით, რომ უმაღლესი განათლების გარეშე დარჩენა კატასტროფაა. ფეხს როგორც კი აიდგამს ბავშვი, მაშინვე სტუდენტობის და, შეიძლება, ასპირანტობისა და პროფესორებისთვის ვამზადებთ. წელებზე ფეხს ვიდგამთ, ბავშვს ყველაფრისგან ვათავისუფლებთ. ყველა საგანში რეპეტიტორებს ვქირაობთ, ყველაფერზე მზადა ვართ წავიდეთ, ოღონდ ბავშვი „მოვაწყოთ". ამის შემდეგ არ უნდა გავიკვირვოთ, თუკი ბავშის თავს სამყაროს ცენტრად წარმოიდგენს, და თუ მშობლები მთელ ცხოვრებას ბავშვის ამგვარი მომავლის უზრუნველყოფას დაუმორჩილებენ, ისინიც ამას ბუნებრივად მიიჩნევენ და მშობლების ღირებულება არ შეიძლება მათ თვალში არ დაეცეს.

ბავშვებს როცა უმაღლესი განათლებისათვის ვამზადებთ, ვემყარებით გავრცელებულ აზრს ყველა ბავშვის ნიჭიერების შესახებ. ეს აზრი, ალბათ, სწორია, მაგრამ ნიჭიერება ხშირად ვიწროდ გვესმის და ყველა ბავშვისაგან ერთნაირ ინტერესებსა და ყველა საგანში ერთნაირ სიბეჯითეს მოვითხოვთ. აქაც მეშჩანური მსოფლმხედველობა გვშველის. მეშჩანს, წერს კორჩაკი, ძალზე მაღალი წარმოდგენა აქვს ადამიანის ძლიერებაზე: კარტოფილის მოსავალი თუ არ მოვიდა, მაინც მისი შვენა შეიძლება, ოღონდ მეტი უნდა გადაიხადო; ზამთარია — შუბას ჩაიცვამს, წვიმაა — კალოშებს, გვალვაა — ქუჩებს მორწყავენ, მტვერი რომ არ იყოს. ყველაფერი შეიძლება იყიდო, ყველა გაჭირვებას ეშველება. ბავშვი თუ ფერმკრთალია, ექიმს დავუძახებთ, თუ ცუდად სწავლობს, რეპეტიტორებს დავუქირავებთ, დიახ, ხშირად იმედი აქვთ, რეპეტიტორის დახმარებით არა მარტო მოამზადონ ბავშვი, არამედ შეცვალონ კიდეც მისი ინტერესები.

როცა ბავშვს უმთავრესად უმაღლესი სასწავლებლისთვის ვამზადებთ, ადამიანის ღირსებაზე გავრცელებული შეხედულებით, ჩვენი საუკუნის იდეალებით ვხელმძღვანელობთ. წარსულში გამოჩენილი ადამიანები ან თავიანთი მდგომარეობით იყვნენ გამოჩენილი — მეფეებად და იმპერატორებად იყვნენ დაბადებული, ან ითვლებოდა, რომ ღვთაებრივი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული. ახლა მეფეებს, იმპერატორებსა და შაჰებს უკანასკნელი საყრდენი ეცლებათ, ხოლო ღვთაებრივი მადლისა ცოტა ვინმეს თუ სჯერა, მაგრამ ყველას უნდა სახელი გაითქვას, მით უფრო, რომ სახელის მოხვეჭის საშუალებები გაფართოვდა: რუსთაველი და ნიუტონი თუ არ გამოვა კაცისგან,

შეიძლება მარაკანას სტადიონზე, ჭადრაკის დაფასთან ან ესტრადის სცენაზე გაითქვას სახელი. და, ამ, ჩემპიონობასა და „ვარსკვლავებზე“ ფიქრებით და ოცნებით მოცულებს გვინდა, ჩვენი შვილებიც მხოლოდ სახელგანთქმული ვიხილოთ და ოცნების ხორცშესხმას ვცდილობთ. „წარმავალი მოდაა, — წერდა ი. კორჩაკი, — შეცდომაა, უგუნურებაა ის წარმოდგენა, რომ ყველაფერი, რაც გამოჩენილი არ არის, წარუმატებელი და მცირე ღირებულების გეგონია. ჩვენ უკვდავებითა ვართ დაავადებული. ვინც ვერ ამაღლდა მოედანზე მდგარ ძეგლამდე, იმას სურს თუნდაც თავისი სახელობის შესახვევი ჰქონდეს... სინამდვილეში თამბაქოს ახალ სახეობასა და ახალი მარკის ღვინოს სჭირდება სახელის განთქმა, ადამიანებს კი ეს არ სჭირდებათ“[21]. ამგვარ იდეალებს მარტო ის ზიანი კი არ მოაქვთ, რომ ცხოვრებაში მათი შეჯახების შედეგად ახალგაზრდობაში მძიმე განცდების მიზეზი შეიძლება გახდნენ, არამედ უფრო ის, რომ ისინი გარკვეულ ორიენტაციას აძლევენ ახალგაზრდებს, მათი ყურადღება გადააქვთ არა იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, არამედ იმაზე, რომ სახელი უნდა მოიპოვონ, გამოჩენილნი, გამორჩეულნი გახდნენ და სხვებს გაუსწრონ. შეიძლება ეს უცნაური ჩანდეს, მაგრამ ადამიანის ღირსებაზე ამგვარი წარმოდგენაც ადამიანებს ერთმანეთს უპირისპირებს.

ოჯახისა და ბავშვის ურთიერთობა კიდევ ერთ საყურადღებო მხარეს შეიცავს. როდესაც კერძო საკუთრებაა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი, სოციალური უთანასწორობაც საზოგადოებრივი ცხოვრების აღიარებული პრინციპია. გაბატონებული კლასის მოწინავე ოჯახები ასეთ პირობებში თავიანთ ბავშვებს ზრდიდნენ იმ სულისკვეთებით, რომ მათ ღარიბებისადმი თანაგრძნობა და დახმარებისათვის მზადყოფნა გამოეჩინათ. რა თქმა უნდა, ქველმოქმედება სოციალურ პრობლემას ვერ წყვეტდა, მაგრამ ამგვარ აღზრდას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა: ის ბავშვში კაცთმოყვარეობას, თანაგრძნობას აღვიძებდა. ჩვენი საზოგადოების ცხოვრების პრინციპი სოციალური თანასწორობაა და მატერიალური უთანაბრობა აღარ წარმოიდგინება როგორც სოციალურ უთანასწორობაზე დამყარებული უსამართლობა. ამიტომ თითქოს აღარ არსებობს საფუძველი ქველმოქმედებისა და ღარიბისადმი თანაგრძნობის გამოჩენისათვის. და იქმნება უცნაური ვითარება: იქ, სადაც სოციალური უთანასწორობაა ცხოვრების საფუძველი, იმით ამაყობენ, რომ მათ საზოგადოებაში ძნელად გასარჩევია ჩაცმულობითა და ცხოვრების ყაიდით საწარმოს პატრო-

---

[21] Я. Корчак. Избранные педагогические произведения. «Просвещение», М., 1966, с. 32.

ნი მუშისაგან, ხოლო მდიდართა შვილები არსებული ცხოვრების წესის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ფუფუნებაზე უარს ამბობენ და სადა ცხოვრებისაკენ მიილტვიან, ხოლო ჩვენში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპად თანასწორობაა აღიარებული, შეძლებითა და ძვირფასეულობით მოაქვთ თავი. ეს იწვევს სიმპათიის, თანაგრძნობის ატროფიას. ღარიბისადმი „თანაგრძნობის“ გამოჩენას ბავშვი მაშინღა ხედავს, როცა წყვეულა-კრულვის მიყოლებით ერთ-ორ გროშს გადაუგდებენ ხოლმე კარზე მომდგარ მათხოვარს, რათა რაც შეიძლება მალე მოიცილონ უსიამოვნო „სტუმარი“.

ოჯახში ჩვეულებრივ ბავშვების ფიზიკურ აღზრდაზე და სწავლაზე ზრუნავენ და გვიანღა შეამჩნევენ ხოლმე ეგოიზმისა და უზნეობის გამოვლენებს მათ საქციელში. სკოლა მიზნად ისახავს როგორც გონებრივ, ისე ზნეობრივ აღზრდას, მაგრამ ის მაინც უფრო სწავლებაზეა ორიენტირებული, ვიდრე ზნეობრივ აღზრდაზე. მიუხედავად ზოგადად ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელობის აღიარებისა, პრაქტიკულად სკოლის ძირითად მიზნად ცოდნა გვეელინება და არა ზნეობრივი მრწამსის გამომუშავება. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ცოდნის შეფასება უფრო ადვილია, ვიდრე ბავშვის ზნეობრივი განვითარებისა. ამის შედეგად აკადემიური წარმატება მოსწავლის ღირსების ერთადერთი საზომია.

რა თქმა უნდა, ცოდნა და ზნეობა ერთმანეთს არ უპირისპირდებიან: სწავლისადმი დამოკიდებულებაში ბავშვი თავის ზნეობრივ სახესაც ავლენს — ცოდნისადმი, სწავლისადმი დამოკიდებულება მოსწავლისათვის შრომისადმი, საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაც არის. მაგრამ ცოდნა მაინც არ უნდა გვევლინებოდეს მოსწავლის ღირსების საზომად. ნიშნების ფურცელი არ შეიძლება მოსწავლის ღირსების მოწმობად მივიჩნიოთ, რადგან არსებობს ადამიანის ბევრი მხარე, რომელიც მასში ვერ აისახება. როდესაც ბავშვის შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად მის მიერ მიღებული ნიშანი ხდება, მაშინ მოსწავლეს, რომელიც მაღალ შეფასებებს არ იღებს, არასრულფასოვნად მიიჩნევენ. მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლების მიზნით ზოგჯერ ამ წარმატებასთან აკავშირებენ იმას, რომ მოსწავლეებს მისცენ თუ არა, მაგალითად, სპორტულ სექციებში მონაწილობის უფლება. ეს, ჯერ ერთი, ზღუდავს ბავშვის შესაძლებლობათა გამოვლენის სფეროს და მას უბიძგებს სხვა სფეროში, კერძოდ დეზორგანიზაციაში ეძიოს თავისი შეობის გამოვლენის საშუალება და, მეორეც, ის საეჭვოდ ხდის ცოდნის შეფასების არსებული სისტემის ღირებულებას: თუ, მაგალითად, შეფასება „3“ დამაკმაყოფილებელს ნიშნავს და ის ხელს არ უშლის კლასისა და სკოლის დამთავრებასაც, გაუგებარია,

რატომ უნდა იყოს ის მოსწავლის მიმართ „დისკრიმინაციული“ დამოკიდებულების საფუძველი. აღზრდის საფუძველი კი მოსწავლის პიროვნების პატივისცემა უნდა იყოს. „როდესაც არა გრძნობს პატივისცემას მოზრდილი ადამიანის მხრივ და ვერ ასაბუთებს თავის ზნეობრივ ღირსებას, — წერდა ცნობილი საბჭოთა პედაგოგი ვ. სუხომლინსკი,—ბავშვი ეძებს, რითი შეახსენოს სხვებს თავი და ხშირად საძრახისი საქციელით გვახსენებს ხოლმე თავს“, „ნამდვილი ადამიანი რომ გახდეს მოსწავლე, უწინარეს ყოვლისა, თავის თავს უნდა სცემდეს პატივს, ამ პატივისცემის გარეშე, თავის თავში სილამაზის სიყვარულის გარეშე, წარმოუდგენელია ადამიანური კულტურა, შეუწყნარებლობა ყველაფრისადმი, რაც კი ამცირებს ადამიანს“[22]. ასეთი პატივისცემა კი ბავშვმა არ შეიძლება იგრძნოს იქ, სადაც მას დასცინიან, უმტკიცებენ, რომ ის უქნარაა, „ტორიჩელის სიცარიელეა“, უყვირიან. „ყვირილი — ეს ადამიანური ურთიერთობის არარსებობის ყველაზე უტყუარი ნიშანია. მასწავლებლის ყვირილი აოგნებს, თავზარს სცემს ადამიანს“, — წერდა სუხომლინსკი.

ცოდნაზე და, სახელდობრ, თეორიულ ცოდნაზე ორიენტაცია იმაშიც ვლინდება, თუ რამდენად ჩამორჩენილია დღეს ჩვენს სკოლაში შრომითი სწავლება და შრომითი აღზრდა. ის, რაც ჩვენი სკოლების უმრავლესობაში შრომითი სწავლების გაკვეთილების სახით ტარდება, არსებითად ისევ თეორიული სწავლაა და ის ვერც შრომას შეასწავლის ბავშვებს, ვერც შრომის სიყვარულს. ასევე მეორეხარისხოვანი ადგილი უკავიათ დღეს სკოლაში (სპეციალური სასწავლებლების გარდა) ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას.

ორიენტაცია მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე თავს იჩენს თვით სწავლების პროცესშიც. მოსწავლეებს მასალის შეთვისება რომ გაუადვილონ, ხშირად ისე აქუცმაცებენ მას, რომ მოსწავლეს ეკარგება მთლიანობა, კერძოდ მხატვრული ნაწარმოების მთლიანობა, მისი მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივი მნიშვნელობა. საქმე ზოგჯერ ისეთ კურიოზამდე მიდის, რომ, როგორც ჩვენს პრესაში იყო აღნიშნული, ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ავტორები მოსწავლეებს ავალებენ, ამოიცნონ, ლექსის რომელ სტრიქონებში ამეღავნებს პოეტი თავის პატრიოტიზმს. ასე ჰყოფენ მწერლის შემოქმედებას პატრიოტულ ნაწარმოებებად და სოციალური შინაარსის მქონე ნაწარმოებებად. ამ ლოგიკით პატრიოტულია, მაგალითად, ილიას „ყვარელის მთებს“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ეცან მე სიყვარული“, „ჩემო კარ-

---

[22] В. А. Сухомлинский. О воспитании. Изд-во полит. лит-ры, М., 1973, с. 28—29.

გო ქვეყანავ“ და სხვ., ხოლო „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“ მხოლოდ სოციალურ მოტივებს ამჟღავნებენ. სინამდვილეში განა სოციალურ უსამართლობას, ერის სოციალურ წყლულებს რომ ებრძოდა, ამით მწერალი პატრიოტულ საქმიანობას არ ეწეოდა? განა მართალი არ იყო გოეთე, როცა ამბობდა: „პოეტს როგორც ადამიანსა და მოქალაქეს უყვარს სამშობლო. მაგრამ მისი პოეტური შემოქმედებისა და მისი პოეტური მოღვაწეობის სამშობლო არის სიკეთე, კეთილშობილება, სილამაზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული არც ერთ რომელიმე პროვინციასთან, არც ერთ გარკვეულ ქვეყანასთან; ის მათ აღიქვამს და გამოხატავს ყველგან, სადაც პოულობს მათ.

და, ბოლოსდაბოლოს, რას ნიშნავს იქცეოდე პატრიოტულად, თუ პოეტი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობს ებრძოლოს მავნე ცდომილობებს, დასძლიოს გონებაშეზღუდული შეხედულებები, გაანათლოს თავისი ხალხის გონი, დახვეწოს მისი გემოვნება და გააკეთილშობილოს მისი შეხედულებები და გრძნობები, რა შეიძლება მან ამაზე კარგი გააკეთოს? და შეიძლება თუ არა მან რაიმე უფრო პატრიოტული აკეთოს?“

* * *

პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბებისათვის ბავშვობისა და ახალგაზრდობის პერიოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კ. უშინსკის მიაჩნდა, რომ ადამიანის მსოფლმხედველობა უმთავრესად 16—23 წლების ასაკში ყალიბდება. მაგრამ ამის შემდეგაც პიროვნების მსოფლმხედველობა უცვლელი არ რჩება. გარდა ამისა, პიროვნების ჩამოყალიბებული თვისებებიც სხვადასხვანაირად შეიძლება გამოვლინდეს. ერთი და იგივე თვისება, ვთქვათ ეგოიზმი, შეიძლება გამოვლინდეს სხვისი წუხილისადმი გულგრილობაში და შეიძლება, თუკი საზოგადოებაში სიტყვა ქურდმა „უარყოფითი დაკარგა ჟღერა“, სხვისი ქონების მითვისებასა და სხვისი სიცოცხლის მოსპობაშიც გამომჟღავნდეს.

ის, თუ როგორ ქცევაში გამოვლინდება ადამიანის ღირებულებითი ორიენტაციები, დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციაზე, კულტურის განვითარების დონეზე, საზოგადოებრივ აზრზე და, რა თქმა უნდა, საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანიზაციების თანამიმდევრულ საქმიანობაზეც. უარყოფითი ღირებულებითი ორიენტაციების დაძლევის პროცესიც საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეზეა დამოკიდებული.

როდესაც უარყოფით მოვლენებზე ლაპარაკობენ, უწინარეს ყოვლისა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროები ახლეთ ხოლმე მხედველობაში. ამ სფეროებში, მართლაც, მეტი შესაძლებლობებია ქურდობის, გადაყიდვის, ხალტურისათვის. მაგრამ ესეცაა: უწესრიგობას ვაჭრობისა და კომუნალური მომსახურების სფეროებში ყველა ხედავს, ხოლო დარღვევებს სამრეწველო საწარმოებში თუ დაწესებულებებში უცხო თვალი ვერ ამჩნევს, ვიდრე ისინი სასამართლო პროცესმა არ გამოამზეურა. ასეა თუ ისე, ამ სფეროებში უარყოფითი მოვლენების გავრცელებულობა ეჭვს არ იწვევს, ოღონდ საჭიროა მათი ყველა მიზეზის შესწავლა და მათთან ბრძოლის გონივრული გზების გამონახვა. ამ მოვლენებთან ბრძოლა რომ ყველას საქმეა, ეს სწორი აზრი იმისთვის არ უნდა გამოვიყენოთ, რომ ეს ბრძოლა მოლარეებსა და გამყიდველებთან ყალ-მაყალზე დავიყვანოთ.

რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნდა ქ. სვერდლოვსკის ერთ-ერთი მსხვილი გასტრონომის ყოფილი დირექტორის წერილი. მასში დახასიათებული იყო ის რთული პირობები, რომლებიც უარყოფით მოვლენებს უწყობდნენ აქ ხელს. ქალაქის ვაჭრობის ქსელში მომარაგების საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ თუ ნაცნობები არ ეყოლებოდა შესატყვის უწყებაში მაღაზიის გამგეს, არაფის მისცემდა ქრთამს, ისე საჭირო პროდუქტებით არ მომამარაგებდნენ მაღაზიას და ის გეგმას ვერ შეასრულებდა. საქონლის მოტანა და გადმოტვირთვაც მაღაზიებს თვითონ უნდა ეკისრათ და რადგან საამისოდ მათ მტვირთავები არ ჰყავდათ, კერძო პირებს უნდა შეთანხმებოდნენ, რომლებიც სახელმწიფოს ნიხრით ანაზღაურებას არ სჯერდებოდნენ და დეფიციტურ საქონელს მაინც მოითხოვდნენ დამატებით გასამრჯელოდ, ასეთ საქონელს კი ისევ ქრთამი სჭირდებოდა. ასეთ პირობებში მომმარაგებლებისთვის მიცემული ხარკი ისევ მომხმარებლისაგან უნდა აკრეფილიყო. როცა ამგვარი ვითარებაა, მხოლოდ კონტროლის გაძლიერება და მოქალაქეთა „შეგნების" იმედზე ყოფნა საქმეს არ უშველის. ხოლო ამგვარი ნაკლოვანებანი ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული[23] და მათი დაძლევისათვის აუცილებელია შრომის ორგანიზაციისა და მომარაგების სისტემის გაუმჯობესება. კონტროლთან ერთად და ალბათ მასზე უფრო მეტად ამ სფეროში ეფექტიანი იქნება მუშაობისა და შრომის ანაზღაურების პროგრესული მეთოდების დანერგვის დაჩქარება, ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესება და სხვ.

---

23 მათზე ჩვენშიც წერდნენ (იხ. გაზ. „თბილისი", 1976 წ. 22 მარტი).

კონტროლის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავამციროთ, მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანი ის კი არ უნდა იყოს, რომ კონტროლისა და დასჯის შიშით არ ხდებოდეს დარღვევები, არამედ ის, რომ თვით ღირებულებით ორიენტაციებში მოხდეს გარდატეხა, რომ, ბოლოსდაბოლოს, მომხმარებლის მოტყუება ადამიანებმა ქურდობად მიიჩნიონ. ხოლო ქურდობა სირცხვილად. დღეს ეს თუ ასე არ არის, დღეს თუ აშკარად იმართლებენ ხოლმე თავს იმით, რომ „ყველა ქურდობს", ეს ვითარება ბევრ რაიმეს ემყარება: სახლში, სადაც ვაჭრობისა თუ მომსახურების მუშაკი შესახლდა, ის ხედავს, რომ აქაც ყველაფერი წესრიგში როდი დახვდა, მასაც აშკარად ატყვია „ხალტურის" კვალი. ექიმთან რომ მიდის, საავადმყოფოში რომ უხდება დაწოლა, აშკარად ხედავს, რომ მისი მომსახურების დონეც არაიშვიათად მის მიერ მიცემულ დამატებით გასამრჯელოზეა დამოკიდებული; ბავშვს რომ კარგად ასწავლოს და უმაღლეს სასწავლებელში მისი ჩარიცხვა ჰქონდეს გარანტირებული, რეპეტიტორები უნდა დაიქირავოს, მაშასადამე, მსჯელობს ის, მასწავლებლებიც ახალტურებენ თავის საქმეს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ არაიშვიათად აქაც ხედება პირდაპირი გამოძალვის ფაქტებს. ასე რომ, უარყოფითი მოვლენების გავრცელების მთავარ სფეროებად ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებს რომ მივიჩნევთ, იქნებ ჩვენ სავსებით მართალნი არა ვართ და იქნებ ამ მოვლენების დაძლევისათვის ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, სხვა სფეროებზე უნდა გადავიტანოთ. ალბათ ყველაზე ნაკლებ ეფექტიანია ის ღონისძიება, რასაც ზოგიერთი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: ყურადღებისა და კონტროლის გადატანა თვით მომხმარებელზე, რომელიც საეჭვო „გულუხვობას" იჩენს და ამით აქეზებს ვაჭრობისა და მომსახურების წესების დამრღვევს. აქაც „ეჭვი" მხოლოდ ვარაუდის საფუძველი შეიძლება იყოს და არ შეიძლება იმ დასკვნების გაკეთება, რომ რაკი მომხმარებელი „გულუხვობას" იჩენს, ის აუცილებლად „ნაქურდალს" ხარჯავს.

ასევე სატრანსპორტო მომსახურების სფეროში უარყოფითი მოვლენების დასაძლევად არ შეიძლება ვიყოთ მხოლოდ კონტროლის და მომხმარებლის შერცხვენის იმედზე, მათი „გულუხვობის" გამო, რასაც ისინი იჩენენ, მაგალითად, ტაქსით მათი მომსახურების დროს. არც ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების" ცნობილი გმირის მსგავსად შეიძლება ვიყოთ ჩვენი „ტექნიკური გენიის" იმედზე და არ უნდა ვიფიქროთ, თუ საქმეს ისე მოვაწყობთ, რომ კლიენტი აიღებს ხურდას საგანგებო ყუთიდან, ამით გამოძალვასა და ხალტურას ამ სფეროში აღარ ექნება ადგილი. სატრანსპორტო მომსახურებაში უარყოფითი მოვლენების დასაძლევად უფრო დიდი მნიშვნელობა ექ-

ᲩᲔᲑᲐ იმ ფსიქოლოგიური ვითარების შეცვლას, რაც უარყოფით ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ უწყობს ხელს. ავტომობილიზაციის სწრაფი განვითარება და შაგისტრალების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ჩამორჩენა სულ უფრო მეტ სატრანსპორტო სიძნელეებს იწვევს დიდ ქალაქებში და, უწინარეს ყოვლისა, ეს სიძნელეები საზოგადოებრივ ტრანსპორტს ექმნება. პიკ-საათებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადატვირთულობა, ხოლო ღამის საათებში ფაქტიურად მისი უმოქმედობა იმას იწვევს, რომ ტაქსი არათუ უფრო მოსახერხებელი, არამედ ზოგ შემთხვევაში ერთადერთი საშუალებაა მგზავრობისათვის. ასეთ ვითარებაში ადამიანთა „ბედი" შეღოლების ხელშია. ეს ვითარება არავის ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ, მაგრამ ვითარების გამოსასწორებლად მეტი მნიშვნელობა ექნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას — მისი სიჩქარის, რეგულარულობის, კომფორტაბელურობის ზრდას, ვიდრე მგზავრების შეგნებაზე ზემოქმედებას.

სატრანსპორტო პრობლემების გადაჭრა, რასაც მნიშვნელობა აქვს უარყოფით მოვლენებთან საბრძოლველად, კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს. მათ შორის ქალაქთმშენებლები ყველაზე პერსპექტიულად მიიჩნევენ შემდეგს: ტრანსპორტის საზოგადოებრივი სახეებისათვის, უწინარეს ყოველისა, ავტობუსებისათვის, პრიორიტეტული პირობების შექმნას; საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის კომფორტულობისა და სისწრაფის ზრდას; ქვეითად მოსიარულეთათვის პრიორიტეტის მინიჭებას სავაჭრო, სანახაობით ცენტრებში; ქვეითად მოსიარულეთა ზონების კარგ მომსახურებას საზოგადოებრივი ტრანსპორტით და სხვ.[24]

---

[24] В. Адомавичюс, В. Шештокас. Проблемы паркирования и хранения легковых автомобилей в городах Литовской ССР. Вильнюс, 1977, с. 4—5. იხ. ავრეთვე М. Конаковский. Транспорт и проектирование центра города. М., Стройиздат, 1978, с. 31—32.

ᲒᲐ. თბილისშიც გადაიდგა ნაბიჯები საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის უპირატესობის მისანიჭებლად. საზღვარგარეთის ზოგიერთ ქალაქში საგანგებო ღონისძიებებს იღებენ იმისათვის, რომ მანქანის მფლობელებმა ცენტრში მოძრაობის დროს საზოგადოებრივი ტრანსპორტი არჩიონ. ქალაქის ცენტრებში ინდივიდუალური მანქანების რაოდენობის შემცირება ახლა ყველა დიდი ქალაქის საზრუნავია. ეს თბილისზეც ითქმის: მასში ხომ სატრანსპორტო გადაადგილებათა დიდი წილი მსუბუქ მანქანებზე მოდის („საბჭოთა ხელოვნება", 1973, № 5, გვ. 44).

ერთი შეხედვით, ამ ღონისძიებებს არავითარი კავშირი არ აქვთ უარყოფითი მოვლენების დაძლევასთან. მაგრამ ის, რაც ადამიანის ცხოვრებას უფრო გონივრულს ხდის, არ შეიძლება მის ცხოვრებაში უარყოფითის დაძლევასაც არ ემსახურებოდეს.

როდესაც არქიტექტორები ქალაქის რეკონსტრუქციის პრობლემებზე ფიქრობენ და ასეთი რეკონსტრუქციის დროს ქვეითად მოსიარულეთათვის ზონების შექმნას აუცილებლად მიიჩნევენ[25], ისინი მარტო სატრანსპორტო სიძნელეების გადალახვას როდი ისახავენ მიზნად, არამედ იმასაც. რომ შეიქმნას ქალაქის სატრანსპორტო მაგისტრალებისაგან რამდენადმე იზოლირებული არე, სადაც ადამიანებს შეეძლებათ ნერვული დაძაბულობისაგან ნაწილობრივ მაინც განთავისუფლდნენ და დასვენების, ესთეტიკური აღქმისა და ერთმანეთთან ურთიერთობისათვის გამოიყენონ ქუჩები და მოედნები. თანამედროვე დიდი ქალაქის მაცხოვრებელი, რომელსაც ყურადღების მოკრეფა სჭირდება იმისათვის, რომ თვალყური ადევნოს ტრანსპორტის ნაკადებსა და შუქნიშნებს, ძნელად აღიქვამს არქიტექტურას, ისტორიულ თუ ხელოვნების ძეგლებს. ქალაქთშენებლობა, ამბობდა ლე კორბუზიე, არის საზოგადოების ცხოვრების გამოხატვა არქიტექტურის საშუალებით. ხუროთმოძღვრებაში საზოგადოებრივი ცხოვრების გამოხატვამ ისევ ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე უნდა მოახდინოს გავლენა. მაგრამ როცა ქუჩები და მოედნები მხოლოდ სატრანსპორტო მაგისტრალებია, მათი არქიტექტურა არსებითად არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს ქალაქის მაცხოვრებლებზე. ცხადია, ყველაზე სრულქმნილ არქიტექტურასაც არ შეუძლია მთავარი როლი შეასრულოს ადამიანის სულის ჩამოყალიბებაში, მაგრამ მას მაინც აქვს თავისი ადგილი იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც ადამიანთა კულტურის ჩამოყალიბებაზე ახდენენ გავლენას.

• • •

ადამიანის კულტურა ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისიც არის, თუ რა პრესტიჟით სარგებლობს თვით კულტურა საზოგადოებაში, რა ყურადღება ექცევა მას საზოგადოების მხრივ, როგორ ვლინდება კულტურის პრესტიჟი ყო-

---

25 ჩვენი საუკუნის გამოჩენილი არქიტექტორი ვალტერ გროპიუსი ამბობდა: „თანამედროვე ქალაქში ქვეითად მოსიარულეთა მოედნები უფრო მეტად არის აუცილებელი, ვიდრე ოდესმე ყოფილა“ (В. Гропиус. Границы архитектуры. «Искусство», М., 1971, с. 185).

ველდღიურ ცხოვრებაში, ქალაქისა თუ სოფლის გარეგნულ იერშიც. თანამედროვე საზოგადოების კულტურის მთავარი ცენტრები მაინც დიდ ქალაქებშია თავმოყრილი და ამიტომ მათი არქიტექტურული სახე ამჟღავნებს, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების დამოკიდებულებას კულტურისადმი. კულტურისადმი დამოკიდებულებას კი ისიც გაშოხატავს, თუ რა ადგილი უკავიათ ქალაქის არქიტექტურულ სახეში კულტურის შენობებს — თეატრებსა თუ მუზეუმებს, საკონცერტო დარბაზებსა თუ კულტურის სახლებსა და სასახლეებს და სხვ.

კულტურა და ცხოვრება ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. კულტურა ცხოვრების ნაწილია, ცხოვრებით საზრდოობს და მასვე ასულდგმულებს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთში უნდა აითქვიფონ. მაღალი კულტურის ქმნილებები რომ აღიქვას, ადამიანმა თავისი სულიერი ძალები უნდა დაძაბოს, ყურადღება მოიკრიფოს, ხოლო ამისათვის ყოველდღიური ცხოვრების ინტერესებიდან უნდა ამოირთოს და გარკვეული მანძილი, დისტანცია დაიცვას ხელოვნების ნაწარმოებიდან (სხვათა შორის, როცა თანამედროვე თეატრი თითქოს რამპას აუქმებს და მოქმედება მაყურებელთა დარბაზში გადააქვს, ამით დისტანციას კი არ აუქმებს მაყურებელსა და თეატრს შორის, პირიქით, ხაზს უსვამს თეატრალობას და, ამით, დისტანციასაც). ტყუილად როდი იყო ძველთაგანვე სანახაობები დაკავშირებული განსაკუთრებულ დღეებთან, „დღესასწაულებთან". საუკუნეების მანძილზე კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლები ეკლესიები იყო და მათთვისაც ადგილს საგულდაგულოდ არჩევდნენ ხოლმე. ბუნებრივია, არც კულტურის საერთო ტაძრებისათვის აქვს ნაკლები მნიშვნელობა მათ განლაგებას.

. ჩვენს დედაქალაქში უკანასკნელ დროს გორკეული ნაბიჯები გადაიდგა სასიკეთო მიმართულებით, ქალაქის ცენტრალური გამზირი თავისუფლდება წვრილმანი სავაჭრო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, ის სულ უფრო მეტად იქცევა კულტურის გამზირად. მიუხედავად ამისა, ბევრი მნიშვნელოვანი კულტურის დაწესებულება მისთვის შეუფერებელ ადგილზეა განლაგებული. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული დაწესებულება, ხელოვნების მუზეუმი, მართალია, ქალაქის ცენტრშია მოთავსებული, მაგრამ გარეგნულად საკმაოდ უსახო, ტრანსპორტის გაჩერებებთან მიჭყლეტილი, ფარდულებითა და დახლებით გარშემორტყმული, ის სრულებითაც არ ახდენს კულტურის ტაძრის შთაბეჭდილებას და არ უწყობს ხელს ამ მხრივ კულტურის პრესტიჟის ამაღლებას. ასევე თავისი გარეგნობით და უფრო მეტად კი ქალაქის არქიტექტურაში

თავისი ადგილით თავის დანიშნულებას არ შეესაბამება ისეთი დაწესებულება, როგორიცაა რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკა.

კულტურის მნიშვნელობას, კულტურისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას, იმას, თუ რამდენად ამაყობს ერი თავისი კულტურის მიღწევებით, ამჟღავნებს მონუმენტური ხელოვნება და მისი ადგილი ქალაქის არქიტექტურულ სახეში. ჩვენი მოქანდაკეებისა და მხატვრების მიერ შექმნილი მონუმენტური ძეგლების მაღალესთეტიკური ღირებულება კარგად არის ცნობილი და აღიარებული. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრი დიდი ხანია ჩამოყალიბდა და მისი მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის გარეშე ძნელია მას ისე შეუცვალოთ იერი, რომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავონ თანამედროვე მაღალმხატვრულმა ნაწარმოებებმა. სწორედ იმის გამო, რომ ჩვენი დედაქალაქის ცენტრი საკმაოდ დიდი ხნის ჩამოყალიბებულია, ბევრი ნაკლებად გამომსახველი ქანდაკება ქალაქის მთავარ გამზირზეა წარმოჩენილი, უფრო ღირებულ ზოგიერთ ძეგლს კი აღქმისათვის შესაფერისი სივრცე არა აქვთ.

კულტურის გამოხატვისა და გავრცელების საშუალებებში ჩვენს დროს დიდი ცვლილებები მოხდა. შეიქმნა კულტურული ინფორმაციის მიღების ახალი საშუალებები და მათ შორის სულ უფრო დიდ ადგილს ცისფერი ეკრანი იკავებს. და მაინც დღესაც კაცობრიობის კულტურის მიღწევებს წიგნი განასახიერებს. წიგნი თავისადმი აქტიურ დამოკიდებულებას მოითხოვს. ამიტომ საზოგადოებისა და პიროვნების კულტურასაც კარგად ახასიათებს ის, თუ რა ადგილი უკავია წიგნს ცხოვრებაში, რამდენს, რას და როგორ კითხულობენ, რას თარგმნიან.

წიგნს ჩვენში თითქოს მკითხველი და, მით უფრო, მყიდველი არ აკლია. მაგრამ მაინც დამაფიქრებელია ის, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისთვის, რომელიც უმაღლესი განათლების მქონეებსაც მოიცავს, წიგნი ჯერ კიდევ არ არის ყოველდღიური ძოთხოვნილების საგანი. წიგნს ჩვენში დიდი რეკლამა არ სჭირდება, მაგრამ ის, თუ როგორ ყურადღებას აქცევს წიგნს ჟურნალ-გაზეთები თუ რადიო და ტელევიზია, კულტურისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას ამჟღავნებს და ამ დამოკიდებულების ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს. არ შეიძლება ითქვას, რომ წიგნი მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებისათვის გერი იყოს: ისინი წიგნებსაც მიმოიხილავენ ხოლმე და ხამუშ-ხამუშ კარგი წიგნის გამო აღტაცებასაც გამოხატავენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, წიგნს ვერ დაუთმობენ იმ ადგილს, რაც მათში სპორტის ნებისმიერ სახეობასა და სანახაობას უკავია.

რაკი სპორტს შევადარეთ წიგნი, როგორც კულტურის მაჩვენე-

ბელი, ისიც უნდა ითქვას, რომ კულტურის ფილოსოფია დიდ ყურადღებას აქცევს თამაშს და მის ადგილს ადამიანის ცხოვრებაში. ზოგიერთი ფილოსოფოსი სწორედ თამაშში ხედავს ადამიანის სპეციფიკას. ჰოლანდიელი ისტორიკოსი და კულტურის ფილოსოფოსი ჰეიზინგა ადამიანს უწოდებს homo ludens — „მოთამაშე ადამიანს". ყველასათვის არის ცნობილი, რომ სპორტი დღეს დიდ როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში, მას მრავალი ფუნქცია აკისრია; სპორტის „ვარსკვლავს" ან პოპულარულ გუნდს თავისი ქვეყნის სახელი უფრო შორს გააქვს, ვიდრე დიდ მწერალსა და მეცნიერს. მაგრამ მაინც დამაფიქრებელია, მიუხედავად სპორტის მნიშვნელობისა, მიუხედავად იმ დიდი სიამოვნებისა, რასაც ის ანიჭებს როგორც მოასპარეზეებს, ისე მაყურებლებს, ხომ არ შეგვაქვს ზედმეტი სერიოზულობა თამაშში, ხომ არ ვაკისრებთ ზედმეტ პასუხისმგებლობას მოასპარეზეებს, როცა ლამის სამშობლოს ღალატად ვუთვლით მათ ცალკეულ წარუმატებლობას, დიდგორსა და კრწანისს შევახსენებთ ხოლმე მათ (და ამით ალბათ მათ დევალვაციასაც ვუწყობთ ხელს უნებურად), ისინი, ვინც ეზოს არ გავცილებივართ, სპორტული შეჯიბრების თეორიას, მის სტრატეგიასა და ტაქტიკას ვასწავლით პროფესიონალებს, მოვითხოვთ მათგან, რომ ხელისა თუ ფეხის ყოველი მოქნევის დროს სამშობლოზე ფიქრობდნენ, ჩვენს თავს კი ნებას ვაძლევთ მხოლოდ ლამაზ სიტყვებს ვჯერდებოდეთ. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ წიგნს, კულტურის ამ, უფრო ჩვეულ, მაჩვენებლებს.

წიგნი, როგორც ყოველი ნივთი, ყიდვა-გაყიდვის საგანია და წიგნით ვაჭრობის კულტურაც იმის მაჩვენებელია, თუ როგორი პრესტიჟით სარგებლობს ის და, საერთოდ, კულტურაც. ალბათ იმ ადგილს, რაც წიგნსა და კულტურას უკავია ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, არ შეესატყვისება ის, რომ მის დედაქალაქში, სადაც თითქმის ყველაფრის სასახლე და სახლია, დღემდე არ არის წიგნის სახლი („საბავშვო წიგნის სახლ" თუ არ მივიღებთ მხედველობაში), სახლი, რომელიც ქალაქის მთავარ გამზირს „დამშვენდებოდა და რარიგად დამშვენდებოდა".

ქალაქის არქიტექტურული სახე გადამწყვეტ როლს ვერ შეასრულებს უარყოფითი მოვლენების დაძლევაში, მაგრამ ის მაინც გამოაჩენს საზოგადოების დამოკიდებულებას ადამიანისადმი: თუ ყველაფერი ადამიანისათვისაა, ქალაქის ქუჩებს, მოედნებსა და ნაგებობებსაც უნდა ეტყობოდეს, ადამიანის რა მოთხოვნილებებზე ზრუნავს საზოგადოება უპირველესად. როგორც მიქელანჯელოს უთქვამს, წვრილმანებზეა დამოკიდებული სრულყოფილება, სრულყოფილება კი წვრილმანი არ არის.

• • •

„ყველაფერი ადამიანისათვის“ — ამგვარი ლოზუნგი ხშირად გვესმის, მაგრამ ეს სიტყვები არ უნდა გავიიაფოთ. ყველაფერი რაც საზოგადოებაში კეთდება, ბოლოსდაბოლოს, ადამიანებისათვის კეთდება: ადამიანებისათვის მუშაობენ ქარხნები, მოძრაობენ მატარებლები, შენდება სახლები. საზოგადოებრივი ცხოვრება ერთ ადგილზე არ არის გაჩერებული, ის განუწყვეტლივ მოძრაობაშია, მაგრამ მოწოდება „ყველაფერი ადამიანისათვის“ იმას კი არ უნდა გამოხატავდეს მხოლოდ, რომ საბოლოო ანგარიშით ყველაფერს ადამიანით ეძლევა აზრი, არამედ იმას, რომ ყველაფერი თავიდან ბოლომდე უნდა იყოს გამსჭვალული ადამიანებზე ზრუნვით. არა მარტო საცხოვრებელი ფართი უნდა შენდებოდეს, არამედ იმაზეც უნდა ვფიქრობდეთ, თუ როგორ იცხოვრებს მათში ხალხი, სინამდვილეში კი არაერთხელ ვხდებით იმის მოწმე, რომ „ადამიანებისათვის“ სახლების მშენებლობის დროს დაავიწყდათ ისეთი „წვრილმანი“, როგორიცაა ის, რომ სახლი ხმაურიანი მაგისტრალის პირას არის აშენებული, ე. ი. დამპროექტებელს, მართლაც, საცხოვრებელი ფართი აუშენებია და არ უფიქრია ადამიანებზე. ლ. კორბუზიე წერდა, რომ სატრანსპორტო მაგისტრალების გასწვრივ და მათ გადაკვეთაზე აშენებული სახლები საცხოვრებლად უვარგისნი არიან ხმაურის, მტვერისა და მავნე აირების გამო[26]. მაგრამ ეს ხშირად არის ხოლმე უგულებელყოფილი: ახალი საცხოვრებელი რაიონების გამოყოფაც კი მაგისტრალებიდან მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია განხორციელებული[27]. სწორედ ამიტომ ახლა მოითხოვენ, რომ გაძლიერდეს პასუხისმგებლობა ხმაურის სანიტარული ნორმების დარღვევისათვის (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ დადგინდეს ამგვარი პასუხისმგებლობა, ვინაიდან არსებულ კანონებს ამის თაობაზე ყურადღებას არავინ აქცევს).

---

[26] Ле Корбузье. Три формы расселения. Афинская хартия. М., 1976, с. 99.

[27] სამართლიანად აღნიშნავენ თბილისის განაშენიანებაში ამ მხრივ დაშვებულ შეცდომებს, მაგალითად, იმას, რომ „პავლოვის ქუჩის, ეკა ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, მეგობრობის და სხვა გამზირების პერიმეტრიულმა გაშენებამ, რეასართულიანი სახლების“ წითელ ზოლზე გამოტანით საგრძნობლად გააუარესა ბინებში ჰიგიენური პირობები (თ. მ ა ხ ა რ ა შ ვ ი ლ ი. არქიტექტურა და გარემოს დაცვა-გაუმჯობესება. „საბჭოთა ხელოვნება“, 1976, № 10, გვ. 69). ამავე მიზეზით თელიან, რომ სწორი არ არის უშუალოდ სანაპიროზე საცხოვრებელი სახლების აშენებაზე აღებული ორიენტაცია (Б. А. М и м и н а ш в и л и. Развитие общественного центра Тбилиси. М., Стройиздат, с. 38). არის თუ არა ოღონდ შეცდომის აღიარება რაიმე ნუგეში ამ ჭეშმარიტებაზე მაცხოვრებელთათვის?

საზოგადოების მთავარი მხარეების განვითარება ადამიანთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საფუძველია. მაგრამ ამ მხრივაც ადამიანზე ზრუნვა მარტო იმაში კი არ უნდა გამოიხატებოდეს, რომ იზრდება ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, ფართოვდება და ვითარდება ახალხო მეურნეობა. საჭიროა გეგმაზომიერად ვითარდებოდეს თითოეული რაიონი, საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეული უბანი, რათა ადამიანს ყველგან ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი უნარები და კვალიფიკაცია, ჰქონდეს კულტურული ცხოვრებისა და დასვენების პირობები. ე. ი. საჭიროა სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრების პირობების შეთანაბრება. რა თქმა უნდა, როგორც არ უნდა გავთანაბროთ ცხოვრების პირობები, მაგალითად, სოფელსა და ქალაქს შორის, ქალაქი მაინც ქალაქი იქნება და დიდი ქალაქი — დიდი ქალაქი, რომელიც თავის მიმზიდველობას კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს, რადგან ის კულტურის მთავარ ცენტრებს უყრის თავს. მაგრამ თანამედროვე საზოგადოების ტექნიკური დონე, უწინარეს ყოვლისა კი ტრანსპორტის საშუალებათა განვითარება გაცილებით უფრო დიდ შესაძლებლობებს იძლევა, ვიდრე მათ ვიყენებთ, იმისათვის, რომ განსხვავება კულტურის ცენტრებსა და პერიფერიებს შორის ნაკლები იყოს და ადამიანებს ყველგან შეეძლოთ გაეცნონ დიდ ქალაქებში თავმოყრილ კულტურის ფასეულობებს.

• • •

უარყოფით მოვლენებს უმთავრესად სამი ძალა უპირისპირდება: ჯერ ერთი ცალკეული ადამიანი — ადამიანში დადებითიც არის და უარყოფითიც, სიკეთეცა და ბოროტებაც, მაგრამ ნამდვილი ადამიანური ყოფნა თანაცხოვრება და შემოქმედებაა და მათთან ზიარებით სძლევს ადამიანი უარყოფით მოვლენებს; მეორე ძალა არის საზოგადოება — საზოგადოებაც ორმაგი ბუნებისაა, ის, უწინარეს ყოვლისა, თავის არსებობასა და განვითარებაზე ზრუნავს, მაგრამ მას საბოლოო ანგარიშით აზრი არა აქვს, თუ ის ცალკეულ პიროვნებებზეც არ ზრუნავს. დაბოლოს, მესამე ძალაა კულტურა: კულტურა თავისი არსებით უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ არის მიმართული, ის ანტიმეშჩანური ბუნებისაა, მაგრამ მასაც აქვს თავისი უარყოფითი მხარე — ისიც შეიძლება ადამიანის ნამდვილ ინტერესებს დაუპირისპირდეს. ადამიანმა შეიძლება კულტურის ერთადერთ ღირებულებად ცოდნა მიიჩნიოს და ის ამავე დროს კაცობრიობის გასანადგურებლად გამოიყენოს.

ადამიანის საგანგებო ზრუნვის გარეშე, მისი მეცადინეობის გარეშე ვერც მისი ყოფიერება იქნება ჭეშმარიტად ადამიანური, ვერც საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაცია დაექვემდებარება ადამიანის ამგვარ ყოფიერებას და ვერც კულტურა შეასრულებს ჰუმანისტურ,ანტიმეშჩანურ დანიშნულებას. ადამიანი, საზოგადოება, კულტურა თავისი ბუნებით უარყოფით მოვლენებს უპირისპირდებიან, მაგრამ ის, თუ როგორი იქნება უარყოფით მოვლენებთან ამ ბრძოლის შედეგი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იბრძოლებდნენ ეს ძალები. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც კარგად წერს ერთი ავტორი, გარანტირებული პროგრესი არ არსებობს[28]. პროგრესი შეიძლება მხოლოდ ადამიანთა ბრძოლის შედეგი იყოს, რაც, თავის მხრივ, იმაზეც არის დამოკიდებული, თუ რამდენად ვერ ურიგდება ადამიანი უარყოფით მოვლენებს. ჰენრი თოროს უთქვამს: „არა აქვს მნიშვნელობა, მიაღწევს თუ არა გემი ნავსადგურს, მთავარი ის არის, რომ გეზს არ ასცდეს“: არა აქვს მნიშვნელობა იმიტომ, რომ ცხოვრების ოკეანეში არც არსებობს ნავსადგური, სადაც კაცობრიობის მოძრაობა შეწყდებოდა და ადამიანებს არავითარი საზრუნავი აღარ ექნებოდათ.

---

[28] А. Лебедев. Чаадаев. «Молодая гвардия», М., 1965, с. 140.

КУЛЬТУРА В ЧЕЛОВЕЧЕСКОЙ ЖИЗНИ И БОРЬБА С ОТРИЦАТЕЛЬНЫМИ ЯВЛЕНИЯМИ

Резюме

За последние годы мы больше внимания обращаем на борьбу со всякого рода отрицательными явлениями, которые связываем с частнособственнической психологией. Эти явления затрагивают всех, они обсуждаются не только обществоведами; о них создаются определенные взгляды почти у каждого человека, которые не всегда состоят из правильных обобщений, а состоят порою из предрассудков, порождаемых либо тенденцией к упрощению, либо тем, что даже те, которые сами не являются носителями этих явлений, зачастую испытывают в какой-то мере их влияние. Эти предрассудки мешают складыванию правильного отношения к отрицательным явлениям в жизни человека и затрудняют борьбу с ними. В предлагаемой научно-публицистической книге показывается сложность отрицательных явлений, их связь с различными сторонами человеческой жизни, их социально-культурные и социально-психологические предпосылки, характеризуется роль культуры в преодолении этих явлений.

В первом разделе, озаглавленном «Сложность простого», показывается ошибочность упрощенного толкования природы, причин отрицательных явлений и путей их преодоления, в частности проявляющегося в том, что причины этих явлений видят лишь в экономических условиях, в недостаточном уровне производства материальных благ. Такой взгляд настраивает на пассивность, на ожидание того времени, когда будет достигнут более высокий уровень жизни. Другое упрощение в этом вопросе проявляется в том, что главное средство борьбы с этими явлениями видят в административных мерах, в мерах осуждения и наказания. Подобного рода взгляды имеют хождение, конечно, не в научной литературе, а на уровне обыденного сознания по преимуществу, тем не менее нельзя преуменьшить значение того, чтобы показать ошибочность такого толкования отрицательных явлений.

Отрицательные явления, конечно, связаны с экономическим развитием, но главным образом не непосредственно с экономическим уровнем общества, а с экономическими отношениями, а именно с частнособственническими отношениями. Эта связь характеризуется в следующем разделе книги «Быть и иметь». Однако связь отрицательных явлений с частнособственническими отношениями также не следует толковать слишком прямолинейно, иначе это может породить упрощенный взгляд, сводящий эти явления к «пережиткам прошлого». Индивидуализм и эгоизм, которые считаются порождениями частнособственнических тенденций, не обязательно порождаются господством частнособственнических отношений. Они могут быть обусловлены и узостью материальной жизни, когда вся деятельность человека уходит на добывание средств жизни, вследствие чего средства жизни превращаются в конечные цели человеческой жизни. Эти явления могут быть порождены и неправильным семейным воспитанием, когда избыток «заботливости» родителей может развить у подростающего поколения эгоизм и иждивенческие настроения. Узость экономической жизни, а также ориентация на потребительство может породить ориентацию на владение, а не на бытие, что, согласно Марксу, представляет собой оглупление человека и обусловливает одностороннее развитие человеческой личности, проявляющееся в различных сферах человеческой жизни. Эти проявления, хотя и в абстрактной форме, проанализировали современные западные мыслители, в частности, Э. Фромм.

Важнейшему аспекту человеческого бытия — труду, его месту в человеческой жизни, условиям и организации труда, влияющим на формирование ценностных ориентаций личности, посвящен следующий раздел книги. В нем рассматривается сложность взаимосвязи между мотивами труда, показывается необходимость конкретной оценки этих мотивов с учетом характера труда, его общественного престижа, а также совершенства системы оплаты труда. Недостатки в условиях и организации труда, несовершенство в системе оплаты труда могут создать благоприятные условия для усиления потребительских тенденций. Вместе с тем, сведение смысла жизни человека к труду тоже является односторонностью и не стимулирует людей к усилиям, направленным на то, чтобы сделать труд более осмысленным, интересным, обесценивает другие человеческие ценности.

Объяснить человеческое поведение, в том числе его антиобщественные поступки можно лишь на основе определенного понимания структуры человеческого бытия. Понять отрицательные явления, процесс возникновения у человека отрицательных ценностных ориентаций можно лишь учитывая роль ценностных ориентаций вообще, необходимость для человека положитель-

ной оценки своего образа жизни, своей жизни. Отсутствие по тем или иным причинам возможности положительной оценки своей жизни в одобряемой обществом сфере и образе деятельности порождает, как правило, стремление человека искать пути удовлетворения потребности в смысле жизни в иной, недозволенной обществом сфере детельности. Об этом речь в следующем разделе книги.

Ценностные ориентации, понимание своих ролей в обществе, смысла своей жизни люди черпают из определенной культуры. Но культура, как об этом говорится в разделе «Культура личности», является не только средством социализации, усвоения людьми принятых в обществе воззрений и норм жизни, но и помогает человеку выработать способность самостоятельного выбора линии поведения. Кроме того, по своей сущности культура ориентирует человека на творчество, на человеческие отношения, потому подлинная культура является важнейшим средством гармонизации человеческих ценностных ориентаций, а следовательно и средством преодоления отрицательных ценностных ориентаций, отрицательных явлений.

Одним из измерений культуры является взаимоотношение традиции и новизны. В разделе «Значение традиций» рассматривается смысл традиций, вытекающий из общественной природы человека и состоящий прежде всего в удовлетворении ими потребности человека в общении. В отношении людей к традициям проявляется характер ценностных ориентаций людей: фетишизированные традиций, нежелание что-либо изменить в них, лишает их подлинного смысла, превращая их в формальный ритуал, но легковесное отношение к традициям, утилитарный подход к ним является проявлением потребительства. Ни утилитарно-потребительский подход к традициям, ни стремление к законсервированию традиций или к реанимации исчезнувших, отживших традициональных церемоний не являются оправданным, адекватным отношением к традициям, не ведут ни к утверждению их, ни к устранению их устаревших сторон. Утилитарное отношение к традициям является следствием «засилия» потребительских тенденций и наши усилия прежде всего должны быть направлены на то, чтобы воздействовать на эти последние, что и приведет к устранению отживших сторон в самих традициях.

Главным источником, почвой, порождающей искажение народных традиций, как и отрицательные явления вообще, является мещанское мировоззрение. Мещанская психология, как питательная почва отрицательных явлений, характеризуется в разделе «Мещанин и культура». В ней дается социально-психологический портрет современного мещанина, показывается, как мещанское мировоззрение с его сосредоточением на вещно-мате-

риальные стороны жизни, с его эгоистическим индивидуалистическим настроем ведет к обесцениванию подлинных человеческих ценностей и создает благоприятные условия для расцвета духа «делячества», попрания законности и т. д. Конечно, преодоление самого мещанского мировоззрения является сложным процессом, но определенное значение имеет и разоблачение мещанского мировоззрения, раскрытие сущности мещанства для самого мещанина.

В последнем разделе книги характеризуются пути воздействия культуры на процесс преодоления отрицательных явлений. В нем прослеживается влияние односторонней ориентации школы на знание, преуменьшения значения нравственного, трудового, эстетического воспитания, мещанских взглядов на образование, на «успех в жизни», усваиваемых порою подростками от родителей, на формирование ценностных ориентаций людей; характеризуется связь между различными сферами жизни, сложность условий, влияющих на распространение отрицательных явлений в сфере торговли и обслуживания населения, что делает необходимым ряд организационных мероприятий для их устранения, а не только усиление контроля; подчеркивается важность конкретной заботы о нуждах и интересах конкретных людей, всесторонний учет условий их жизни, а не только общая забота об увеличении выпускаемой продукции, об увеличении жилплощади и т. д.; показывается влияние престижа культуры на ценностные ориентации людей. В заключении говорится о том, что успех борьбы за преодоление отрицательных явлений в жизни человека зависит от многих факторов, что нельзя всех делать одинаково ответственным и виновным за существование этих явлений, но среди этих факторов одним из важнейших является решимость людей, их активность.

სარჩევი

მარტივის სირთულე	6
ყოფნა და ფლობა	14
რას ამბობენ ფილოსოფოსები შრომის შესახებ	25
რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას	34
პიროვნების კულტურა	46
ტრადიციების მნიშვნელობა	57
მეშჩანი და კულტურა	67
აქვს თუ არა აზრი „ჰოსა“ და „არას“ ჭიდილს	77
Резюме	101

ОТАР ИВАНОВИЧ ДЖИОЕВ

КУЛЬТУРА В ЧЕЛОВЕЧЕСКОЙ ЖИЗНИ
И БОРЬБА С ОТРИЦАТЕЛЬНЫМИ ЯВЛЕНИЯМИ

(на грузинском языке)
ТБИЛИСИ
МЕЦНИЕРЕБА
1985
სბ 2517

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

რეცენზენტები: ფილოსოფიურ მეცნ. კანდიდატი თ. ბ უ ა ჩ ი ძ ე
ფილოსოფიურ მეცნ. კანდიდატი დ. ქ ე რ ქ ა ძ ე

რედაქტორი გ. ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ე. ფ ა რ ქ ო ს ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი გ. ლ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ც. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი

გადაეცა წარმოებას 24.4.1984; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.2.1985;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი; გარნიტურა ვენური;
პირობითი საბეჭდი თაბახი 6.8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8;
ფასი 85 კაპ.
უე 01288, ტირაჟი 1200; შეკვეთა № 1283;

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19